საქართველოს

ეკლესია

1863

№ II თებერვალი

წელიწადი პირველი

ტფილისი

გაბრიელ მწყალობიანცის და ამბარცუმ ენფიაჯიანცის სტამბაში

I. შეშლილი (კომედია-ბოემა) . . . . თ. გიორგი ერისთავისა. 155-186

II. ზეციერი მნათობები. მიტჩელლისა. თარგ. დამიტ. ყიფიანისა. 1-29

III. ლექსები:

ლოთური მუხამბაზი . . . . . თ. გრიგ. ორბელიანისა. 187-190

მადლი შენს გამჩენს, ლამაზო, . . თ. ნიკ. ბარათაშვილისა.

მას აქეთ რაკი შენდამი ვგსცან მე სიყვარული. . . . ***

IV. საქართველოს ისტორია . . . . . თ. სულ. ბარათაშვილისა. 35-59

V. სხვა და სხვა ამბავი:

გამოფენა—საქართველოს გამიჯნაგებისა გამო—ქორწინება ახლონათესავთა შორის.—ირლანდიის თავად-აზნაურთა წინა-დადება ოთხს საგანზე.—გასამართლების რეფორმისა გამო.—მიმინო.—კორული უფროსი რედაქტორი ყურნალისა.—შედარებითი სქემა კაცის-მკვლელობისა ევროპიის სხვა და სხვა სახელმწიფოებში.—

საფო და შტოლცი.—

VI. საბრალონი. რომანი ვიკტორ ჰუგოსი. თარგ. გიორგ. ჩიქოვანისა. 1-44

საქართველოს

მესვეტე

F10 796

ТБИЛИССКИЙ ФИЛИАЛ ГИМЭЛ при ЦИК
Библиотека

საღვთისმეტყველო ჟურნალი

გამოიცემის

ი. ჯავჯავაძისაგან

«ხოლო ლეღვისაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩვიან ფ გამოვალნ ფურცელნი, უწყოდეთ, რამეთუ ახლო არს ზაფხული».
(თავი 13, მუხ: 23. სახ: მარკოზისა).

НЕ ВЫДАВАТЬ

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტფილისი

გ. მელქუმიანცისა და ა. ენფიანჯიანცის ტიპოგრაფიაში.

ОДОБРЕНО ЦЕНЗУРОЮ
28 Февраля, 1863 года. Г. Тифлисъ.

შეშლილი

კომედია-ბოემა.

გამოსვლა მეოთხეული.

(ანახანუმ ზის ტახტზედ დათვიქრებული; ამ დროს შემოვა ანასტასია, მერე ნინო.)

ანასტასია.

(უყურებს ანახანუმს გაშტერებული.)

ნეტა რადა ხარ დათვიქრებული ?
შენ როგორღაცა გიშფოთავს გული.
მითხარ, რას თვიქრობ ? ხომ კარგათ იცი,
ამას არ უნდა გვეხნა ჩ თვიცი,
რომ რასაც მეტუვი,
არავის ვეტუვი !

ანახანუმ.

(გაჯავრებული.)

ეგ რადა იცი ?.. რას ჩამაცივდი ?...
ისე უეცრად რასმე დავთვიქრდი;
მარტოვა დავრჩი, სიძე წავიდა,
დრო გადავიდა, არ ჩამოვიდა. (დათვიქრდება)
რას არა ვფიქრობ ?.. ღამის გავეიყდე !
ვის ვკითხო რჩევა, ვისთან წავიდე ?

ანასტასია.

რა გაქვს, სულელო, შენ საწუხარი ?
ერთი ქალი გყავს,—ხომ შერთე ქმარი,
დიდი კაცის ძე, უცხო გულისა,
მქონე კარგისა ყმა-მამულისა !

გამოცხადება 2.

(იგივე ბ ნინო.)

ნინო.

ნეტა, ქალებო, რას ლაპარაკობთ ?
მე თქვენ რჩევაში რატომ არ მასწრობთ ?

ანასტასია.

სიძეს უქებდი, კარგი შვილია, (ანიშნებს ლიმილით)
ეს როგორლაცა მასზედ გრილია !

ანაზანუმ.

არა, თქვენმა მზემ, ძალიან მიუვარს;
(ოხვრით) მაგრამ, ქალებო, გეტყვით ერთ სიტყვას,
ეს არის ჩემი უბედურება,
ოჯახის მოგლა არ ეყურება !..
ჩვენ მამულებზედ არ აქვს ჯიგარი,
თითქო თვულებით იყოს მდიდარი.
ვალით სავსე ვარ; რით გადაიხდის,
თავის წილ ყმასა ის არ გაჭყიდის ?
ეს არა თვერი.... არის ზარმაცი,
მე არ მინახამს იმ გვარი კაცი !..
ათასი საქმე მაქვს გაჩხაბილი,
მამულებს მართმევს თამაზის შვილი,—
(განკვირვებით) სულში, ქალებო, არ გამეგზავნა,

კარგი შვილია, ამბობთ ქვეყანა!...
არზა მიკეცი მე დასაწერი,
თითქო არისო მოშურნე მტერი,
არზის ქალაღდზედ რა დაეწერა?
ვილასაც ქალზედ ეთქვა სიმღერა!....

(ქალები უყურებენ ერთმანეთს ჯ იცინიან)

დღე არ მაქვს ძილი ჯ მოსვენება,
ყმა ჯ მამული სულ მეყიდება,
აბა, გენაცვათ, რა მელექსება!-

ნინო.

რატო არ ეტყვი, რას ეფერები,
ბურს არ გვაჯმევსთქო შენი ლექსები?

ანანუმ.

ნეტა რას ამბობთ?.. რამდენჯერ მითქვამს,
რომ არ იჯერებს ის ჩემსა სიტყვას;
რამდენიც უთხარ არზების წერა
თავი მოიკლა არ დამიჯერა. (ჩუმათ)
მმართებს დალალის თუმანი ათი,
ჩემგან უჯირავს მცირე ბარათი;
ვუთხარ, ბრისტავთან დაჭსწერე არზი,
არა მმართებს თქო, ჭქმენი ატკაზი;
ამ ჩემ ჯკვიანურ რჩევა სიტყვაზედ
უნდა გენახათ იმის სიბრაზე.
ფი!.. ფუ!.. ჭფე!.. რას არ ამბობდა,
ბოდლობაა ილანძღებოდა.

ნინო.

მაშ სულ დაგლუპავს,
ნეტა რასა ჭვავს!
ეტყობა, თავში ჯკუას ვერა ჭსცნობს

იმიტომ ჯავრობს ⁄ ვითომ ჩესტნობს.

ანასტასია.

ვისი ბრალია, არავის ჭკითხავ,
საქმეს წაახდენ ⁄ თავს იხეთქავ.

ანახანუმ.

ერთი შეხედეთ, შენ არ მიქებდი?
შენ არ იუკვი ილაჯ მიწყვეტდი,
კარგი შვილია, მეუბნებოდი,
უცხო საქრმოა, ყველგან ჭყვიროდი!

ანასტასია. (ქოქოლას აყრის)

რაო?.... არ გესმით?.... შენგი ჩაგქოლე!
რა მამიგონა, შენ გენატვალე?...
ამას არ ვფიცავ, დიდათ მიყვარდა,
თითქმის ჩემ თვალ წინ აქ გაიზარდა!
ვის რა უთხარი, რა დავიყვირე,
მე რა ვიცოდი—იყო მესტვირე!
ჩემი დამალვით მიეცი ქალი!
ახლაკი სტირი, დაგიდგა თვალი!

ანახანუმ. (ტირილით)

არ ვიცი რაქნა, გული მიისქდება,
საბრალო ტასო უბედურდება!

ნინო.

შენ არა ფრისა არა გაქვს თავი!....
გაგაშვებინე, თუ არის ავი?

ანახანუმ (განკვირვებით)

აგრე ადვილად გავაშვებინო?

რას მეუბნები გენაცვა ნინო?
ოლაშვარაკებს ჩემზედ ქვეყანა,
მაგ გვარი საქმე იქნება განა?

ნინო.

ჯერ ხომ პირველად განჭვირდებიან,
ერთ კვირას უკან გაჩუმდებიან.

ანახანუმ.

მერე ვის მივსცე, არავინ არი;
მე მინდა იყოს ცოტა მდიდარი?

ანასტასია.

მაშ რუსს მიეცი ჩვენ გლუხარიჩსა,
იმ პოლკოვნიკსა თეოდორიჩსა!

ანახანუმ.

იიშ, რას ბძანებ, ყელს იჭრის ქალი,
ან თავს დაიხრჩობს, ახლო აქვს წყალი.

ნინო.

განმოგირჩიოთ სასიძო კარგი?
რაში არა ჭსჯობს ბეგლარს ვახტანგი?

ანახანუმ. (წამოხტება სიხარულით.)

შენმა სიცოცხლემ უცხო იქნება,
არქიერმა თუ მოგვცა ჩვენ ნება!

ანასტასია.

ჩვენში არ არის ნათესაობა.
სამი ლ ოთხი არის თაობა.

ნინო.

მერამდენე ხარ, აბა დათვალე,

ქრისტოსნითა კარგა ჩათვალე!
(ანგარიშობენ)

ანასტასია.

აგრე ეოფილა, საქმე მზათ არი,
ეორამ მლვდელი ვგონებ აქ არი!
ხვალვე გამართე მოციქულობა,
ჩვენში იქნება უცხო მძახლობა!

გამოსვლა მეორე.

(ტასო, მარიამ, ქეთო, კატაცო სხედან ტახტზედ ბ კითხულობენ ლექსებს.)

მარიამ.

შენ გენაცვალე, გადამიწერე!

ქეთევან.

ეგ რა ხმა არის, აბა იმღერე!

ტასო.

მაზურკა არის, თითონ მასწავლა,
შენ რომ არ იცი ხმების დასწავლა!
აი ამის ხმა (იმღერებს:)
ლა, ლა, ლა, ლა—.

აგერ ცაში მზე ბრწყინვალებს,
და განგვანტნა ლამე ბნელი;
შუქი მისი შენსა თვანჯრებს
ჭკოტნის ვითა საყვარელი!

—

აღზდეგ, აღზდეგ, კმარა ძილი,
კმარა ტკბილთ სიზმართ ზმანება;
ისმინე თრინველთ ყლიკილი,
იხილე დღისა შვენება!

—

ალზდეგ, აცკბე შენი ყური:
ვარდს ტურფად დამღერს ბულბული,
უცხოთ უშტკენს მოლალური,
შორის ტყით ისმის გუგული!

—

მზისა სხივსა ოქროს ფერად
დაუფერავს შენი არე;
შემოგსულვარ შენად მზერად,
ალზდეგ, ხილვით გამახარე!

—

ალზდეგ, მნახე, თავს დაგიკრავ,
მოგიძღვნი ვარდისა კონებს;
შენსა ხელსა გულს მივიკრავ,
გარდგიკოცნი ლამაზს თვალებს.

—

კატო.

მაგ ხმაზედ კარგად იტანტიევება?
სხვა მაზურკებზედ მომდის ტიკება!

(ამ დროს შემოვა სვიმონა ბიჭი, ტასოს მიართმევს წიგნსა, გახსნის, ქალები მისცვივდებიან)

მარიამ.

ტასოს ჯერიმე, ჩვენც წაგვიკითხე
ყენახის წიგნი გადაგვიკითხე.—

(ჩასცქერიან საკითხავ წიგნში)

ქეთევან.

ეგეთ, დაიწოს, უცხო იქნება,
უთოოთ გიქო წიგნში შვენება! (იცინიან)

ტასო (კითხულობს.)

«ჩემო ტასიავ,
სულნელ კასიავ!
კოცნა მოგიძღვენ
ასჯერ ასია.
ნუ ხარ მჯუნვარი,
შენ თვის ვარ მკვდარი!
მალე მოგივა შენი ბეგლარი!

(ამ დროს შემოვა საჩქაროდ ანახანუმ, გაჯავრებული წაართმევს წიგნსა)

ანახანუმ.

ვისგან მოგსვლია? ეგ რა წიგნია?
შენ უჩემოთა რათ გაგიხსნია!

ტასო.

თქვენი სიძისა, მწერს მე ბეგლარი,
ია, დედილო, თქვენთანაც არი!

ანახანუმ.

ერთი ყენიხი გამოიტირე,
გინდა შეირთო ახლა მესტვირე!

(ტასო დაიყვირებს ლ გულს შემოეყრება, შემოცვივიან ანა ტასია და ნინო.)

ანახანუმ.

(ნინოს) ეს რა მიყავი, ხომ მომიკვდება!

ნინო.

უმაწვილი არის, დაავიწყდება.

გამოსვლა მესამე

ვახტანგ

(ზის ფორტუპიანს უკრავს ⁄ იმღერის,ამ დროს შემოვა სვიმონა ბიჭი ⁄ მიართმევს წიგნსა ?)

ბეგლარის წიგნი! როგორ ბძანდება,
ამ ცოტა ხანში ჩამობძანდება ?

სვიმონა.

არა მგონია აქ ჩამობძანდეს.
(მწარის ღიმილით) თქვენც შეიტყობდით, ხომ გამოგვაგდეს.

ვახტანგ.

(იცინის საშინლად, დაღის ოთახში კისკისით)

რას ამბობთ, ბიჭო, ვინ გამოგაგდოთ,
უფრო დროებით, თუ სამუდამოთ ?
სიდედრი ბევრჯელ წაეჩხუბება,
ნუ ეშინიან, შეურიგდება.

სვიმონ.

ნეტა იმათში რა გაუკვირდა ! (ამ დროს შემოვა იორამ მღვდელი, სვიმონა გავა.)—

ვახტანგ.

მღვდელო, მობძანდი,
ჩემთან დაბძანდი!
ახალს რას მეტყვი, არა იცირა,
ამ სოფლიდგანა ვინ გაიწირა ?

იორამ მღვდელი.

რა საქებია ესე სოფელი

დაუდგრომელი ძნელ სამყოფელი;
მაგრამ რადგანაც არს ღვთის ქმნილება,
უნდა ვასრულოთ იმისი ნება.
თვით მან გვიბრძანა დაქორწინება,
აღორძინება ! ! განმრავლება !

ვახტანგ. (სიცილით)

გატყობ გუჯს ვინმე ჩემთვის საცოლე,
ხვალე ბეჭედი გამომიცვალე

ირამ მდგდელი.

რადგან სოფელი ყოვლთვის ასეა !..
მოდი შეირთე ჩვენი ტასია,
თქვენ მამულებთან არის სამძღვარი
! შეიქმნებით ყოვლით მდიდარი.

ვახტანგ. (იცინის ! მერე გაჯავრებით)

შეჩვენებულო! ეგ რა მითხარი?
გინდა მე მოვკლა ჩემი ბეგლარი !
ოთხი თვე შეტი არს დანიშნული,
მე ცოლის შერთვის არა მაქვს გული.

(მღვდელი გავა)

ვახტანგ. (ლაღის ხან იცინის ! ხან მოიწყენს ! ოცნებობს)

ჩემო პოეტო!
რა შეიმატო
მაგ მალალ ნიჭით ?
ვის აგრძნობინებ,
შეატყობინებ
ტკბილ ჩანგის ყლერით
შენს ნიჭსა გულის?
მალალი სულის
სად ჭეშებ პასუხს ?

რომ წავიკითხოთ,
გარდავიკითხოთ
პოეტთ კარსკვლავი,
ბედნიერებით
ლ მუუდრობებით
არ კინ შობილა.
პოეტის ბედი—
სოფლის იმედი
არ ბადებულა;
მათი ცხოვრება
კაცთ ეკვირება,
რა განჭსჩხრეკს სრულად;
ხან სოფელს სტირის,
ხან მაღლა ყვირის,
არ არს კმაყოფით;
ხან ვითა ჩვიდი
გულით უბრუკილი
ხარობს სოფელსა!...

(ამ დროს შემოვლენ სტუმრები; ფარდა ჩამოეშვება)

მოქმედება 2

(ანახანუმ, ნინო, ანასტასია ლილით სხედან)

ნინო

აბა დღეს რა ქქენ? გვიანბე წვლილად.
ტასოს ტირილსა მორჩი ადვილად?

ანახან უმ.

ჩემი ურჩობა არ შეუძლიან,
მაგრამ იმ ლოტრანგს ივიწყებს გვიან?
განხოთ რას გვეტყვის დღეს ჩვენი მღვდელი...

უნდა გენახათ ბიბა გამდელი.
რა საშინელად ის იწყევლება!
ეარი რომ ჩსთქვას, რა მეშველება?

ანასტასია.

ეარს ვინ გეტყვის, ვინ დაიწუნებს?
ეგ ემა ჩსჯობია სომხების ფულებს.

ანანუმ. (აღგება ტ სიცილით უანბობს)

გიამბოთ, ქალო, წიგნი მიკწერე,
რაც ბარგი ჩქონდა, ბიჭ მიუყარე!

(ამ დროს მოდის სვიმონა ბიჭი ხელში წიგნები უჭირავს ტ ხალიჩა)

ანანუმ. (კივილით ტ სიხარულით)

აი, ქალებო, ბეგლარის ბარგი:
ათხი წიგნია, ერთი თვარდაგი!

(ქალები იცინიან, ბიჭი მოდის ბუტბუტით)

(ამ დროს შემოვა იორამ მღვდელი მოწყენილის სახით, ჩუმათ რალასაც ეტყვის ქალებსა ტ წავა, ქალები დიდხანს შეწუხებული უყურებენ ერთმანეთსა)

ნინო. (განკვირვებით ტ გაჯავრებით)

ხედავთ იმასა!.. ისიც გვიწუნებს!
მე ამას ვეიქრობ, რას იმედოვნებს?

ანასტასია. (სიცილით)

მეც ნახირ-ნახირ: რას ბაძავს სხვასა?
ტანი რას უგავს? როდინის ქვასა.
თქვენ არ გინახავთ, რომ ეცვა თვრაგი?
ამას ბძანებდით არის ბაიგი,
თავზედ ბალანი არა აქს ერთი,
როგორ აძლევდით, არ გწამდათ ლმერთი?

ნინო.

ერთი დაკარგე—ბუთლიკის მგზავსი
იმისთანები გიშოვნია ასი!

ანასტასია.

აბა ვის მეტუკი ტასოს საწოსა?

ანახანუმ.

რათ დაიწუნებ ვითომ თერიდოსა?
მაიორიც არი,—მერე დრაგუნი
მითომ რით არის ის დასაწუნი! (ფარდა ჩამოეშვება.)

გამოსვლა 3

(ბეგლარ ზის მაღლობ ალაგს კაკალ ქვეშ, გაზაფხულის დილა არის, ოცნებობს.)

ბეგლარ.

კიდევ მოხვედი გაზაფხულო, ჩვენო სტუმარო!
ყოველთა კაცთა სიქადულო, გულით მეიმარო!
უკვე გიბურიეს სიხარულის თვალა ხელით
და მოგვეგები, გამოგვლთ რა ზამთარის ბნელით;
შრომა დასრულდა, განგვიძღა თვალი,
ვხედავ, ქვეყანა იქმნა ახალი:
აგერ მსოფლიო იმოსა მწვანით,
ტეეთ სიხარულით იმოსეს ტანით;
თერინველთა იწყეს თვისებრი სტვენა,
ყველას უხარის, ვისაც აქვს ენა!
მაშა მე რისთვის შორის ამა სიხარულების
ბინდი ჭმუნვისა გულსა რისთვის მოეფინების?
იცით, საბრალო გულსა ჩემსა რა ეწუხება?
ვხედავ სოფელი ჯ ბუნება სულ ჭაბუკდება
ჯ მე გვირგვინი—ღვთისა ქმნილება
ვბერდები, ვკვდები ჯ დღე მაკლდება

77096

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ მაქვს უფლება განცხოველების
მმოსია კაბა ცვანთ განხრწნილების.

(იყურება აქეთ იქით, ოცნებობს)

ვიშ ამ მშვენიერს კეთილსა ჭვერს!
ნეტარ ვინცა შენ კალმითა დაგწერს!
შეხედეთ ცასა ლაჟვარდოვანსა,
წმინდას, მშვენიერს, ქალწულოვანსა!
უყურეთ წყალსა მოკამკამალსა
მჩქეფრად; მწუხარეს გული მიხარეს
ხეჭეჭთა ტყეთა, ზურმუხტებრ ველთა . . .
აჭა ყურს აცემბობს ბულბულის სტვენა,
თითქო მე მესმის ფრინველთა ენა;
აი კაკალზედ ვხედავ მსხდომს გვრიტთა,-
როგორ იხარეს ერთათ შეერითა!
მესმის ტორფა უცხოთ იმღერის,
ამ ნანგრევიდამ ბუ გამობღვერის . . .

(ოცნებობს.)

მოდით, მერცხალნო, მომეცით ფრთენი
ჩიტათ შევიქმნე ალმა საფრენი!
ალვფრინდე მალლა ლ კვალად მალლა,
რომ ვერ ვხედავდე ქვეყანას დაბლა;

გავშალო ფრთენი
სანავარდენი,
ვნახო რა მზისა
შარავანდენი;
მერე რძის გზისა,
ვარსკვლავთა კვალსა
შევუდგებოდე
მნათობთა სვლასა,
მთვარესა მრცელსა,

ლამესა ბნელსა
განვჩხრეკდე მასში
საცხოვრებელსა!...
განრნალა ვაი! მე ღვთისა ქმნილი,
ვარ ამა მიწას მაგრა მიკრული!
ვკვირობ, რად მოამცა, გონება, ნება,
თუ რომ სიკვდილით სრულ დასრულდება!
ჩვენი იმედი ⁊ ჩვენი ბედი,
ასე სიზმარებრ თუმცა გაქრება,
სიცოცხლის სიმი უეცრად სწყდება,
კაცი ამისთვის რად იბადება? (დაფიქრდება)
მაგრამ რა უწვრეტ მზესა, მთვარესა,
ამ მნათობთ ვარსკვლავთ, ცის სამყარესა,
იდუმალ, მეტყვის მე სინიდისი,
სხვა სოფლისათვის არს სამზადისი.

(ამ დროს შემოვა სვიმონა ბიჭი, მოუტანს წიგნს; გახსნის საჩქაროთ, კითხულობს ყვითლდება, გააგდებს წიგნებს, მირბის შინა. დადის ზალაში გაანჩხლებული, მერე ხელ გულ დაკრეფილი სიანჩხლით ანბობს)

ბ ე გ ლ ა რ.

დაუდგრომელო დედაკაცო! ვით შემოდგომა,
შენ სად ისწავლე ეშმაკივით კაცთ შემოდგომა?
ვინ მოგცა სახე ანგელოზის ⁊ სული ქაჯის?
იქნებ გეგონოს ამა სოფელს არავინ დაგსჯის!
კაცის ვერცხადო, მაცდურადო, ბურტყლო ოცნების,
გველებრივ ჭრელო, კაც გულ მხვრელო, მახინჯ გონების!

(მომატებულის სიანჩხლით.)

ოო! თუ შემეძლოს შემოგბეროთ სამუმის ქარი,
რომე თქვენითა სულ ალვამსო მდინარე მტკვარი,
⁊ მიგცეთ გბილსა, ლომის ღმილსა, ყბა დასატეკსა,
რომ ქალთა სახეს დაღეჭვადეს, როგორც რომ კვესა!

წარგვედ მაცდურო, უგუნურო, გაგსრეს ვით გველსა,
გაგიწყლეტ თავსა, ამოგთხრი თვალსა, გაცთ მომწამვლელ-
ლსა!

გიქნები მათი, ვითა ჯალათი მახინჯებისა.
გიწამლავთ გულსა, გიხშამამთ სულსა, გაგხდით ჭლექებად,
დღესა გეთილსა არ მოგცემთ ძილთა, გეცეთ მეხებად!
(დაფიქრდება ღიმილით) საბრალო მტერო, თავის მტერო, რას ბოდავ
ენით?

რას იქ ამ სოფელს, არ შენ სამყოფელს გველებრივ
კბენით?

ვინ გქმნა უფალი
დასთრგუნო ქალი,
ღვთისა ქმნილება—
მშვენიერება?

რა გქონდა ერთი ხალხთან საერთი, მიწას რად ეკარ,
უმჯობეს იყავ მზით დამწვარიყავ, ვითარცა იკარ!
(დაინახავს თავის წიგნებს აიღებს ერთს ⁄ მიიკრავს გულზედ .... ამ დროსა
კარებიდგან უყურებენ მაკრინე, გამდელი, მოახლეები ⁄ ბიჭები!)

ბ ე ბ ლ ა რ,
ჩემო სულისა ალმაშოფოთო ⁄ ჩემო ბედო,
ჩემო სამოთხეკ, ჯოჯოხეთო, ჩემო იმედო!
ეს არის ჩემი სოფელს დიდება,—
ლიტონი გაცი როგორ მიხვდება,
რომ ჩემი გული
არს დაგუწული
⁄ მისგან შეგქმენ ტრფობის ანბანი,
არავის ესმის ამის საგანი!
⁄ თქვენცა ერნო, მოამღერალთ მტერნო, საგსენო შურით
თქვენ არ იყავით დასტინოდით დიდ ბაირონსა,
თქვენ აიძულეთ, განაშორეთ მშობლის სირონსა,

ტორკვატო ტასი,
ვერ სცანით თვასი?
უწოდეთ მტერი,
ჭქმენით პყრობილი.
მის მღერა ტკბილი
ვერ მოიგონეთ.

თქვენში არ იყო კამუენსი მოკვდა მშიერი;
თქვენ არ სდევნიდით დიდსა დანტეს, იყავით მტერი,
ლ ოვიდია რომიდგანა რისთვის განაძეთ?....
იქნება მეც ისე მომიძულოთ არვის დაგნანდეთ!

(შემოეყრება გულსა, შემოცვივიან მაკრინე ლ გამლები, გოგო-ბიჭები. ეხვევიან!)

მაკრ.

გენაცვა შვილო, აბა რას შვრები?
ჯადო ქრებისთვის აბა რათ ჭკვდები,
ეშმაკს ათეურთხე ლ დაივიწყე,
გამხიარულდი მღერა დაიწყე!

(ვერ მოაბრუნებენ, ყვირილი, კივილი, ტირილი აირევა; გამლელი უხსნის ლილებსა. ყველას აჩუმებს, უბერამს თვალებში ლ ულოცამს:)

თინათინ.

გულო, გულის ალაგასა
ჩაჯექ ბუდის ალაგასა;
შენ არ გიხდება ხტომა,
გმართებს მშვიდათ დადგომა!
გულმა დაუწყო ფრენა,
შეშინებულის ქშენა;
ჯვარო პატიოსანო!
ამას მიეცი ლხენა!
გულო, გულის ალაგასა
ჩაჯექ ბუდის ალაგასა!

მობძანდი, წმინდა ილია!
ლრუბლით არს შემოსილია,
ეტლსა მის მოაქვს შრიალი,
გადუგდის გულსა თრიალი...
გულო, გულის ალაგასა
ჩაჯეგქ ბუდის ალაგასა!

ნაწილი მეორე.

გამოსვლა პირველი

(დარბაზში ტახტზედ სხედან მოხუცნი ქალები: ანა, სიდონია, ქეთევან, კეკელა.)

ა ნ ა.

(ტუჩებზედ თითიდადებით) გენაცვა ქალო, მართლა შეშლილა?
გვიამბე წვლილათ, როგორ ყოფილა;
სოფელში თუ გაცივებულა
ლ იმისაგან გაგიჟებულა.

სიდონია.

რა ბძანებაა ავათ მყოფობა,
ასე ძნელია დაუდეგრობა:
ანბობენ ვითომ სიყვარულითა
ქალს ჰყვარებია საქრმო გულითა.

ქ ე თ ე ვ ა ნ.

(დაცინებით) რა მოგახსენო, საქართველოში
არ ვინ შეშლილა არშიყობაში.
შეშლასაც მოდათ შემოიღებენ,
როგორც წელ ქვეით ბამბებს იდებენ.

ბებერა.

მე არა მწამსრა ამდროს ქალების,
ტუალეთ სუსტთა ჯ ფერ მკრთალების.
დედ-მამას ალარ მორჩილდებიან,
რა ქმარს შეირთვენ, სნეულდებიან.
ჩვენცა ვყოფილვართ ყმაწვილ ქალები,
ჩვენცა გვქონია კარგი თვალები,
მაგრამ ჩვენ გულსა არა გვითხამდით,
საქრმოთ ვინ გვინდა, ვისთვის ვოხრამდით.
გათხოვებასა მაშინა ვცნობდით,
როცა საყდარში ქმარს წავუებოდით.
ვისაც როგორსა ბედი მოგვცემდა,
მისთვის ჩვენ მხოლოდ გული გვიცემდა.

ანა.

წავიდეთ ვნახოთ მაშ ჩვენი რძალი,
მართლა შეშლილი ჰყავს საბრალო ქალი.

გამოსვლა 2-ე

(შემოვა შეშლილი ზალაში თეთრის კაბით, თმა გაშლილი, ფერ მიხდილი, ხელში უჭირავს ბოხჩა ჯ სარკე; მოზდევენ ყმაწვილი ქალები, ავა ტახტზე, გაშლის ბოხჩას, დაიდგამს სარკეს.)

შეშლილი, მარიამ ჯ კატატო!

შეშლილი.

მოდი, მაშიკო, დამხურე თავი,
ახალ მოდურად დამიწან კავი,
თორემ სცაა, მომიკვა მლვდელი.
(კატატოს.) წადი ჩაიცვი, ნეტა რას ელი. (კატო გავა)

(თავს რომ დაიხურავს, ჩაიხედავს სარკეში, წამოხტება, მოიგლეჯს თავსახურავსა, თამაშობს მაზურკას ჯ იმღერის მაზურკის ხმასა:)

მოკვა ჩემი საყვარელი,
მე დავხვდები თავ შიშველი.
ლა, ლა, ლა, ლა.

თავშიშველი რომ მნახვიდა,
მაშინვე გარდამკოცნიდა.
ლა, ლა, ლა, ლა, ლა.
(ტირილით) დედამ რათ გამამწარა ყელი,
რათ წამართვა საყვარელი,
რისთვისა მოდ დანიშნული?
(დაფიქრებული) შევიქმენ შეყვარებული.
აი, მაშიკო, ალარ მაქს გული.
შენც გმართებს იყო გათრთხილებული.
(ფიქრის შემდგომ) ერთხელ, მახსოვს მე, იყო საღამო,
ახ! ტკბილი ტკბილი ჩემთვის საამო,
ერთად ვისხედით; წიგნს ვკითხებდი:
მე სიხარბითა მას ყურს უგდებდი.
ის წიგნი იყო რაღაც ტრფობისა,
ქალთა ს ყრმათა მიჯნურობისა.
არ მახსოვს, როგორ დიდ ხანს იკითხა,
რას დათიქრდიო, ღიმილით მითხრა:
ამოვიოხრე . . . მან გამოიცნა
ჩემი თიქრები . . . . დამიწყო კოცნა.
ამის მეტი არ გამიგიარა,
(გულზედ აჩვენებს) რომე იმ კოცნამ აქ დაიარა;
ასე ტკბილ იყო ის დაკოცნება,
რომე წამერთო სრულად გონება!
დიდხანს ვიყავი სიტკბოთი მთვრალი,
მერე სატრფომან მაწყურა წყალი:
(ამღერის) თვალი ავახილე
ს რა ვიხილე?
ალარ მქონდა გული,
იყო მოპარული,
თვისთან შეინახა,
ბვერდში დაიმარხა!
(ღიმილით) იმას დაუბამს ახლა ბორკილით.

თითით ანიშნებს) შენც გმართებს მაშაც, იყო სიფრთხილით.

მ ა შ ა.

კარგი გენაცვა, რა სათქმელია,
გული მანდვე გაქვს, ისევ მთელია;
განა ბოროკილით გული დაიბმის?
ჩემს სიცოცხლეში პირველად მესმის!

შ შ ლ ი ლ ი.

ამისთვის, რომა არ გეკარებია,
შენ ტკბილი ტუჩი არ გკარებია.
(იმღერის) მეც მაგას ვჩივი,
რომე ხარ ცივი:
არ გრძნობ ამ ცეცხლსა
გულის შემწველსა.
(ლიმილით) შენმა გაზდამა, არ კარ შემცდარი,
შენ ჯერ ხშული გაქვს გრძობისა კარი;
მოკა დრო, შენცა კარი გეღება,
ტრფობისა ცეცხლი გულს აღგეგზნება:
(იმღერის) გული გიწყებს ბგერასა,
ჩემებრ იწყებ მღერასა!
მაგრამ უფრთხილდი ამ გარეკნილს სოფელს.—
არ აკაჭვრინო შენც შენსა მშობელს.
(იმღერის) არ გიყიდონ ვით ნიკოთი,
ანუ ბაზრისა ჩითი.—
ვინ გითხრა, ტრფობა არის სირცხვილი?
ის არს სულელი ჯ ცუდათ ზდილი!
შენ არ გითხულობ, ქალო, ბრძნულ წიგნებს
ჯ მისთვის ტრფობა გულით გაშინებს.
მეც აგრე შენებრ ადრე ვგონებდი,
ვინემ გონებით გაკნათლდებოდი!
მაგრამ მე ეხლა ტრფობით ვამაყობ!
თუ არ მიკხვდები, თავსა დაიმხობ....
(აჩვენებს რომ ლაჯდეს) დამიგდე ყური, მე რას გასწავლი,

ამისთვის რო ხარ უმაწვილი ქალი.
ტრფობა არს ქალთა ბედი და წერა!
ეს წმინდა გრძნობა ღმერთმა შთაგვბერა.
შეგვქმნა ტურფანი, ლბილნი გვცა გულნი
ლ მამა კაცთან გვეო გადაბმულნი.
მათ ჯაჭვი ხელთა ჩვენი ცხოვრების
მისცა ლ ვართ სრულ მათის გონების.
კაცთა აქვს სრულად სოფლის უფლება,
ტახტი, პატივი ლ განდიდება.
ტრფობა არს ქალთა დანიშნულება,—
სხვა ამა სოფელს რა გვეგულება!...
ნეტარ მას ვისცა ჯაჭვსა ტრფობის
ჭეშვებს ლ გულით, სულით მიჭყვების!
იგრძენით მაშინ ქალის ცხოვრება,
თუ საქრმო თვისი არ ეყვარება,
თუ არ იტვირთა სოფლის ოინება,—
საბრალო ქალი უდროთ დაჭნება.
ეს არ უწყიან ჩვენთა მშობელთა,
არ ვებრალებით მათ უგრძნობელთა!...
რა თითონ კაცსა მოიწონებენ,
ჩვენც გვეყვარება ასე ჭგონებენ.

(ამ დროს შემოფრინდება ჩიტი. შეშლილი უყურებს, ფიქრობს ლ შემდგომ ფიქრისა.)

რისთვის არა ვარ მე ეხლა ჩიტი,
ანუ ტორფა ლ ანუ გვრიტი;
მაშინ მე მაღლა ავფრინდებოდი,
ჩემ საყვარელსა თავს ვეკლებოდი.
ყოველ დღე საფრთოს ჩემსას უმზერდი,
ტკბილისა ხმითა მაღლა დავმღერდი!
იქნებ ჩემსა ხმას გაიგონებდა:
ადრინდელ ტრფობას მოიგონებდა,
გულის გრძნობილით შემიბრალებდა,

ჯ ისევ ისე შემიყვარებდა!
მაგრამ იმისი არა არს ბრალი....
(ტირის) ახ, დედა ჩემო, რისთვის მომკალი!
მე ვერ ვიჩივლებ, იმას უყვარდი,
როგორც ბულბულსა მაისის ვარდი.
(შევა შინ ქალები შეჰყვებიან)

გამოსვლა ესამე

(შეშლილის დედა ზის ტახტზედ მოწყენილის სახით. ამ დროს შემოვლენ:) ანა, სიდონია, ქეთევან.)

ა ნ ა ს ა ნ უ მ. (შესტირებს)

ახ, ბატონებო, არ გებრალებით!
როგორ გიყურებთ ამ ბნელ თვალებით!
ჩემი ტასია რომ შემეშალა...
ვაიმე! ოჯახი სულ მოშეშალა!...
თქვენი ჯირიმეთ, მოდით მიშველეთ.
თუ არ მიშველით, ქვებით ჩამქოლეთ!

ა ნ ა.

უი შენს ანას, რა მიზეზია,
ქვეშაგებში წევს, თუ ჯერ ზეზეა!

დ ე დ ა.

რა_მიზეზია, შეჩვენებულმა,
მომიჯადოა გაჯავრებულმა!
ერთი კვირაა, არის შეშლილი;
დღეკანდლამდისინ არ ჭონდა ძილი.....

ქ ე თ ე ვ.

ეგეც არ არის გასაკვირველი.
უსჯულო იყო, არ ჭსწამდა მღვდელი:
ასე ანბობენ, იყო ლოთარანი.
ერთხელ დიდ მარხვას ჭსჯამა ბორანი;
ბოლტარის წიგნი ზეპირ იცოდა

ᲓᲐ საუდარშიაც ძვირად ვიდოდა.—

სიდონია.

ახლა ქალებიც ჩსჯამენ დიდ მარხვას:
არც ჩსჯულს დასდევენ, არც სოფლის ძრახვას.
რაც იყო, იყო, ჩსჯობს შერიგება;
მაგ ქალს ეშველოს მაგით ეგება.

დედა.

ბევრი უგზავნე მოციქულები,
მოწმათა მყავნან ჩემი მულები;
მაგრამ არ იქნა, არ მამეკარა,
რა ჩემზედ გული ამოიყარა.

ქეთევ.

მოდი მარქრიტას შევალოცვინოთ
ᲓᲐ მერე გული გავაზომინოთ,
ეგება მაგით მაგ ქალს ეშველოს;
ერთ აბაზს იღებს სულ გასამრჯელოს.

დედა.

გენაცვა, თვული რა სათქმელია,
რაც მაბადია რა საქნელია;
თუ კი მე ქალი მით მამირჩება,
რიღასთვის მინდა, რაც მებადება!

(შემოიყვანენ მარქრიტას, შეიყვანენ მეორეს ოთახში, სადაც შეშლილს ამინავს)

სიდონია.

მოდი, მარქრიტავ, მინამ ჩსმინავს ქალს,
ულოცე; მაგ სენს ვაბრალებ ავ თვალს!

მარქრიტა.

აგება გახლდეთ გიშრისა ჯვარი
ᲓᲐ აბრეშუმის შავი ზონარი!

(ამოიღებს ჯიბიდგან პატარა რქის ჯამსა, აავსებს წყლით, ერთ ხელში უჭირავს ნახშირი ᲓᲐ ჭრელ ტარიანი დანა. მოუტანენ გიშრის ჯვარსა, ჩააგდებს ჯამში, სამჯერ შეუბერავს წყალს ᲓᲐ მერე ულოცავს შეშლილს.)

მარქრიტა.

«მოგიდა თეთრი მხედარი,
«ხელთ უჭდა ქორი მწყაზარი,
«იჯდა თეთრსა ცხენსა,
«მცათ თავსა აბჯენდა,
«მოჰყვა თეთრი ჯარი,
«უკვალგან უდეს კარი,
«შეესივა შავ ჭაბუკსა,
«ვინ უკსევდა წინწალბუკსა.
«მოსთხარეს თვალები,
«ეიუკრეს მკლავები;
«მერე შესვეს ჯოჯოხეთსა,
«აიყვანეს კოჯოჯოხეთსა,
«ქვა მაბეს ყელზედა,
«გადაგდეს კლდეზედა!
«ღმერთო შენ უშველე ქალსა,
«მოარჩინე ავსა თვალსა!

(სამჯერ შეუბერავს, ნახშირით ჯვარით ლ დანით პირჯვარს გადასწერს, მერე ყელზედ ჯვარს შეაბამს. ამ დროს შემოვა დოხტური, მარქრიტა გაიპარება.)

ქეთევან. (ექიმს)

ნუ გეწყინებათ შევალოცვინეთ.

ექიმი.

იქნებ წამალიც დაალევინეთ?

ქეთევან.

მაგას უთქვენოთ როგორ გავბედავთ.

ექიმი.

მაშ შელოცვითა ცუდს არას ვხედავ.

(ამ დროს შეშლილი ილვიძებს, ქალები შევლენ მეორე ოთახში. ექიმი ახლოს დაუჯდება სკამით)

ექიმ.

(შეშლილს) როგორი გქონდათ, ხელმწიფეო, ძილი?

შეშლილი.

ახ უცხო, უცხო, დოკტორო, ტკბილი!

(ოცნებობს) მეზმანა ძილში ჩემი ბეგლარი,
ადრინდელივით იყო დამტკბარი.
(ალტაცებით) ვით აპოლონი იყო მშვენიერ,
ვითარცა ძველი ბრძენი გონიერ,
ვითარცა ჩვილი გულით ლმობიერ,
ვით საყვარელი სულით გრძნობიერ!
ვით ზეცის ზარის, ხმა მისი ტკბილი
გულსა ხვდებოდა, სულში კვდებოდა;
სამოთხებრივი მისი ლიმილი,
ვითა დილის მზე გაბრწყინდებოდა!
ჯ ტუჩნი ჩვენი შეწებებულნი
სვამდენ ზეციურ ღმერთთა სასმელსა,
გულნი დნებოდნენ შეერთებულნი.
ახ! რად არ ვიშთე საყვარლის ხელსა
ძალი ესეთი განტკბილებული!
რად არა იქმნა განგძელებული,
ჯ რაისათვის ახალ ტანჯვისთვის
ჩვალად შეგიქმენ განდგომებული!....
(შემდგომ ფიქრისა) მერე შეიქმნა უცებ მჯმუნვარი,
ყელს გადამკიდა გიშრისა ჯვარი:
ესე გქონდესო ჩემ საგონებლად,
შენი ვაების განსაქარვებლად!
(დაიხედავს გულზედ შეშლილი) ამას რას ვხედავ, აი ის ჯვარი!
ცხადი ყოფილა და არ სიზმარი,
დიახ ცხადია, ეხლა ვუეკარ ყელს,
ეხლა არ იყო მაძლევდა მე ხელს,
მეუბნებოდა ისევ შენი ვარ!
რა იმის ფიცით გული ვიჯერე,
მისი სახელი (აჩვენებს გულს) აქ დავიწერე.
(იმღერის) ნახეთ გულის ფიცარი
თქვენთვის დამამტკიცარი,

მასზედ არს დაწერილი,
სახელი ვისიც არის!
(დაფიქრდება) მახსოვს აქ ვიჯექ, ამ ზონარს ვქსოვდი,
«მიშველე ბეჭვა; მე იმას ვთხოვდი,
«კარგი, მითხრა, მაშ თითო ბეჭვაში
შენ მაკოცნინე მაგ ლამაზ თვალში!
«ამ ზირობაზედ რა დამიყოლა,
«თვის ცხარ კოცნაში მეც ამიყოლა.
(ოხვრით) ოთხი თვე ვქსოვეთ ჩვენ ეს ზონარი.
რატომ არ ვიქმენ მაშინ მე მკვდარი!

ექიმი.

თქვენ, ხელმწიფეო, ჭმუნვას იდიდებთ,
თუ ნებას მომცემთ, მე შეგარიგებთ!
თუ მას აქვს სული, გეთილ შობილი,
იქნება ისიც თქვენზედ გრძნობილი.

შეშლილი.

არა, დოხტურო, არ ვის დაჭყვება;
ნებას არ აძლევს ამბარტავნება,
თავს არ იმდაბლებს; მე კარგათ ვიცი,
გულში წარმოსთქვა საშინლად ფიცი.
მისი მალალი კეთილი გული
ჩემის სიგიჟით ვუკვ დაჩაგრული!
წიგნი მომწერა და რა ეწერა,
ვერ წაგიკითხე მშობლისა შიშით;
არ წამიკითხავს ვეფიცებოდი,
ფეხზე ვკოცნიდი, მუხლ მოდრეკილი.
შემინდე, ცრემლით ვეხვეწებოდი,
ცემით შევიქმენ ნეკ ჩადრეკილი!
რა ცრემლით დედა ვერ შევიჯერე,
მერე რაც მითხრა ყველა ვიჯერე.
გამაგდებინა მე მოტიქული,
მერე მყო სახლში კარებ დახშული.

გაჯავრებულმა სტრეზომ დაწერა
ჩემზედ, დოკტორო, ესე სიმღერა.
(იმღერის) მებრალვის, მწუხვარ რა ვნახავ ჭაბუკსა ქალსა, ორგულსა,
მავალს უგრძნობად უსაგნოდ სულითა გაქსუებულსა;
მის გული არის მგზავსება დარღვეულისა ტაძრისა,
ღმერთთაგან განტევებული მას სხვერპლი ქარსა ავდარად
კაცი ვერ ბედავს მუნ შესვლას, რათა აღავსოს ლამპარი.
ჯ მისა საკურთხეველში დაღვარნოს ცრემლი მდუღარი'
(მცირე ფიქრს უკან) ვეჩერში, იცი, ერთხელ რა ვქენი,
როცა დაუგრეს ფრანცუს კადრელი?
არ მიგვეც ხელი, რომ იყო შენი.
ეგონა ვიქმენ მასზედ გულ გრილი,
შევხედე სახე მას ეცვლებოდა:
ხან ყვითლდებოდა, ხან წითლდებოდა.
ჩემი სიგრილე ვიცი სტანჯვიდა,
რა დავსრულეთ მსწრაფლად გავიდა.
ვერ მოვითმინე, გული დნებოდა,
გავედი, ვნახე გულ შემოყრილი.
სტრეზო მეგონა, რომე გვდებოდა!
შევქმენ საშინელ ხმითა ყვირილი,
ჩემი კივილით სულ გამოცვივდნენ,
უცხონი იმას გულს უბრუნებდენ.
მე დედა ჩემმა შინ წამათრია.
დამიწყო ცემა, თმითა მათრია!
მითხარ, დოკტორო, რათ დამდაბლდება,
ჯ რიღასათვის შემირიგდება?
ჩემში რას ჭვრეტს, რა მიიზიდავს,
სახლის ყველრებას რისთვისა ჭსზიდავს?
რას ნახავს ჩემში მშვენიერებას,
სიმდიდრეს ანუ გონიერებას!
ადრეც რა იყო, მე ღმერთმან იცის,
რისთვის უყვარდი, ეხლაც არ ვიცი.

დოკტორი.

გრწმენოდეთ ჩემი, ეხლაც უეკარხართ.
განგებ უთხარი, რომ თქვენ ავათ ხართ,
შექნა ტირილი, თვულს მბირდებოდა:
მოამირჩინეო, მეხვეწებოდა.

შეშლილი.

(საშინელის ხმით დაიკივლებს) როგორ, შენ უთხარ, რომ კარ შეშლილი!
(დაეცემა გულ შემოყრილი. ამ ხმაზედ შემოცვივიან ქალები.)

ექიმი.

არა თვერია, არს შებნედილი.

დედა.

შენი ჭირიმე! რა მეშველება?
თუკი წამალი რამ გეგულება,
ნუ დაიშურებ, რითიც მორჩება,
გულის წუხილი ხომ არ ჭსჩემდება?

დოკტორი.

(ეს იქრის შემდეგ) მაგის წამალი სხვა არსად არის,
იქნება მორჩეს, თუ შერთოთ ქმარი!

ქეთევან.

გენაცვა, ეგე არის ადვილი! . . . .
რით არის ცუდი ელენეს შვილი,
უცხო სახისა, აქვს მერე ჯვარი,
კაპიტანია, კარგი მსწავლული.
შენმა მზემ ხვალვე დავწეროთ ჯვარი:
ამოვიყაროთ ლოტრანგის ჯავრი.

გამოსვლა მესამე

(ზალაში სხედან ქალები ბ კაცები ლოტოს თამაშობენ.)

ყმანი.

ერთი ყმა.

აბა ქალებო, ინებეთ ლოტო!

არ ითამაშებ, ქალო კატალო?
(დაიწყებენ თამაშობას, ერთი ქალი იღებს)

მეღანია.

სოროკ დვა დასკი ემანდა მაშო!
პედესტ რონა, მოვიგე ანბო.

მეორე ქალი.

ვიიშ გენაცვა, გაჩანჩხარე,
პეტ ამოიღე ჯ გამახარე!
შესტ დესეტ ოსემ. კარგია გმარა.
კინალამ გული შემომეყარა. (ამ დროს შემოვა ქაქანით ერთი ყმაწვილი)

ნინო.

აი გიახლათ ჩვენი მეჯორე.
აბა რაიცი, გვითხარი სწორე!

ყმაწვილი.

უცხო ანბავი, უცხო ანბავი:
ტასია მოკვდა, დაგირჩეთ თავი!

ნინო.

უი შენს ნინოს! მართლა ყმაწვილო?
საბრალო დედავ! შენ დალოცვილო!..

ქეთევან.

საბრალო ქალო.... გვიანბე წვლილად.

კატო.

მე არა მჯერა, ამბობს ტყუილად.

ყმაწვილი.

(ანბობს. გაუშვებენ ლოტოს თამაშობას)
გუშინ ჩვენსასა მართა მოვიდა,
ბებია ჩემთან შექნეს ჩურჩული.
მოიჩურჩულეს, მერე წავიდა.

ამაზედ კიქმენ მე იჯვნეული.
ჩემ დასთან შევედ, ვნახე ირთვება
ჯ გოგოს ჩუმათ ეკურკურება.
«აკი ვამბობდი, არის ტყუილი,
«ტასია ცრუობს, არ არს შეშლილი.
«ამალამ არის ჩუმათ ქორწილი;
«იცი, ვინ ირთავს? ელენეს შვილი.
რა ჩემი დისგან ეს გავიგონე,
იცით, ქალებო, რა მოვიგონე?
სალამოს ჩვენებს უკან გავუეკი,
ვნახე, რომ მართლა იყო ქორწილი:
მორთული იჯდა ტასო შეშლილი!
საყდარში წასვლას ემზადებოდნენ,
მხოლოდ კი ჩვენებს მარტო ელოდნენ.
ამ დროს მოვიდა ტუტუც ანტონი,
სთქვა მზათ გახლავთო თვიატონი!
მერე წამოდგა ტასო სახქაროთ,
ცრემლნი ზღიოდნენ, როგორც რომ წყარო!
მოვიდა დედას ხელსა აკოცა
ჯ დედამ ცრემლით ტასო დალოცა.
ქალებს ჭკოცნიდა ესალმებოდა,
მიეხვდი, სამინდოს რალასაც გრძნობდა.
ვნახოთ, ბატონო, ბალკონს გავარდა,
შეხტა მოვაჯირს, ტკვარში ჩავარდა....
შეიქნა ერთი ყვირილ კივილი
ჯ დარჩა საქრმო პირ დაღრეკილი!

მ ე ლ ა ნ.

ვიი შ, გენაცვა, შეჩვენებულმა,
გული მიბრუნა გადარეულმა.
შენ, დაწყევლილო, სად მოიგონე,

შაგდენი ჭორი სად გაიგონე?

ნინო.

რათ გამიხეთქა გენაცვა გული,
მე სამგან მქონდა ანბო დასმული!

უმაწვილ.

(გაჯავრებული) დღეს ითამაშეთ, ნუ დაიჯერებთ:
ცრემლი მზათა გაქვსთ: ხვალაც იტირებთ.

მელანია.

ფედდესეტ ოსემ—თუ მართალია,
მაგრამ დედაზედ სამართალია.
ვოსემ დესეტ სემ.... ეური არ უგდო,
საბრალო ქალი უმარწვილს მიუგდო.
შესტდესეტ დევეტ..... მე რა გავიგე.

ნინო.

უკაცრავათ ვარ, აი მოვიგე.

თ. გ. ერისთავი.

უფალო რედაქტორო!

თქუენი «მოამბის» პროგრამმა რომ წაგიკითხეთ, რა საკვრველია გვიამებოდა, რადგან იმედი მოგვეცა, რომ ჩუენი მწიგნობრობაც გაკვრცელდება და ყოველივე შესამეცნებელი და გამოსადეგი ცოდნა ჩუენს ქუყანას უფრო ადვილად მოეფინება. ერთმა საქმემ კი შეგვაფიქრა ცოტა-ხანს: პროგრამმაში ადგილი არა ჩანს სწავლასა ს კელოვნებაზედ რაც დაიწერება, სად უნდა იბეჭდებოდეს.—მაგრამ რადგან ვიცოდით, რომ ყურნალს შესაბამი ლირსება არ ექნება, თუ ისე გამოვა, რომ სამეცნიერო იმაში არა იყოს რა, გამოვიკითხეთ საქმე და შევიტყეთ, რომ არა თუ დაჩბეჭდავთ ამ-გუარს თხზულებასა, განზრახვაც თურმე გქონიათ, რომ როგორც შეიძლებოდეს ისე განმარტიდეს თქვენს ყურნალში კილოშესამეცნებელი,—ისე იწერებოდეს რაც კი სწავლაზე ს კელოვნებაზე დაიწერება, რომ ვისაც წაკითხვა არ უჭირს, იმას ადვრც გაგონება გაუჭირდებოდეს,—ამ ამბავმა სწორეთ დაგვიტკბო გული და ღმერთსა ვჩთხოვთ, რომ კეთილს განზრახვაში კელი კეთილად წარგემართოსთ.

ერთხელ ამხანაგები და მეგობრები თქუენი «მოამბის» ამბავში ვიყვით და ვჩთქჯთ, რომ თუ კაცი ვინმე ქართველთაგანი, თქუენი კელის გამართვის შემძლებელი, თქუენს მოხმარებას მოერიდოს,—თავისს მშობელს ქუყანას ამითი მაინც არ ემსახუროს ს კეთილ მოსახმარებლად მიღებული თავისი ანაბარი, თავისი ნიჭი, ტალანტი უსარგებლოდ მიწაში ჩაჩთვლას,—სათაკილოსა ყოფილა ქუყანაზედ იმისი ყოფნა.

ეს ითქუა თუ არა, მაშინვე მომატანეს: მაშ ხულარც შენ დაიზარებო და შარშანწინ რომ მიტჩელლის წასაკითხავები გამოვიდა ასტრონომიაზედ, ძალიან კარგი წიგნია. აიღე ს ქართულათა ჩთარგმნე «მოამბისათჯსა»; მაგრამ ესეოის კილოთი ჩთარგმნე, რა კი-

ლოთიც ილაპარაკებდი სალაპარაკოდ რომ გამხდარ-იყო ტ რა კილოთიც თვითან იმ ამერიკელს ბროდესლორს ულაპარაკნია სასაუბრო და სახალხო ენითა.

სიტყვაში რომ მომასწრეს, რალა გამეწყობოდა და თავს-ვიდე ეს შრომა «საქართველოს მოამბისათჳს».—უნდა კი ახლავე ალვიარო, რომ ეს ერთი საქმე მეტად ძნელი რამ დამსაქმეს მეგობრებმა. თჳთან საგანი არის განუზომელად მალალი და იმაზედ საუბარი კი ისე დაბლა უნდა დავიყვანო, რომ გაგონება ტ შემეცნება არც სწავლულს გაუჭირდეს და არც უსწავლელსა. ჩემის მხრით მე ამაზე მეტს ვერას დაგპირდებით, რომ ყოველის ჩემის შეძლებითა და ღონისძიებით ვეცადო ისეთი ლექსი არა შემომეპაროს რა, რომ სხვა უთვრო ადვილი გასაგონი ვიცოდე და ის არ ვიხმარო. მაგრამ—გარიგება თვულსა ჴსჯობიაო—იტყჳან და მეც ერთი პირობა დამადებინეთ ამ თავითვე:

ვარსკვლავთ-მრიცხველობა, ვარსკვლავთ-სიტყვობა, ასტრონომია, ისეთი სწავლა ა, როგორც მოგეხსენებათ, რომ ყოველად-უსათუო ა ყოველი ამ სწავლით მიგნებული განი; ისე ა უსათუო ტ უეჭველი, როგორცა, ვჴთქვათ, ორჴველ ორი ოთხი არის; ამიტომ რომ ყოველი ასტრონომიული შემეცნება მათემატიკურს დამტკიცებაზედ არის დათვუმნებული. მაგრამ ვისაც თავისი ჴკვის შეურყეველობის იმედი არა აქვს;—ვინც განუზომელს, მოუთვიქრებელს სიდიდეს მედგრად, უშიშრად ვერ შეჴხედავს; ვინც იტყვის, რაგინდ კარგს ხომალდში ვიჯდე, მაინც ვერ გავბედავ და ვერათუ ოკეანეს ზღვასაც ვერ მივანდობ ჩემს თავსა, თუკი ნაპირებს ველარსაიდამ დავინახამო,—ღვთისგულისათჳს ნუ დაიწყებს ამ წიგნის კითხვასა;—თუ არა, — კაცის გონებისაგან ყოველად მიუწდომელი საშინელი ძლიერება შემოქმედისა; ყოველად-საკჳრველი სიბრძნე, რომლითაც მსოფლიო არის დამყარებული; სიკეთე ყოველად-უკიდური, რიცხჳ ყოველად-უთვალავი, სიდიდე ყოველად განუცდელი, ყოველივე რაც ამ გვარი ამ ჩემს ნათარგმნში ამოგითხება, ისე დაამტრობს, ისე დაამდაბლებს, ისე დასთრგუნავს კაცის გონებასა, რომ თჳთან ეს გონება რომ განუზომელად ძლიერი არის, დიდად შე-

ძრწუნდება, დაიბნევა და გზა-კუალს ვერარ გაიგნებს.

და ვინც კი სარწმუნოებას შეურეველად ადგია, ვისაც გონება ისე აქუს შეზავებული, რომ რამდენიც უნდა საკვრველება საკვირველებას დაჰყვეს, მაინც არ შეირეევა აღსარება იმისი, რომ ღმერთი არის ყოვლის-შემოქმედი, ყოვლის დამმყარებელი, ძლიერებით ყოვლად-გარეშეუწერელი,—ყოველ ზომასა ჰ განსაზღუერებას გარეშემოფი; ან ასე ვჰთქუათ: ვინც კი გულში იტყვის,—მართალია, არა ვარ რა წინაშე ღუთისა და არარაობაზედ მეტათაც რომ დავმცირდე მის წინაშე, არც ეს შემაშინებს; მაგრამ არსება ვარ ისეთი, რომ შემიძლია იმისაგან მონიჭებული გონიერებით იმისი ძლიერება ვიკუალიო უკუნისამდეო,—იმან კი აიღოს ეს წიგნი და უშიშრად ყურადღებით იკითხოს.

ცოდვა და მადლი ასე მოგვიხდია ამ თავითვე. განსაკუთრებით თქუენ, უფალო რედაქტორო, ამასა გთხოვთ, რომ ბეჭდვაში არა შეიცუალოს რა, არც მართლ-წერა ჩემი, არც ლექსი და არც აზრი: რადგან შესაცუელი თუ გასასწორებელი რაც იქნება, კრიტიკის საქმე იქნება და ამ წიგნის თარგნმა მგონია ღირსი იყოს კრიტიკისა.

თქუენი ჰ სხვ.
დიმიტრი ყიფიანი.

დეკემბერი 1862.
ლაბა ზუგდიდი.

ზეციერი მნათობები.

ცოდიერები და ვარსკვლავები.

პირველი წასაკითხი.

რაზედაც მე თქვენთან ლაპარაკს ვაპირებ, ამას საუკუნე-დღეო კაცობრიეს ზრუნვასთან კავშირი ჰ დამოკიდებულება თითქმის სულ არა აქვს რა. — ჩვენს ქვეყანას გარეთ, ძალიან შორს, მალლა, იმ სივრცის ლაჟვარდოვან ზღვაში, სადაც ათასობით სხვა ჰ სხვა ნაირად შეჯგუფებული მნათობები ჭბრწყინვალებენ,—იმათი საოცარი მშვენიერება ზევით აიტაცებს ჩვენს თვალსა და გვაკვირვებს სთვერა იმათი, იმათი წრე,რომელშიაც იმყოფებიან. ვარსკვლავ-მოსილცას დღისით თვარდა არ გადეხდება ხოლმე, როდესაც ქვეყნიერი ამაოებისა და ყოფაცხოვრების ზრუნვაში გართულ-კაცს არ შეუძლია ნებით დასტკებოდეს იმათი შვენებისა და დიდების ცქერითა.—შუალამის მეუდრეობა უნდა, როდესაც მთელი ქვეყანა მოსვენებულია, მთელი ბუნება;—როდესაც მიმწყდარია ხალხის მოძრაობა ჰ ყაყანი,—ესშუალამის მეუდრეობა უნდა რომ თვალი ადევნოს კაცმა, მოკამკამე ცოდიერებსა ჰ ბრწყინვალე ვარსკლავებსა და ცისძირიდამ რომ ამოდიან გამოშეძიებელს კაცის-გონიერებას მიიზიდვენ, რომ იკვლიოს—როგორც შეუძლია—საიდუმლო არსება იმათი.

ბევრჯელ თქვენ ითქვენ გადამიტანია ჩემი თავი ექვსიათას წელიწადს წინეთ და ჩვენ ბირველს დიდ-წინაპარს გვენ ამოვდგომივარ სწორეთ იმ დროსა, როდესაც ბირველს მზის ჩასვლას შეჰყურებდა. რა საოცარი თქვენები უნდა მოჰფრეკიყო მაშინ იმისს გაკვ-

რკვებულს გონებასა. უკანასკნელი სხივი რომ ჭქრებოდა ჩამავალი მზისა და კიდევ-ღა გამოჩნდებოდა როდისმე ან საიდგანმე თუ არა, არ იცოდა! არეულ-დარეულის თვიქრით შეშფოთებული და დაღონებული დიდხანს შეჭყურებდა იმ ადგილს, სადაც ის იყო მზე ჩაიმალა. ჭხედავს, რომ რაღაც რამ საიდუმლოებითი, უცნაური სიბნელე გადმოეფინება მთელს ქუჩყანასა. რასაც მშუჩნიერებას კაცის თვალი იმ მსწრაფლად დაღეულ დღეს შეჭხაროდა, თითო-თითოთა ჭქრება და გამოურკუჩველს ბნელში ეხუჩვა ყოველივე. ახლა იმ ბნელზედ უფრო ბნელი ღამე, უფრო წუუდიადი გაურკუჩვლობა რაღაცა გულში ეპარება იმ ერთს, ქუჩყანაზედ მარტოდ მცხოვრებს კაცსა.—რომ არ იცის რა ითქიქროს, თითქო გამოსაკითხავად ზეკვით აიხედავს და დაჭხუდება გაკვირვებულსა ვეცხლის ნამგალივით მოლაპლაპე ახალი მთვარე, წმინდა და მშუჩნიერი, ცის სამყაროზედ დასავლეთის მხარეს როგორღაც საოცრად ჩამოკიდებული.—უჩუჩველის თვალით რომ კაცი ამას სიუცხოვით შეჭყურებს, აიხედავს კიდევ ზეკვითა და იხილავს იმისს წურილ ამალასა, იმისს ბრწყინვალე თანმხლეებსა,--თითქო ამოიპარებიანო, ერთმანერთს რომ ამოსდევენ მოჯირებულს ლაჟვარდზედ.—მარტო მეოთი უნებურად მუხლებს მოიდრეკს ლ ძირს დაეშუჩება გაკვირვებული, მოწიწებული.—ამასობაში დრო მიდის. ვეცხლ-თეროვანი მთვარის ნამგალიც გაქრა, ღამის მდუბარებაში ვარსკუჩლავები ამოდიან, აუჩქარებლად ცის სიმაღლეზედ შედიან, და იქიდამ ისევ ისეთის დიდებულებით მიწის ნაპირისაკენ დაიწყვენ. შეჭსრულდა მოკუდავის თვალისათვის პირველი დიდი შემოტრიალება სთვერსი, ამ მსოფლიო სიმრგუჩლისა·—ახლა თითქო რაღაც წმინდა, თხელი, ულონო ვარდისფერი ზოლი გამოჩნდა ალმოსავლეთის ნაპირზედა: უფრო ლ უფრო ცხადდება, უფრო და უფრო ნათლდება; ვარსკუჩლავები ჭქრებიან; ცთომილები გაჭქრენ კიდეცა; დამამუნჯებელის გაოცებით უსწორებს თავისს თვალს კაცი ამომავალს ამ ნათელსა, მანამდინ გამობრუნებული მზის პირველი სხივი არ გაანათებს მთელს ქუჩყანასაცა და ქუჩყანაზედ ამ მარტოდ მცხოვრებსაცა. ასე «იქმნა მწუხრი ლ იქ-

მნა განთიად დღე ერთი იმ კაცისათვის.

რაც რომ ამ პირველმა დიდებულმა ღამემ გამოძიების სურვილი დაბადა; რაც რომ უფრო ჯ უფრო ადმოჩნდა, თავისი დიდება ცაზედ აღუბეჭდია შემოქმედსა; რაც რომ კაცის სურვილს მხურვალება უფრო და უფრო ემატებოდა, ეგების საიდუმლო გამოვიკვლიო როგორმე ამ ბრწყინვალე მნათობებისა,—ეს ჩამომავლობას ყველა ანდერძათ გადმოეცემოდა ამ ექუსიათასს წელიწადში საშჯლითი-შჯლოდ იმ კაცისაგან, რომელიც გაკვრვებით პირველი შეჭეურებდა და თვალხ ადევნებდა ამ მნათობებსა; და კაცის ჭკუამ თუ საკელოვანი ძლევა შეიმოსა სადმე, აქ შეიმოსა, ამ განუზომელს ექუსიათასი წლის კუდევაში და ძიებაში.—მუხლი მუხლს მიჭყვებოდა, თაობა თაობას, საუკუნე საუკუნესა და ყველას კი შეჭქონდა თავისი ხარკი იმ დიდს მდინარეში, რომელსაც ახალ-ახალი მინაგნები ავსებს ჯ ადენს აქამდისინ და ამიერითგანაც უკუნისამდე.—ჭკუის ძალი ზღუდეს ზღუდეზედ არღუსკვდა, მნათობების საიდუმლო მოძრაობას იკუდევდა, იმათს დიდს კანონებსა ჭსნიდა, მძიმე მნათობებსა ჭსწონდა, იმათს ერთმანერთზედ მოქმედებასა ჯ დამოკიდებულებას თუდით ანგარიშობდა და მრავალ-გუარს იმათ გზებს იგნებდა იქამდინ, მანამდინ ეს თავისი ლონიერებით დიდებული ჭკუა სიწყნარით, აუჩქარებლად, თითო თვეხის შედგმით არ შევიდოდა იმ მტკიცეს იმისივე აშენებულის ძეგლის თხემზედ, საიდამაც, მსოფლიოს დიდებას შეჭყურებს გარსკუდლავებით გარემოცული და ღვთის წინასწარცნობით შემოსილი. იქიდამ უძლეველის ძლიერებით შეუბრუნდება ათასწლობითს დროს მდინარებასა, თან შეჭყვება და მაშინდელს მსოფლიოების ბრუნვასა ჭშინჯავს;—ან, ეს კიდევ უფრო საკჯრველი,—მომავალს რომ თვრდა ათვრია, იმას შეარღუსს და ცხადათ ჭხედავს ახლავე იმ ზეციერს მნათობებსა, რომელსაც ჩუსნ ვერა და ჩუსნი ჩამომავლობა კი დაინახავს, როდესაც რამდენიმე ათასი წელიწადი კიდევ გაივლის, საუკუნოებაში მდუბარებით შემავალი.

საქმე ეს არის, რომ რასაც ამ გაძნელებულსა და გაჭირვებულს ბრძოლაში კაცის ჭკუა ძალას ჭხმარობდა, ის გამოვჭსტოთ;—რაც

იმედი ეძლეოდა ან უიმედობაში შედიოდა, ის აგვხსნათ; რასაც მრავალწლობით და დიდი მოთმინებითა ჭშინჯავდა და გულს ადევნებდა, ხან რომ სასო წარეკუსთებოდა და ხან რომ გამარჯვებას დღესასწაულობდა, ის თვალ-წინ წამოგიყენოთ; რასაც საშუალობასა ჯხმარობდა, რომლითაც შეურყეველი სიძრაკუსლი ღრმად დაუმკვიდრა მეცნიერების გოდოლსა, ბირამიდასა, ის გამოგაჩინოთ ⁄ როგორ ჭშენდებოდა ეს გონიერებითი გოდოლი ასა-ს, ათას-ათას წლოვანებითა, როგორის შეწყობილობით იმართებოდა და ცამდინ როგორ შეჭქონდა თხემი;—ეს არის ახლა ჩუსნში წინ-ჩამოსაგდები,—ჩუსნი გამოსაცნობი;—ეს არის რაც მინდა აგიხსნათ და რაზედაც თქუსნს განუდრეკელს გულის-ხმიერებას მოგითხოვ.

უზომოდ ძნელია ეს საქმე. აქ ჩუსნს გონიერებას ვერა მოჭხიბლავს-რა: ვერა დაატკბობს-რა, ვერც სასიამოვნო ხმა საგრავებისა, ვერც წყობილი საბოეზიო ლექსების მშუსნიერება, ვერც მჯევრმეტყუსლება წამტაცებელი და ვერცა საბლასტიკო (1) რამე კელოვნება თვალის გამაკვრვებელი.—მართალია, მუზიკა არის,—მაგრამ სად ისმის? ღრმასა და დიდებულს სოფერების, სიმრგულეების ჭარმოანიაში, იმათს შეთანხმებაში.—ბოეზიაც არის; მაგრამ სად ამოგითხება? იმ მნათობს ასოებში, რომელიც მაღლა ბნელს სამყაროს თეურცელზედ არიან გამოხატულნი.—არის არხიტექტურაცა, ან ჩუსნებურათა ჭსთქუსთ, ხეროთმოძღუერებაცა, მაგრამ სადა? უზომოს მზეების და მნათობების შენობაში, წყობილი-ვარსკვლავებითა ⁄ მსოფლიოებით რომ არის ანაგები.—მჯევრ-მეტყუსლებაც არის, მაგრამ ესიტყუო, ეენო, ხმა არ გვესმის იმისი და მიგვიზიდავს კი რალაც რამ მოუცილებელი და მოუწყუსტელი საუბარი ქუსყნების ბრუნვისა.

რათ არ უნდა მიუგდოთ ყური ამ მუზიკასა? მეტად სადიდებელი და დიდად სადღესასწაულო რომ არის, იმიტომ ხომ არა?—რატომ არ უნდა ვიკითხავდეთ ამ ჩინებულს საბოეზიო თხზულე-

(1) ბლასტიკა—ქანდაკი, კელოვნება მოქანდაკეობისა, თლით გამოყვანა, ჩამოსხმა, შეკოწიწება ⁄ სხვა ამგუარი გამოხატულება,

მთარგმნელი.

ბასა? ასოების მაგიერად კარსკუნლავებით რომ არის ნაწერი, იმიტომ ხომ არა?—რატომ არ უნდა კვშინჯავდეთ ამ განმაცვიფრებელს შეხობასა? ცადაქნილობა, კამარაები და თაღები რომ უზომის სიკრცის მიზეზით სოცნებლად მიგვაჩნია, იმიტომ ხომ არა?—ამ მეჯვერ-მეტყუნსლებს რალათ უნდა მოკვრიდოთ ყური? მსოფლიოების ბრუნვა რომ მოსთქუამს, იმისთვისხომ არა?—არა ჯკუა ყოველთვის გამოშეძიებელია, მზათ არის, რომ მაღლაიწიოს ⁄ რაც უნდა ღრე-კლდე დაჭხუდებოდეს გასაჯირი, მაინც ქედზედ შესვლასა ცდილობს.— აბა, ისე წააქეზეთ ჯკუა, რომ საქმისათვის თავი შეადებინოთ; იმედის შუქი მიუნთეთ გზაზედ და ჭნახავთ, რაც უნდა ვიწრო იყოს იმისი ბილიკი, რაც უნდა გადასავარდნი იყოს, რაც უნდა ქვიან-კლდიანი, ოღონდ კი გამამხნევებელი ხმა ესმოდეს—წინწადექ, წინწადექიო, და დაზარების მაგიერად უთუოთ მოიმატებს თავის ღონესაცა ⁄ მეცადინეობასაც.

მე აქ მოსაწყინარს სწავლებაში თქუფნი შეეკანა არ მინდა; არც ამას განვიზრახავ, რომ მარტო ის წარმოგიდგინოთ მშრალათა, რაც კაცის მეცადინეობით აქამდისინ არის მიგნებული. მაგრამ, ერთის მხრით რომ მორიდებას ვეცდები—ისეთი სამეცნიერო საბუთების შემოტანით თავი არ შეგაწყინოთ, რაც მარტო სტრონომებისაგან არის გასაშინჯავი,—მეორეს მხრით გაბედვით ვეცდები, რა როგორ სწარმოებდა, რა და რა ნაირი ჭაზრობენება და მოთვიქრება შეუდგებოდა ერთი ერთმანერთსა, ეს აგიხსნათ, რომ ყოველმა ნათელმა გონიერებამ დაინახოს, რომ ამ ჩემი საქმის შესრულება შეუძლებელი არ არის; მერე მარტივი ენით და ადვილი გასაგონი განმარტებით სინათლეს მივაყენებ ამ საკვირველს სანახავებსა და ბოლოს გზაზედ გაგიყვანთ, თუმცა ბნელსა ⁄ გაუტკეცელს, გაუსწორებელზედ მაგრამ ისეთზედ, რომ, თუ იმას ვადექით, უსათუოდ მიგიყვანოს ამ ჩემი საქმის ახსნამდინ. ამისთვის, ვინც რომ ინებებს ⁄ ჩემთან შეუდგება საკვირველს გამოკუნლევას, რასაც მე ახლა ვადგევარ—,ამ საგანისა იციან რამე თუ არა, უსწავლიათ რამე თუ არა, მე არა ვის მოვკვითხავ;—მარტო ამასა გთხოვთ, რომ ჩემი ლაპარაკი შეურყეველის ყურისგდებით მოისმინოთ. თქვრით მომყვებოდეთ თანა,

ბუსრდს ამოუდეგით ასტრონომს იმის ღამისტეხაში ჯ როდესაც ის თავისი ჭკუის ღონით სხუა ჯ სხუა საბრძოლველს დაბრკოლებას შეებმის, მაშინ იმისს გრძნობასა ჯ იმისს გაჭირვებას თქუენი გრძნობაც გაუზიარეთ, თქუენის იმედით იმისი იმედიც განამხნევეთ, თქუენი შიში იმისს იჭუნეულებას მიუმხრეთ და თქუენი სიხარულით იმისი გამარჯუნება ადღესასწაულეთ. — ამასა გთხოვთ, სხუას არა თვერსა თუ ამასა იქთ, ნახევარს ჩემს ჯავთვს ახლავე შესრულებულად დაკითვლი.

ჯერ, მანამდისინ ცის დაწყობილების ახსნას შეუდგებოდე, ეს განზრახვა მაქუს, რომ ამ ბირველს წასაკითხში თვისება გაგიმარტოთ იმ წინჩამოგდებულის გამოსაცნობის საქმისა, რომლისაც ახსნას ასტრონომი ცდილობდა და გიჩუენოთ გომებითი და ნიგთიერებითი ავრალები, რომელსაც ასახსნელათა ჭხმარობდა. თუ ამ საქმის სიძნელე თავისი უზომო სიმძიმით თქუენს გონებას სათრგუნავად აწვებოდეს ჯ გაცისაგან შეუძლებლად გეჩუენებოდეთ,— მარტო ეს გაიხსენეთ, რომ მარადის ჭსცოცხლებს ასტრონომი. ერთი მხმილავი მოსცილდება თუ არა საყარაულო ჯიხურსა, იმის მაგიერად მეორე დგება მაშინვე და მღვიძარება არას დროს არა ჭსცხრება. არა: სწორეთ უკუდავი ა ასტრონომი. ედემის მთებზედ იწყებს თავისს გუნდევასა და წარღუნამდის რამდენსამე საუკუნეს ატარებს ვარსკუდავების შინჯვაში. წარღუნა გადაჭრეცხს ქუყანის ბირისაგან ხალხსა, ქალაქებსა, სახსენებელს ძეგლებსა; მაგრამ, რა რომ სხმა მოწყდა, რა რომ ცამ თავისივე მშუენიერებით მოიწმინდა, მაშინ ასტრონომი არარატის მთაზედ იწყებს იმავე თავისს დაუბოლოვებელს ღამის-თევასა. ბაბილონში ყარაულებს აყენებს ჯ ეგვიპტელს მოგუნებს ცის სამღთო საიდუმლოების გამორკვევას მოაწყურებს შინნარობის მინდვრები, ინდოეთის ტაძრები, ეგვიპტის ბირამიდები, ყველა ჯიხურია ასტრონომისათვის. როდესაც ადმოსავლეთიდამ ხალხის განათლება საბერძნეოისაკენ მიაშურებდა, ასტრონომიაც ბერძენთ საფილოსოფიო სასწავლებლებში ჭბინადრდებოდა; როდესაც უმეცრების საბნელე ქუყანასა გადაეფინა და მთელს ათასს

წელიწადს აბნელებდა,—ასტრონომი თავისს დაუბოლოებელს საქმეს არაბეთის მინდრებში ჩასქმობდა, თუმცა იქ მზე თითქო ცეცხლად ეკიდება ქუჩყანასა;—და როდესაც მეცნიერების ცისკარმა ევროპაზედ ინათლა, ასტრონომიც მაშინვე გაჩნდა აქა, კოპერნიკს ეხმარებოდა, ტიხონ ჩუჩყლიდა, გალილეისთან მწუხარებდა და კეპლერთან ჩდილესასწაულობდა. ექუსი ათასი წელიწადი გავიდა მას მერმეთ, რა რომ ეს გულევა იწყეს. ჩუენ ახლა ბოლოში უდგევართ ამ გრძელს ხსიერებასა და გეთილშობილურის თავმოწონებითა ვსიშნავთ, რაც ჩუენს თაობას დიდება შეუმოსია. გავლილსა და მომავალს შუა ნახევარგზიდამ უკან მივიქცევით და მოწმად ვადგევართ. პირველად რომ უმეცრებით ცდილობდნენ, ეგების ავჩხინათ როგორმე, რაც სანახავები ზეცაზედ მოგვევლინება ხოლმეო. ამ გუარათვე შეგვიძლია, რომ მოამავალს ათასს წელიწადს წინ მოვექცეთ და თუმცა ვერ ვიტყვით, როგორი რამ იქნება მაშინდელი მეცნიერება ასტრონომიული; მაგრამ ამაზედ კი შეგვიძლია დავწმუნდეთ, რომ გავლილი, ახლანდელი ჯ მომავალი სულ განუწყუტელი გრეხილია ძიებისა, რომელიც ასტრონომისათვის ამ სამსავე დროს ერთად შეჰკეცს ჯ იმ მნიშვნელობას დაუთვისებს, რომელსაც ეთქმის **ახლობა.**

რა რომ საქმეს ასე შევჩხედავთ, აღარ გაგვიჭირდება წარმოვიდგინოთ, რაც აქამდისინ არის ახსნილი ამ ძნელი გამოსაცნობის საქმისა, და ცოტად როგორმე დაახლოებით იმასაც მივჩხუდეთ, რაც ასახსნელი ჩრჩება კიდევ შემდგომისათჳს. მომავალი საუკუნოებისათვის.

ამ განმარტებაში მე იმ აზრების ზონარს აღარ წარმოგიდგენთ, რომელითაც აქამდისინ მიგნებული მიგნებულა; ეს მერე უნდა გავშინჯოთ. ახლა მარტო ამის ნება მოგეცით, რომ ის კითხუა წამოგსთქუა, რასაც თვალით სახილველი სამყარო წარმოგვიდგენს.

ცის კამარას რაც უნდა სხარტულად შემოვავლოთ **თვალი,** მაინც შევნიშნავთ, რომ ისეთი საგანი არა არის რა ცაზედ, რომ გაჩერებული იდგეს. **მოძრაობა** აქუთ მითჳსებული მზესაც, მთვარესაც, ცთომილებსაც და ვარსკულავებსაც. **რა**ზედაც ჩუენ ვჩხცხოვრებთ,

მარტო ეს მიწა რჩება უძრავათა; ჩუენის გრძნობით მაინც ასგვგონია.

რაც აქედან კაცობრივს გონიერებას პირველი ძნელი გამოსაცნობი საქმე წარმოუგდება,—ეს ის საქმე არის რომ, ნამდვილი მართალი მოძრაობა საოქრებელისაგან გაირჩეს და სწორეთ რა იძრვის, რა არა, შევიტყოთ. ამის შესატყობად უსაცილოდ საჭიროა, რომ ცოტა რამე ცოდნა შევიძინოთ,- როგორი მოუვნილობა აქუს ამ მიწასა. რომელზედაც ვჭსცხოვრებთ. მოუვნილობას გარდა მიწის მდგომარეობაც დაჭეშმარიტებით გამოვიძიოთ, უძრავად იმყოფება მართლა თუ მოძრაობს. თუ მსოფლიოს შუაგულში არის გაჩერებული, მაშ მზის ამოსვლა, მთვარის ჩასვლა, ცის კამარის ტრიალი სულ მართალი იქნება და ასეც უნდა გვგონებდეთ. და თუ შეუძლებელია, რომ მიწა უძრავად იდგეს, მაშინ შემდგომი ზედნაკეცი კითხვა გაგვიჩნდება: რამდენნაირი მოძრაობა აქუს მიწასა და როგორის სიჩქარით მოძრაობს? თუ ტრიალებს საგონებელი ღერძი ექნება და ეს ღერძი, როგორა მდებარეებს, სამუდამოა, თუ იცუელებს ხოლმე ? თუ ეს კითიქრეთ რომ ტრიალი არა და მსგლელობითი ან ცურვითი მოძრაობა კი ჭქონდეს სიგრცეში, მაშ საითკენ მიემართება ეს ცურვა, ეს ფრენა, თუ ეს რბენა მიწისა; როგორი არის გზა, რომელსაც ადგია, რა სიჩქარით მიკვ და რა კანონის ძალას ექუჩმდებარება ? ეს არის პირველი მიწის შესახები კითხუჩბი, სადაც ასტრონომი არის დაბინავებული და საიდამცა ჭშინჯავს ცა-დაქნილს ზენარს კამარასა.

ამის გარდა მიწის კიდეთ გარეშეთაც, შორს, მრავალი სხუა საქმე წამოდგება კიდევ გამოსაძიებელი, და ყველაზედ უწინ მზე მოითხოვს დაკვირვებით ძიებასა, ეს ჩუენი დიდი წყარო სიცოცხლისა, სინათლისა და სიტყოებისა. მზესა და მიწას შუა, ან მიწასა და მზეს შუა, რომ რაღაც უცნაური კავშირი არსებობს, ეს ძუელადგანვე ამითი მტკიცდებოდა, რომ მზე მოძრაობდა თუ გაჩერებული იყო,მაინც ერთის მეორისაგან სიშორე თუ სიახლოვე მაგდენად რათმე არას დროს არ შეცუელილა; და თუ ცუელილება მომ-

ხდარა რამე, მოკლეს დროშიგე გასწორებულა, ისევ იმავე განზედ დამდგარან და ისევ იმავე რიგით უწყვათ თავისი დამოკიდებულებაცა და ერთი ერთმანერთზედ დაშორება და დაახლოებაცა. აქედამ წამოსდგებოდა შემდგომი ძნელად გასარჩევი საქმე: უნდა გამოკუნულეულ-იყო და განსაზღუერებულ იყო დამოკიდებულობა, რაც მზესა და მიწასა აქუთ ერთმანერთთან; მოძრაობა ამ ორთაგან ერთისა, რომელიც მართლა მოძრაობს და საზღუარი, ან წრე, რომელს შიგნითაც ეს ცუდილება მოხდება ხოლმე, როგორც ხანში ისე დაშორებასა და დაახლოებაში.

და რა, რომ ერთხელ მზისა და მიწის კავშირი შეტყობილ იქმნა, მაშინ ამოჩნდა, რომ მიწას ხხუა დამოკიდებულებაცა ჰქონია მეორე დიდს სინათლის წყაროსთან, მთვარესთან. მთვარე მატებაში იქნებოდა თუ ცხრომაში, განი რომ მაინც არც აკლდებოდა და არც ემატებოდა, აქედამ გამოჩნდა, რომ მიწა მოძრაობს თუ თავისთჳსა სდგას გაჩერებული, მთვარე მაინც არა ჰსცილდება და მაინც. ყოველს მთვარის მოძრაობაში, როდესაც უძრავ ვარსკუულავებს შუა იმყოფება ხოლმე, ან როდესაც მზესა ჰშორდება,-ყოველს იმისს საკჳრველს ცუდილებაში, როდესაც მატებასა და ცხრომაშია, რალაც უხილავი კელი აყენებდა ყოველთჳს ერთნაირს სიშორეზედ მიწისაგან. მაგრამ სად იყო ეს კელი, ეს ძალი? მიწაში, თუ მთვარეში, თუ ერთად ორივეში? რისგან მოჰხდება დასავლეთზედ მზის ჩასვლის შემდეგ, რომ გამოჩნდება მთვარე, მაშინ წმინდა ვეცხლის ნამგალსა ჰგავს ხოლმე, და მზის ჩასვლის შემდეგ რომ აღმოსავლეთზედ ამოვა, მაშინვე სრულია, გაბადრული და მთელს ქუყანასა ნათელსა ჰფენს ხოლმე? რა საიდუმლო კავშირი, რა საიდუმლო მიზეზი უნდა იყოს მთვარის გაქრობაში და საშინელს მზის დაბნელებაში?—ყველა ეს კითხვა გამოსაძიებლად წინ ეფინა მრავალს საუკუნეში გულდასმითს მშინჯშუყლობასა და დაუბოლოებულს ჯათვასა.

მზესა და მთვარეს, რომ თვალი მოაცილეს და ვარსკვლავებს მიჰმართეს, უფრო ბრწყინვალეებში ზოგი ისეთი გაარჩიეს, რომ

ადგილს გადინაცვლებდნენ, გადაჰსცთებოდნენ ჯ რამდენიმე დიდი თუ პატარა ხანი, რომ გაგიდოდა, ცას შემოიეღიდნენ და ისევ იმავე პირველად შენიშნულს ადგილს მიგიდოდნენ, რომ კელ-ახლა ეწყოთ იქიდამ თავისი სიარული.—ამნაირს მნათობს დაერქუა პ ლ ა ნ ე ტ ა, ც თ ო მ ი ლ ი ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი, იმ აუარებელი მრავალს ვარსკვლავებისაგან გასარჩევათა, უძრავად რომ რჩებოდნენ თავის ადგილზედ რამდენსამე საუკუნეში.

აქედამ შეჰსდგა ახლა სხვა ახალი და მრავალნაირი ძიება: საით მიემართებოდნენ ეს **ცთომილები** ეს მოარული ვარსკვლავები? მოძრაობა იმათი სწორეთ მართალი იყო, თუ ჩუსნ გვეჩუსნებოდნენ მოძრავათა? ერთი ერთმანერთზედ დაშორება იმათი ყოველთჳს ერთნაირი იყო, თუ ესეც შეიცვლებოდა ხოლმე? კავშირი ან დამოკიდება ჰქონდათ რამე თუ არა მიწასთან, ან მზესთან, ან ერთად ორივესთანა? რა სიშორეზედაც მიწითგან იხილვებოდნენ, ეს სიშორე ყოველთჳის თანასწორი იყო, თუ შეიცვლებოდა ხოლმე? იმათ მოძრაობას წესი და რიგი ეტყობოდა რამე თუ არა, რომ სათქმელი ყოფილიყო, კანონს ემორჩილებიან რასმეო? უძრავ-ვარსკვლავებ შუა, როგორ მსვლელობდნენ: ხაზს მისდევდნენ რასმე 'გაბრუნდებულსა, თუ უგზო უკვლოდ მოარულობდნენ, უკელმძღვანველოთა? და ბოლოს, რაც კი მოძრავი სხეული არის,—მზე, მთვარე და პლანეტები,—იმათში კავშირი არის რამე თუ არა ისეთი, რომ ასე ერთად, მოუცილებლად იმყოფებოდნენ და ერთს სისტემას, ერთს ერთობას შეადგენდნენ.

ამ ძნელად გამოსაცნობი კითხვების ასახსნელად აუცილებელი საჭირო იყო. რომ დიდის სიბეჯითით და დიდის გულდასმით ეკვლევნებინათ თვალი ყოველი მოძრავი სხეულისათჳს, რაც კი საშინჯავათა ჩსჩანს ცაზედა. რადგან იმათი გზა ვარსკვლავებს შუა იყო,-ამ მიზეზით, პირველითგანვე მოკიდებული, ისე ყოველთჳს, ჩშინჯავდნენ, რომ უძრავი ვარსკვლავების მდგომარეობით შეესწორებინათ ხოლმე და შეემოწმებინათ იმათი მდგომარეობაცა. რასაც წრეში პლანეტები მსვლელობენ, იმ წრეს გარეთ, რომ თვრდა ჩა-

მოშვებიეო, როგორმე სამყაროსა და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დათვრეულიეო, კაცი იტყოდა, უთვრო ადგილი იქნება მოძრავი სხეულების გამოკვლევა და ვარსკვლავების აუარებელი სიმრავლე ველარ დაგვიშლის, რომ გავარჩიოთ როგორმე ვლანეტების მოძრაობაო. მაგრამ ამის თქმით ნუ ავჩქარდებით. ვარსკვლავებს რომ ველარა ვჭედავდეთ და მზეს, მთვარეს და ცთომილებს გარდა ცაზედ სხვა, რომ ალარაჩნდეს რა, ყოველად შეუძლებელი და იქნებოდა გამოგვეკვლია როგორმე ან საიდუმლო მოძრაობა იმათი, ან იმათი ერთმანერთის კავშირი და საერთო კანონები.

ეს თავისთავად აიხსნება, რა კი ვითქრებთ, რომ ეს ცვლილება რომ მომხდარიეო როგორმე და ვარსკვლავები ველარ დაგვენახა, ცაზედ უძრავი წერტილი ალარა შეგვრჩებოდა რა, რომ იმისი ადგილით ვლანეტებისაგან ადგილის გადანაცვლება შეგვემოწმებინა. სხვა ალარა გაეწყობოდა რა მაშინ, თუ არ ერთი მოძრავი სხეულის ადგილითვე შემოწმება მეორე მოძრავი სხეულის ადგილსა და მაშინ ერთის მოძრაობა მეორეს მოძრნობის გზასა და კვალს ისე დაგვიბნევდა, რომ სრულებით ველარ მოხერხებულიეო დაჭეშმარიტებით განსაზღვრება და გამოკვლევა იმათი მსვლელობისა. როგორც ვირველს მენავეებს ოკეანეში გზის გამსწორებლად კუნძულები ჰქონიათ აქა-იქა დახიშნული, ისე ზეციერი ვარსკვლავები მოუნიჭებია ასტრონომებისათჳს უზენაესსა და მანათობელ სვეტებად დაუწესებია, რომ იმათი ადგილებით შეგასწორებდეთ ხოლმე მოარული ვლანეტების ადგილებსაც, მსწრაფლად-მოტრიალე მთვარის მდგომარეობასაცა და იმათი გზების გამოკვლევასაც წერტილითი წერტილამდინ.

როდესაც ცხადად დაინახეს, რომ ვლანეტების მოძრაობის შინაკვა და დაუცხრომელი თვალის დევნება სწორეთ მიუცილებელად საჭირო იყო, მაშინ იმისს თვიქრსაც შეუდგნენ, რითი და რა ნაირად უნდა მოხერხებულიეო ეს შინკვა და ეს თვალის დევნება. ამ მიზეზით, ძალიან ძველს დროშიგე, ასტრონომს უძრავი ვარსკვლავები კრებულ-კრებულად დაუყვია, მწყობრათ და მწყობრათა, ასე

ნაწილ-ნაწილად გამოუხაზავს ცის კამარა და ამ ნაირი გამოხატულების მექონი ცალ-ცალკე შესდგომია თუთო ნაწილის შინჯვასა ⁄ დაწურილებულს გამოძიებასა.

მაშინ არა თუ ყოველს მწყობრში აურიცხავთ ვარსკვლავები ⁄ რომელი როგორა ჭბრწყინავსო გაურჩევიათ, ერთი ერთმანერთზედ შემსგავსებული მდგომარეობაც ისეთის სიმართლით გამოურკვევიათ, როგორც კი შესაძლებელი ყოფილა უწინდელი უბრალო იარაღების მოხმარებითა. ყოველს ამ კრებულთაგანს ცალ-ცალკე დაჭრიქმევია მაშინ საკელი,—მაგრამ რა დრო, სად და ვისგან, ეს ჩუენ ალარ ვიცით; ველარც ისტორია გვამხილებს ამასა და ველარც სიტყვიერად გადმოანცემი მოთხრობა. ქუყანებისა, საკელმწიფოებისა და ხალხების რღუვასა და შლას არა გადარჩენიარა, ამ მწყობრების გარდა, ისევ შეურყევლად, და უცვალებლად რომ არიან ცის კამარაზედ.

რა რომ ეს მოახერხეს, რომ უძრავი წერტილები მოძრავებისაგან ბეჯითად გაარჩიეს და დაახლოებითად სწორე ზომა როგორ უნდა შეტყობილიყო იმათი ერთმანერთზედ დაშორებისა, ესეც რომ გაიგეს, მაშინ შესაძლებელი შეიქნა, რომ ყოველი ვლანეტისათჳს თვალი მოუცილებლად ედევნებინათ და მსვლელობის გარემოება და სიჩქარე ერკჳთ. ასე მოხდა ბირველი გამოცნობა. ახლა ცხადად დაინახეს, რომ ვლანეტები უთანასწორო სიჩქარით თურმე მოძრაობენ. ხან მსწრაფლად მიდიან უძრავ-ვარსკუელავებს შუა; ხან შეიგჳანებენ, თითქო შედგებიან ხოლმე, დაიწყვენ, კიდევ შედგებიან და ბოლოს ჯერ წყნარად და მერე უფრო და უფრო მომატებული სიჩქარით ისევ გაუდგებიან თავისს წინ-მიმავალი მოძრაობის გზასა.

ამათი საკჳრველი სხუა და სხუა-ნაირი მსვლელობა მზისა და მთვარის მსვლელობას რომ არ მიემსგავსებოდა, ახლა აქედამ წარმოუდგა გონებას ახალი საქმე, კარგად გასაშინჯავი და ცხადათ ასახსნელი. რაც ამას ძიება შეუდგა, ამ ძიებამ დიდად შესამეცნებელი ერთი ეს ამოაჩინა, რომ თუმცა ვლანეტების ბრუნვას ყველას სხუა და სხუა დრო უნდებოდა, მაგრამ ცალ-ცალკე თჳთო ვლანეტის ბრუნვას კი ყოველთჳს ერთნაირი დრო უნდებოდა,—ასე რომ-

რაც ხანი ერთხელ მოუნდა ერთი ბლანქტის დაბრუნებას, მერმეთაც ყოველთჳს სწორეთ იმდენი უნდებოდა ხოლმე უმეტ-ნაკლებად; ამას გარდა ძალიან ადჳლ-გასაგნებად ამოჩნდა ის უძრაგ-ვარსკჳლავებ შუა დაქნილი ბრუნდე ხაზი, რომელიც გზასა ჴნიშნავს მზისა, მთვარისა და ბლანეტებისას და ყველა ეს მოარული სხეულები ერთს ძალიან ვიწროს ზოლში თურმე მოთავსდებიან ცაზედ.

რამდენიმე საუკუნე გავიდა,—არათუ საუკუნე,—რა მდენიმე ათასი წელიწადი, რა რომ კაცის გონება ცის გამოძიებას შეუდგა; და, მართალია; ყოველს საუკუნეში ერთს რასმე მიგნებას მეორეც დაჴყებოდა ხოლმე და ამითი ბევრი რამ ძნელი გამოასცნობი ადმოარჩინეს; მაგრამ ძიების უმთავრესი საგანი კი დიდ-ხანსა ჴრჩებოდა აუხსნელი და კიდევაც გასაჴირი იყო ნამდჳლი მოძრაობის გარჩევა საგონებელისაგან. ბოლოს ამასაც გაუთენდა ნათელი დღე, ერთი ერთმანერთის მიყოლებული მეცადინეობა არღუჴვდა ცოტ-ცოტად ყოველ გასაჴირსა, რაც კი გონებას ძიებაში გზას უბრკოლებდა. გამოანაცანი სექმეები ჴმატულობდნენ და მრავლდებოდნენ. რაც კი საკჳრველი და მრავალნაირი სანახავი გამოკჳლეული ყოფილი როდისმე, ყველივე გამოიკითხეს და ერთი ერომანერთს შეუმოწმეს. მაშინ, ასტრონომს მიწა რომ მიაჩნდა ამ სანახავებისა და იმათი მოძრაობის შუა წერტილათა, და რომ შეატყო, ამ მოძრაობის ახსნა უფრო და უფრო გაძნელდა,—გამოეთხოვა თქვენ ამ მიწას და მზეს მიჴმართა. ეს თითქო შედგა. შეისჳჩინა და ამ უძრავის წერტილიდამ გადაჴედა მბრუნავს მნათობებსა, რა დაინახა იქიდამ? დაინახა, რომ ამ მნათობების მოძრაობაში ძნელი ასახსნელი სულ თურმე არა ყოფილარა: მიაგნია, რომ მსოფლიოს შუაგული სწორეთ ის იყო, სადაც თვენ იდგა ახლა და საიდუმლოც გამოცხადდა: ჩჳენი მძიმე მიწა თავისი საგონებელი უძრაობიდამ გამოვიდა და შესაბამი ადგილი დაიპყრა ბლანეტების რიგში; წეგრი თურმე ყოფილა იმ დიდის ოჯახისა, რომელიც მშჳენიერებით და თანხმობით დასტრიალჳებს თავისს საერთო ოჯახის თავსა და ეს თავი ყოფილა მზე.

ამ გუარი დაბრკოლების მოსაცილებლად ორში ერთი უნდა ქმნილ-იყო: ან თჯთან მშინჯავი გადასულ იყო მიწიდგან განშორებულს ბლანეტებზედ და რასაც აქედამ ვერას იარაღით იმისი თვალი ვერ მისწუდებოდა, იქ ახლოს ეშინჯა; ან არა და ის ბლანეტები უკიდურის ზეცის სივრციდამ მიწასთან მოეახლოვებინა და აქედამ ადარ მოეცილებინა თვალი. ადჯლად წარმოვიდგენთ, რა უიმედო უნდა ყოფილიყო ერთიცა და მეორეც. მაგრამ—კაცის ნიჭიერებას ვინ გაუბედავს, რომ საზღუარი დაუწესოს. მჯვირვალე ბროლის ნივთიერებაში რაშიმე, რომ სინათლე გასჯჯრს, ერთხელ ამასა ჭშინჯავდნენ დაკჯრვებულის ძიებითა და იმათი კანონი მიაგნეს ერთი, რომელმაც დიდი იმედი მისცა უნუგეშო ასტრონომსა. რა ამ კანონს კელი მოჭკიდა, ღონივრად შეუდგა ახლა თავისი საძიებელის ძიებასა და ისეთის იარაღით შეიჭურვა, რომ უწინ ამ იარაღს საოცნებელათაც ვერა ვინ ითვიქრებდა. ამ იარაღის ძლიერი შემწეობით ასტრონომი თითქო მოსცილდა მიწასაო, იმ სიშორეზედ შეიტანა თავისი მოუთვიქრებელის ძლიერებით მოსილი თვალი უკიდურს მალს სივრცეში. განიხილა მთვარე და ნახა იქ ქუყანა მალამთიანი და ვრცელ-მინდვრიანი. ვარსკუულავის მსგავსი ცთომილები უეცრად გაიზარდნენ იმისს თვალში, გამსხჯლდნენ, მრგუალ-მრგუალ სხეულებად გადაიქცნენ, რომელთაგან ზოგიერთს თავ-თავისი მთვარეები დასტრიალებენ,—და აუარებელი უანგარიშო სიმრავლე ჭნახჯ ისეთი მშუყნიერი და ბრწყინვალე უძრავი ვარსკუულავებისა, რომელიც არას დროს არ ნახულიყო კაცისაგან და არც ინახებოდა, ამ საოცარის იარაღით რომ თვალი მომართული არა ჭქონიყო. ეს ყველა ერთმა თვალმა იხილა ისეთი ძლიერებით მოსილმა, რასაც ათასი თვალის ერთად შეკრებილი თჯსება შეადგენს.

მაშინ ახალი ბრწყინვალე დილა გაუთენდა ქუყანასს, გამოჩნდა ყოველივე უმცირესი და უიარაღო თვალისათჯს უხილავი ურიგობა ბლანეტების მოძრაობაში და მსწრაფლად ჭგროვდება ყოველი მასალა, რაც კი საჭირო არის უკანასკნელი დიდი გამოსაცნობის ასახსნელად. ბლანეტების ბრუნდე გზები გაიგნეს; ბლანეტების ბრუნ-

�is კანონები ამოიკითხეს; საიდუმლო დამოკიდებულება და კავშირი, რაც რომ მზიდამ პლანეტების სიშორესა და იმათს შემობრუნების ხანს ერთმანერთში ჰქონიათ, ბეჯითად აღმოაჩინეს და ცხადად დაინახეს, რომ ეს პლანეტები ერთს დიდს საოჯახო ერთობას, საოჯახო კრებას თურმე შეადგენენ. ეჭვ არ არის, რომ მზესთან არიან შეთჯსებულნი რაღაც მიუგნებელი კავშირითა და ახლა ეს ღა რჩება მისაგნები, რა ძალა აქუს ამ კავშირსა და პლანეტების დაახლოებით თუ დაშორებით ამ კავშირს ემატება, ან აკლდება რამე თუ არა? ბოლოს ამისი ჭეშმარიტებაც აღმოჩნდა და ვჰსცნობთ ამ ჩუჟნი დიდი მსოფლიოს საკერველს დაწყობილებაში სრულს ყოვლად-სიბრძნეს შემოქმედისას.

ასე შესდგა კაცმა ფეხი მეორე ფეხის-დასადგმელს იმ მკვდრსა და შეურეველს პირამიდაზედ, რომლისაც თხემი ზეციერს კარსგულავებამდის არის ატანილი. ამ სიმაღლიდამ გონებით შესცქერის კაცი მბრუნავს პლანეტებსა. იმათ გარეშემო დამტრიალე თანარბედებსა და საიდუმლო კომეტებსა (კუდიან ვარსკულავებს) და ამმდგომარეობაში მყოფი კითხულობს: ეს სხეულები რომ ასე არევდარევით და გზადაბნეულად ჰმსვლელობენ,—ისეთის სიმკვდრით არიან თუ არა თავისს გზებზედ დაყენებულნი, რომ იმათი სწორზომიერება არას დროს არ შეიშლებოდეს და ერთობა არას დროს არ დაირღუჟოდეს.

ახლა ამის პასუხისათჯს გაჩნდა კიდევ სხუა მრავალგუარი იება: შეიტყეს თანარბედის წინა-პლანეტის წონასთან შესწორებული, და წონა პლანეტისა მზის წონასთან შესწორებული და რაც კი ამ საზეო ერთობის თჯთო მონაწილეში ნივთიერება არის ყოველივ სრულის სიბეჯითით გამოიგნეს. აქედამ შეუდგნენ დიდად გაჭირვებულს კუალევას: პლანეტებს რომ რაღაც შეშფოთება |შეეტყობათ ხოლმე, რა მიზეზი არის? ტელესკოპმა (1) შორ-სახედმა ამოა-

(1) ტელესკოპი არის ბერძნული სიტყვა: (ტელე) შორი და (სკოპეო) ხედვა, ცქერა, ყურება.

ჩინა, რომ მთავრის მოძრაობაში, ვლანეტების წრეებში და იმ სხვა და სხვა გვარს მდგომარეობაში, რაშიაც ეს წრეები იმყოფებიან, რაღაც აუჩქარებელი და საიდუმლოებითი ცვლილება მოჰხდება ხოლმე, მაგრამ ამ გვარი ცვლილება ყოველთჳს ერთნაირად ჰსწარმოებს თუ არა? და თუ ერთნაირად ჰსწარმოებს ხოლმე, მაშ იქნება ამ რუკვაში იყოს დასაბამი იმათის დარღვევისაცა, მიზეზი იმათის დაშლისა ჲ დანგრევისა? შეიძლება თუ არა რომ, თუმცა გჳან როდისმე, მაგრამ ისე სარწმუნოდ კი, როგორც თჳთან დროების დიდებული განმავლობა არის სარწმუნო,—მოაწიოს იმათმა აღსასრულმაცა და ვლანეტები, იმათი თანარბედები და კომეტები, ერთი ერთმანერთის მიდევნებით მოსწყდნენ და რადგან მზეს ეკლებიან, ზედ დაეცჳდნენ? დიდად გაგრძელებული იყო და დიდად გასაჭირი ის ჯაფა, რომელსაც კაცის გონება ამ კითხვის პასუხის საგებლად შეუდგა. მრავალი დაწერილებითი ძიება უნდა შესრულებულ-იყო, მანამდინ ეს საქმე ყოველითურთ აიხსნებოდა.

როდესაც ჩუენი სამზეო ერთობის მონაწილეებში იმათი ერთმანერთის კავშირი და დამოკიდებულობა აღმოაჩინეს, როდესაც შეიტყეს, რომ ვლანეტებს, იმათს თანარბედებს და კომეტებს რაღაც გავლენა თურმე ჰქონიათ ერთმანერთზედა; მაშინ სამარადისოდ მოგვეშალა ყოველივე, რაც კი იმათი მოძრაობისა ვიცოდით რამე; რაც ცაზედ იმათი სმენლობის წრეები გვეგულებოდა თვიქრით შემოთვარგლული, შეგვეშალა ახლა ეს წრეები და რას ადგილსაც იმათი მდგომარეობა გვეგულებოდა სულ აგვერია; იმათი მსვლელობის კუნლები და ხაზები რომ უსათუოდ მიჩნებულად მიგვაჩნდა, ამ გზების გადაცილება იმათი შეუძლებელია, რომ ვიტყოდით და ცოდნით თავს ვაწონებდით,—ყველაში შემცდარი თურმე ვყოფილ-ვიყავით და ეს ჩუენი სამზეო სისტემა ისეთ გაუგნებელ საქმედ გადაგვექცა ახლა, რომ კაცის ნიჭი, რაც უნდა ძლიერი იყოს, აქ სულ ველარას გაარჩევსო, ასე ვთვიქრობდით.

მბრუნავი ქუჩუნების სისტემა ისე უნდა აშენებულიყო ახლა, რომ ერთმანერთში გავლენა და დამოკიდებულება ჰქონიყოთ; უნდა

შეტყობილიყო სიდიდე იმათი; ნივთიერების რაოდენობა, რისგანაც შედგენილნი არიან; სიშორე ერთმანერთისა და მდგომარეობა, რაშიაც არიან და იქნებიან, ათასჯერაც რომ დააკრულიყონ თავისი გზებისა შეშოგლა!—მაგრამ ვისა აქუს ისეთი გმირული ღონე და ნიჭი, რომ ამ საზარელ საქმეს შეებას და მოერიოს?—განუვალს ზღუდეებ-შუა სტრიალებდა გონება კაცისა, იბნეოდა და გაურკუჩველს სიბნელეში იკარგებოდა.

რა კი ერთხელ გონება ამისთანა გაჭირვებაში ჩავარდება, გამოსასვლელად თავისსავე საკუთარს ძალას მოიხმარს. თუ რომ მალალს მთაზედ შემაკალი კაცი ჯვთვასა ჭსწევს და თან და თან ზევით და ზევიდ შედის, კლდიდამ კლდეზედ გადადის, ხეურელსა და ეერიალო ადგილებს გაივლის; დიალ მტირე ღონის მექონი ხან შეისუნჩნებს, ხან ისევ მოიმჯობინებს და თავისს გზას შეუდგება, ახლა კიდევ, ახლა კიდევ და იმდენს ეცდება, რომ ასწევს როდესაც იქნება იმ თხემამდინ, სადამდინაც შესვლა განუზრახავს;—გონებისათჳს კი რატომ ველარა უნდა მოძებნილიყო რა ისეთი საშუალობა რამე, რომ შრომაში კელი შეჭსწყობილიყო საქმის გასათავებლათა, შესძლებიყო ხან დასუნჩნება, ხან გამხნეკება და ამასობაში არც ის დავიწყებიყო რასაც ამ მოქმედებაში შეიძენდა გამოსაყენებელსა.

ლეომეტრიამ ისე განიმტკიცა გონების ძალა, როგორც ვარჯიში (გიმნასტიკა) ძარღუნჩს უმაგრებს კაცსა და ალონიერებს, მაგრამ ნივთიერებითი ძალა კი ისეთი ვერა მიანიჭარა გონებას ლეომეტრიამ, რომ იმ გასაჭირს მოჭრეკიყო, რაც იმისს ღონეს გადააჭარბებდა.—არხიმედმა სთქუა თურმე: თუ მომაკიდებინეთ სადმე ამ ჩემი აზარმაცით ადგილიდამ დაკსძრამ ქუჩყანასა.—ამ აზარმაცისა არ იყოს, ასტრონომსაც ისეთი რამ მოხვრხება ეჭირვებოდა, რომ გაუგნებელი მოძრაობა ეშინჯა ქუჩყნებისა და გაეგო რამე; და ჭკუა ხომ, რასაც კი ერთხელ შეუდგება და იტეკს უთუოთ მინდ გაიგოო,—აუცილებელია გაიგებს და ალარც დაუგჯანდება. გამოიგნეს

ანალიზი (1), დაწყებულებითი რჩევა და რკუნვა დაუსრულებელად შემცირებულის რაოდენობისა; (2) დასაბამი ამისი აღმოაჩინეს ჯ ამ სარკუნვი ანგარიშის შეუმუსრავი ძლიერება კაცის ნებამ დაიმორჩილა თავისს გასაგირს საქმეებში მოსახმარებელად.—მე აქ ანალიზის თესების ახსნისათჳს აღარ შეგვსდგები, რადგან ამას სწავლა უნდა ბევრი. ახლა ჩუენი ყურადღება მარტო იმისს ძალასა და ხასიათს უნდა მივაქციოთ.—რა რომ ერთხელვე ბლანეტას მიადგება გამოსაძიებლათა, ანალიზი იმას თავს აღარას დროს არ დაანებებს; რაც უნდა არეულ-დარეული იყოს იმისი მოძრაობა, რამდენნაირიც უნდა იყოს დამოკიდებულება, რომელსაც ექუნდებარება და რაც უნდა მრავლობითი იყოს ტრიალი და ბრუნვა იმისი; ყოველად შეუძლებელია ანალიზს გამოეპაროსა რამე. ეს ყოველის გამხილველი ანალიზი თავისს საძიებელს საგანს მოუტილებლად გამოეკიდება, გზას იკუალევს იმისას და ყოველთჳს ერთნაირის სიადჳლით დაგვანახვებს, რა ადგილსაც უნდა იქნებოდეს ის საგანი თავში, ბოლოში თუ შუაგზაში, თუნდ ათასჯერ დაბრუნებაში და თუნდ ას-ასი წელიწადიც მოუნდებოდეს თჳთო დაბრუნებასა.

რა რომ ჯკუამ ეს თავისივე მოგონებული ანალიზი აირჩია ასრალად ჯ ამ იარალს რომ იმდენი ძალა მიანიჭა, რამდენიც უფრო ჯ უფრო დიდს გამჭრელობაში შემავალს თვალს უფრო ჯ უფრო დასჭირდება,—მაშინ ამ ანალიზით შეჭურვილმა ჯკუამ კელახლად შეიკრიბა ყოველი თავისი ღონე და უკანასკნელი დიდი საკითხვის ახსნას შეუდგა. აქამდისინ რომ განუვალი ზღუდეები აბრკოლებ-

(1) დაბსნით შინჯვა, დაშლით რჩევა. მრთელი რამე რომ ჯერ დაიშალოს ჯ მერე ყოველივე ნაშალი ცალ-ცალკე გაიშინჯოს, გაირკუსს,—ამგუარს გაშინჯვასა ჰქვა ანალიზი.

(2) ასე ვჰსთარგმნე მათემატიკური გამოთქმა უზომოდ მცირე ნივთიერებისა· რომლისაც უფრო და უფრო დამცირებას ბოლო არა აქუს. ამ თარგმნაში რუსულს გამოთქმას სხუა ენებისაც შევუსწორე: **безконечныя, или безконечно-малыя величины;**—les quantités, infinies; infinite quantities;—die unendlichen grözzen.

დნენ, ახლა ეს ზღუდეები თავისთავათ ინგრევიან; შეუპოვარი ძალა ანალიზისა მივა ლ მივა გამარჯვებიდამ კიდევ გასამარჯვებლათ, მასამდისინ სოცარს გამოკუნლევას არ მიადგება: ცხადათა ჭეშდავს ახლა ასტრონომი, რომ სისტემა ჩუენი (სამზეო ერთობა) მკვიდრია, სწორ-ზომიერება იმისი ყოვლითურთ სრულია; წესარი, აუჩქარებელი აქეთ-იქით რეევა იმისი, რომელსაც გონებისაგან განუზომელი დრო მოუნდება ხოლმე, არას დროს არ გადასცდება თავისს დაწესებულს საზღვრებსა.

რიგი იყო რომ კაცობრიები თავის-მოუფარება აქ შემდგარ იყო. ასტრონომმა რა კი ამ სისტემის საიდუმლო გაიგო, რომელთანაც თჳთანაც განუწყუფელი კავშირი აქუს, უნდა ეს ეკმარებინა, თავისი ბრძოლა გაეთავებინა ლ უძრავი გარსკუფლავებისათჳს მაინც ალარ მიეყო კელი, იმათს სამყოფველს მაინც ალარ მიჭვდომიყო. მაგრამ გამარჯუფებამ ასე იცის: ერთი წარმატება სხუა წარმატებას მოანდომებინებს ერთი საწადელის ასრულება მეორეს ასურვებინებს ლ უფრო მძიმე საქმისათვის მოაკიდებინებს ხელსა. ასტრონომსაც ასე დაემართა: რა რომ სამზეო ერთობის დაწყობილება შეიტყო, ახლა უფრო გაბედჳთ და უფრო გულადათ ცის კამარას მიჭვართა თვალი ლ ჭსთქუა: მინდა ეს აუარებელი ლ უთვალავი გარსკუფლავების სიმრავლე დაჭსთვალო,—იმათი უკიდური ლ უსაზღვრო სამყოფი სიჭვრცე გავსაზღვრო,—იმისი დაუთავებელი სიღრმე თუ სიმაღლე გამოვზომო და შეაგული ადგილი მივაგნო, რომელსაც ეს აურიცხუფლი სიმრავლე ქუყნებისა გარს ევლება ყრუ და დიდებული გრიგალივითა.

აქედამ იწყება ახალი ერა, ახალი ქორონიკონი ასტრონომებისათჳს. ამ უზარ-მაზარს საქმეში პირველი ნაბიჯი ეს უნდ ყოფილიყო, რომ ერთ-ერთი რომელიმე უძრავი გარსკუფლავისა ბეჯითად შეეტყოთ, საიდმ რამდენზედ არის დაშორებული. ახლა აქ შეება გონება ისეთსდამაბრკოლებელს მიზეზებსა, რომ იმათი მორევა ვერას ძალს ლ ვერას მოხერხებას ვერ უნდა შესძლებიყო. მაგრამ დაუჯილდოებლად მეცადინეობა არც აქა რჩება; პირველში თუ თავისს უმთავრესს საწადელს ვერ ეწია, ამითი მაინც დაჯილდოვდა, რომ სხუა საკჳრველი მისაგნები მიაგნო.

მიაგნო რომ რაც ძლიერი კანონი ბლანკეტების მსგლელობასა და მოძრაობას განაგებს,—ვარსკვლავების სამყოფელს უზომო წრეშიაც ისევე თურმე მოქმედებს; იქაც სწორეთ ისეთი წრეობითი ბრუნვა ყოფილა და ისეთივე ერთის მზის მეორეს გარეშე ტრიალი. გამოუთქმელის მეცადინეობით გაჭზომა გონებამ, სინათლე რა სიჩქარეს რამდენ-ხანს გაირბენს, და ეს ზომა ერთეულად აქცია, რომ ამითი გამოსათქმელად მოხერხებულიყო იმ საზარელი სიჩქარეების ზომა, რომელიც ჯერ კიდევაც ამოსაჩენად ეგულებოდა. შეწუხებული, მაგრამ მაინც გაუტეხელი, ბრძოლაზედ ბრძოლას უძღებს, ზღუდეზედ ზღუდეს არღვევს და აგერ გაიარა კიდეც განუზომელი უფსკრული და რომელიც უფრო ახლოს არის ჩვენზედ უძრავი ვარსკვლავი, იმისი ნამდვილად შეიტყო, რამსიშორეთაც არის,—და ამითი დაკმაყოფილდაც ორმოც და ათის წლის ჯავა ასტრონომისა, ახლა წარმოვიდგინოთ, რა სიხარული შეუდგებოდა, როდესაც ამითი იმ მენაკს, (1) იმ ზომას წაადგა, რა ზომითაც, ან რა მენაკითაც მთელი მსოფლიო არის აშენებული!—

ამ დიდად მძიმე საქმის კვლევაში ერთი სხვა საკვრველი საქმე ამოჩნდა კიდევ.—გულ-დასმითმა უძრავი ვარსკვლავების შინაგვამ ჭაზრი შეაცვლევინა იმათს გისაკუთრებითს თვსებაზედ ასტრონომებსა. უწინ, რამდენისამე ათასის წლის განმავლობაში რომ ამბობდნენ, ეს ვარსკვლავები სრულებით უძრავი წერტილები არიანო; ახლა, ზემოთ რომ ვახსენეთ, იმ კვლევაში დამტკიცდა, რომ აქამდისინ თვალი თურმე გვატყუებდა, რადგან მოხერხება არა გვქონდარა, რომ იმათთვს თითქმის უხილავი ცვლილება შეგვემჩნია რამე. და რა კი ერთი ათასად გაძლიერებულმა თვალმა შეჭხედა, მაშინ კი აღმოჩნდა, რომ აურიცხვლად ბრწყინავალე ვარსკვლავები, რომლითაც ცა სულ მოჭედილი არის, ყოველნი

ახლა ახალი საქმე წარმოსდგა თავის თავად, საქმე საგულვებელი მნიშვნელობის მექონი. ნამდვილია ეს მოძრაობა, თუ არა? იქნება ვარსკვლავები მოძრავად იმიტომ გვეჩვენებოდნენ; რომ თვთან ჩვენი დიდი სისტემის შუაგული იყოს მოძრავი? შეუდგნენ ახლა ამის გამოძიებას, იმგვარსვე გამოძიებასა, რაც ჩვენი ვლანეტებისათვს დასჯერდათ, რომ მართალი მოძრაობა საგონებელისაგან გაერჩიათ;— და ეს გამოძიება ისეთის გულს-მოდგინებით ჰსწარმოებს დღემდის და ისეთის გამოკიდებითა, რომ სამეცნიერო საქმეებში ჯერ ამგვარი მაგალითი არა ყოფილა რა. გონება კელახლა ეშურება, რომ მშვენიერს მისაგნებელს შეჰხვედეს კიდევ და ასწლოვანი შრომით ამოწმებს, რომ თვთან მზეც იძვრის. ამ სახით რაც აქამდინ გონებას თვეის მოსაკიდებელ წერტილად მიაჩნდა, ახლა თითქო ქვეშ გამოუსხლტა და მთელი მსოფლიო დატრიალდა.

დაუცხრომელის ზედადგენებით დაადგა ასტრონომი თავისს საკითხვებს: მზე სითლა მიდის და რანაირის სიჩქარით მიაშურებს თავისი ჩვენთვს უცნაური გზითა?—სოცარია, დაუჯერებელია ეს კითხვა. მაგრამ ვასუხიც კი მიაგნეს და ამასთან ესეც შეიძლეს, რომ ვარსკვლავების ნამდვილი მოძრაობა საგონებელისაგან გაარკვეს და იმათი სხვა და სხვა გვარის მოძრაობის შესამეცნებელი საშუალობაც მოიპოვეს, რომ ცოტ-ცოტად, სრულიად შეეტყოთ მოძრაობა დიდის ვარსკვლავთ ერთობისაცა.

აქ შეგსდგეთ.—მალე ჩამოვჭყეეთ ამ ასტრონომის ალმონაჩენების მდინარესა და სამსოფლიო ტაძრისას იმ ეგვტერს მივაწიეთ, სადაც შეგრეგებული არის ყოველი მიგნებული და გამოცნობილი. ახლა რაც გამოსაძიებელი და გამოსაკვლევი რჩება, იმისს ნაბიჯზედ ვდგევართ. ჩვენს უკან ყოველივე განათლებულია, ყოველივე ბრწყინვალე და სრული;—ჩვენს წინ კი—ყოველსავე ბურუსი ახვია, ყოველივე ბნელია და ყოველივე საეჭვო. მაგრამ გამონაგვლევის ნათელი ცოტათი გამოსაკვლევსაც ანათებს და ნება გვქონდეს, რომ ამ ცოტას ნათელზედ ვჰსთქვათ რამე, ყველაზედ კი არა, რაც შესასრულებელია;—იმაზედ, რაც ყველაზედ უწინ არის შე-

საჭიროებელი.—მაშ შევიცადოთ რამდენიმე ამ ახლანდელის საბუნებრივო მეცნიერების საზღვარზედ და წარმოვსთქვათ რამდენიმე იმ კითხვათაგანი, რასაც ბუნება დიდიხანია თჳთანა ბმკითხავს და რაზედაც აქამდისინ ჩუენს გონებას ჯერ ვერ გაუმარჯუნია.—ჩუენი საზეო ერთობიდამ ვიწყოთ. როგორ შედგენილა ეს სისტემა, რასაც მდგომარეობაში ახლა ნამდჳლად იმყოფება? ყოველი შესაძლებელი ბუნების ანალოგია, ყოველი შესაძლებელი შემსგავსება ყოველის ქმნილებისა არღუეს ამ აზრსა, ვითამ ეს სისტემა ერთწამს ყოფილიყოს დაარსებული. მაგრამ თუ არ ასე, სხუა რაგორღა გაჩენილა? იქნება პირველი რომელიმე გადაცუღა, გადაქცევა, გადასხუაფერება ნივთიერებისა ყოფილიყოს ამის მიზეზი, ისეთი კანონების მორჩილი, რომლისაც გამოცხადებასა და აღსრულებას აუარებელი საუკუნეთ მილიონი უნდებოდეს? ვინ გაგვცემს ამისს პასუხს?

მრთელი ჩუენი სისტემა, ჩუენი საზეო ერთობა ასის მრავალს მილიონებში მხოლოდ ერთი ცალი, ერთი ერთეული. მაშ ის უთვალავი კარსკუღლავები რაღა არის? იმათი სხუა და ხხუა გუარი მწყობრობა და შეჯგუფება რას წარმოადგენს? კანონები იმათი საჯრველის მოძრაობისა და იმათი საკარადისო დაურღუეველობისა რაგორი კანონებია? ვინ განმარტებს იმ დროებითს კარსკუღლავებსა, დაუდგრომელად რომ მთვარესავით ხან ცხრომაში არიან და ხან მატებაში? იმ მნათობების უფრო საკჯრველს საიდუმლოს ვინღა ახხნის, ზეცაში რომ კაცს უეცრად თვალ-წინ გაუჩნდებიან და ისევე უეცრად საკარადისოდ დაიკარგებიან განუზომელს სივრცის უფსკრულში?

ესე ის კითხვები, რომელიც მომავალმა საუკუნოებმა უნდა ახსნან და განმარტონ. ამ წინასწარ საფიქრებელს მომავალ-გამარჯუეს-ბას, რომელსაც ერთხელ როდისმე გონიერება ნივთიერებაზედ უსათუოთ შეიმოსავს, ჩუენ ვერ მოვესწრებით, მაგრამ ვილას ექნება ეჯჯ! ბა უკან მიიხედეთ ჯ ქალდეველი მწყემსი წარმოიდგინეთ, შინნარეზის მინდორზედ მდგომარე განცჯფრებით რომ მთვარის

ცუდილებას შეჰყურებდა და გულში ეტყოდა: ნეტა თუ შეიტყობენ როდისმე, რისგან არის და როგორ არის, რომ ეს მნათობი ხან მატულობს და ხან ცხრომაში არისო? აბა შეათანასწორეთ ახლა იმისი ჭკუა და მეცნიერება ახლანდელი ასტრონომის მეცნიერებასთანა, ერთი თვალის გადავლებით რომ ჭხედავს, რაც ცუდილება მომხდარა, ან ახლა სწარმოებს, ან მოხდება როდისმე არა თუ მარტო მთვარეში, მთელს სისტემაში! რათ უნდა ვიფიქროთ, რომ რაც მეცნიერების სიმაღლეზედ ფეხის შედგმა კიდევ მოგვინდება, ეს აქამდინ ამოგლილზედ უფრო გასაჭირი იყოს!—როგორც ამ საბითასს წელიწადს წინეთ ბაბილონში ნაძიებმა და ნაკუდევმა ცნობამ ჩუცნამდის მოაწია და დაუფასებელი შემწეობა მოგვცა არეული საქმეების გარჩევაში, რომელსაც გონება დაუცხრომელად ებრძოდა,—ისე რაც ახლა ნაკუდევი და ნაძიები იწერება რამე,—ჩუცნს ჩამომავლობას დარჩება საქმეში გამოსაყენებლად და კიდევ რომ გავა საბიოდ ათასი წელიწადი, მაშინდელი კაცის ნიჭი მაშინდელს საქმეებში გასამარჯუცებლად გამოიყენებს. ამასთან თუ ეჭვ გაჩნდა სადმე, ვითამ ეს დიად ძნელი გამოსაცნობი წინჩამონაგდები საქმე წარმატებით ვერ აიხსნებოდეს, რადგან რაც რამ საძიებელი არის, მოუფიქრებელს სიშორეზედ არის ყოველივე,—მაშინ ამ ეჭვის გასაბნევად ერთი ეს გახსენება იკმარებს, რომ ტელესკოპს,—ამ კელოვნებით თვალსა კაცისას,—ისეთი რამ გამჭრელი ძალა აქუს მითუსებული, რომ რასაც კი ჭშინჯავს, რა სიშორეზედაც უნდა იყოს, კელარსად დაემალება. ერთი მაგალითი მოვიტანოთ: სირიუსი არის უკანასკნელი ვლანეტა ჩუცნი მზის გუნდისა, ჩუცნი ერთობისა, მზისაგან ყოველს სხუა ვლანეტაზედ უშორესი. ვჭსთქუათ, მოსწყდა ეს სირიუსი თავისს ადგილსა და რადგან ძალიან დიდი სხეულია, ისეთის სიჩქარით გაჭეთრინავს უფრო შორს, რომ ერთ-წამში თორმეტ მილლიონ მილს გაივლიდეს, ან ოთხმოცდაოთხ მილლიონ ვერსტსა და სულ ასეთი სიჩქარით იფრენდეს ათას წელიწადს;—ეს არა ფერი,—თუნდ ათი ათასი წელიწადიც იფრინოს, მაინც ვერსად დაემალება ტელესკოპით შეჭურვილს ასტრონომის თვალ-

ხაქართველოს მოსახლეობა.

მაგრამ თუ ერთის მხრით დაშორება, როგორიც უნდა იყოს, ვერა ფერში დააბრკოლებს ასტრონომის თვალის დევნებასა, შინჯვასა და კვლევასა; მეორეს მხრით ხომ მაინც უთუოთ იქნება რამე სხვა იმისთანა დამაბრკოლებელი მიზეზი, რომ იმისი გაუქმება არას კაცობრივს ნიჭიერებას არ შეეძლოს.—მრავალ გვარი მოძრაობა პლანეტებისა იმითი გამოირკვა, რომ ათას-გზის იშინჯებოდა კაცის თვალისაგან და ერთი ერთმანერთის შემსგავსებისაგან ჭეშმარიტება თავისთავად ადმოჩნდა, უძრავი ვარსკვლავებისა კი ეს უნდა ვსთქვათ, რომ რამდენიმე ათასი წელიწადი უნდა გავიდეს, მანამდინ უმსწრავლესი ამ ვარსკვლავთაგანი შესამჩნეველს რასმე ნაწილს გაიგლიდეს თავისი უზომო წრისას. უნდა ვიფიქროთ, რომ სადაც მოძრაობა ამ გვარად არის თითქმის შეუმჩნეველი, იქ შინჯვა ყოველად შეუძლებელი უნდა იყოს კაცისათჳს, რადგან კაცის სიცოცხლის საუკუნე ერთ წამს თუ უდრის, რაც იმათ მოძრაობას დრო უნდება, იმ დროთი ერთი შემოვლის ხანისას.—მაგრამ ნურც აქ ავჴჩქარდებით. ყოვლის გამჭვრეტი თვალი, რომ ვარსკვლავსა ჴსდევს განუზომელს სიმაღლეზედ მცურავსა, ეს თვალი ისეთი გმირული საჭურველით არის ახლა შეჭურვილი,—რომ, ასე ვჴსთქვათ, ამ ვარსკვლავმა სხვა დიდს რასმე საშუაგულო სხეულს გარს ბრუნვა დაუწყო, მაგრამ ისეთის სიწყნარით, რომ თჳთო მობრუნებას ხუთხუთი მილიონი წელიწადი მოუნდებოდეს;—მაშინაც ერთი წელიწადი ვერ გავა, რომ კაცი იმისს მოძრაობას შეიტყობს; ათ წელიწადში რა სიჩქარით მოძრაობს, ამას გაჴზომს და ერთი კაცის სიცოცხლე იკმარებს, რომ ბეჯითად გამოკვლეულ-იქნეს, სწორეთ რამდენი ხანი მოუნდება ამ ვარსკვლავსა, რომ თავისი წრე შემოიაროს.

თუ ვერც სიშორე დაბრკოლებს კაცის გონებასა და ვერც დრო, იქნება რიცხვმა მაინც დასძლიოს და აუარებელს მილიონებში ერთ ერთიც არის ვარსკვლავი დაკარგვინოს ისე, რომ კაცმა ველარა გაიგოს რა იმისი?—საკითხავი ახლა ალარც ეს არის. მეცნიერების საყარაულო ჯიხურებით არის ახლა მთელი ქუჩაყანა მოფენილი და მხმილავები ყოველგან მარადის ფხიზლობენ. იმათთჳს ვერც სად ვარსკვლავი

ჩავა, კერძ სად კრებული და კერძ სად მწყობრი, რომ მშინჯავი თვალს მოსცილდნენ როდისმე. სადაც ერთი ასტრონომის თვალი ჩამოეცლება, იქვე იმავ წამს მეორე ასტრონომის·თვალი დაჭხუდებ. ბა მშინჯავი. ალმოსავლეთი და დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი ერთ-ხმათ მიაძახებენ კაცის გონებასა მთელს ქუყანაზედ მოფენილი საყარაულო ჯიხურებიდამ, ამ საასტრონომიო ობსერვატორიებიდამ: წ ი ნ წ ა დ ე ქ, წ ი ნ წ ა დ ე ქ ო.

ამითი ვაბოლოვებთ. ძალიან სხარტულად შემოვავლეთ თვალი იმ დიდს საქმეს, რომელიც ახლა დაწუნლილებით უნდა განვიხილოთ. ამ საქმის გამორკუნცვას აქამდინ ექუსი ათასი წელიწადი მოუნდა ⸗ კაცის გონიერებას შემთხუნცვა მისცა, რომ თავისი ყოველს გამარჯუნებაზედ უნამეტნავესი გამარჯუნება იდღესასწაულოს. ყოველს საუკუნეშა ეს საქმე იყო საზომათ, რომლითაც კაცობრივი გონიერების მეცადინეობა იზომებოდა და ბოლოს, უფრო და უფრო რომ გაიხსნა ეს საქმე, უფრო და უფრო რომ განათლდა, ცხადად გვაჩუნნა სულიერი უკუდავება კაცისა და აგვიხსნა სიბრძნე და დიდება შემოქმედისა.

რაც ამ დიდ-საქმეში საკითხვები იყო, აქ ეს საკითხვები დაგისაკელეთ; ახლა განმარტებისა და ახსნის მოსასმენად მოგიწუნცვთ. შეგვეწიოს-მცა ძლიერება ყოვლის შემძლებელი, დამაარსებელი ცისა და ქუყანისა, რომ შეგიძლოთ: მე—გარდმოცემა და თქუნნ—შეთჯსება რამდენისამე დიდის ჯეშმარიტებისა, რომელიც მრავალს თავობას გამოუკრებია ბუნებიდამ ექუსი ათასი წლის დაუცხრომელი მეცადინეობითა და ბრძოლითა.

(მეორე წასაკითხი მასუკან)

დამტების ნაწილში რომანს «სიბრალული» უკვიგო ადგს იმიტომ ვწუხვეტავთ, რომ შემდეგ ერთ წიგნათ შეკვრა შეიძლებოდეს.

ეპიგრაფი «ლოთური მოხამბაზისა» ესე უნდა იყოს:

მუხამბაზო, რა ტკბილი რამ ხმა ხარო!

ბამბი მელქო.

ლოთური მუხამბაზი.

მუხამბაზო რი ტკბილ რან ხმა ხარო!

ჩამჩი მელქო.

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ

* *
*

ვმასავითა მე ერთგული შენი ვარ,
გინდა მკლავდე, არას ბეტუვი, შენი ვარ.
სადა ვ წახვალ, მეც მაშინვე იქა ვარ,
გინდ ვერ მნახო, იცოდე, რომ იქა ვარ;
რას გაწუხებ? მე ჩემთვისა იქა ვარ,
ჩემთვის ჩუმად ვანბობ, რა ლამაზიხარ!

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

* *
*

რტო ალვისა შენი წელი მგონია,
მაგ წელზედა ცისარტყელი მგონია;
ეგ თვალები ცაში ელვა მგონია;
გარდის სუნი შენი სუნთქვა მგონია,
რომ მელირსოს, ვეკსთქვა: გეთაყვა ჩემი ხარ!

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

* *
*

ესი გზა მაქვს: ესიგე შენგენ მოდის!
ფიქრები მაქვს—წინ შენი სახე მოდის!
მინდა რამ ვჰსთქუა, შენი სახელი მოდის!
ჩემს გულშია რა ამბები, რა მოდის?
ერთხელ მაინც, მკითხე აგრე რათახარ?

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

* *
*

ჩემს დარდებსა გინ ინადვლის, ვინ არის?
ვის რათ უნდა, ლოცვიანნა ვინ არის?
მკვდარია, თუ ჰსცხოვრებს სადმე ვინ არის?
ქვეყანაში აბა რაა, ვინ არის?
შენ ეს არ ჰსთქვა, ვიცი სულით ნაზიხარ.

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ ზედ წამწამზედ მიზიხარ!

*
*

ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ!
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!
ჯამით ტოლუბაში მნახე, ვინა ვარ!
აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ?—
მაშინ შეგიყუჩარდე, ჰსთქუა: ძვირთვასი ხარ!

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

თ. გრიგ. ორბელიანი.

(თ. ნიკოლაზ ბარათაშვილისა)

მადლი შენს გამჩენს, ლამაზო, ქალო შავ-თვალებიანო,
დღისით მზეკ, ღამე მთოვარეკ, წყნარო და ამოდ ხმიანო!
შენის ლოდინით ვჭსუდგმულვარ, თაყვანს-ვჭსცემ შენსა სა-
ხელსა;
დედის ერთა კარ ნუ მამკლავ, ნუ დამანანებ სოფელსა!

—

ყარიბი ვინმე მოგსრულვარ, სოფლისა მუშა საწყალი,
ამხანაგად მყავს ნაბადი, ძმობილად—ბასრი ხანჯალი,
მე სხვა სიმდიდრე რად მინდა? მე შენი გულიც მეყოფის:
მის თვისი კიდე საუნჯე ცას ქვეშეთ განა იმყოფის?

10 იანვარს 1845 წ.

* * *

მას აქეთ რაკი შენდამი ვჭსტან მე სიყვარული,
ჭოი, მამულო, გამიგრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს უგდებ სულ-განაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება.

—

დაყინებითა თვიქრი თვიქრზედ მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იძვრის ჩემს გულში,
ჰ მე არ ვჩივი: მიხარიან, რომ ეგრეთ შრება
ჩემი ცხოვრება შენსა თვიქრში, შენს სიყვარულში.

—

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სატირალი და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ თვიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განუზიარო!...

. . .

6 აგვისტოს 1861 წ.

გეოგრაფიული აღწერა საქართველოსი

(მონარხიულ მართებლობის პირველ დროებში.)

ხალხის გადმონაცემის V თავში, ჩვენ კიდეცა ვსთქვით, რომ სახელმწიფოს თვარნაოზისას ჴქონდა სამძღრებად: დიდი ზურგი კავკასისა, ენგურის მდინარე, შავი ზღვის პირი ეხლანდელ ბათუმამდე, აქედგან მთები, საიდგანაც გამოდის ჭოროხის წყლის ბოლოს შემომდინარენი, პალაკაციოს ტბამდე; შემდგომ გრეხილი მთები, რომელნიც მოსდევენ დებედის მდინარის მარჯვენა ნაპირსა მტკვრამდე, შემდგომ მტკვარი ალაზნის შესართავამდინ ⁄ ბოლოს ალაზანი, წყლებით, რომელიც ალმოსავლეთით იმას ერთვიან. განზიდული განაპირული ყურენი ამ სამძღვრებისა მდებარეობენ შორის 40°-47, ⁄ 43°-15 ჩრდილოეთის სიგანისა (широты) ⁄ 59°-15, ⁄ 64°-58, სიგძისა (долготы). ამ სიბრტყეს 60° მერიდიანზედ აქვს ყველაზედ დიდი სიგანე, განიზიდება კუთხესავით ალმოსავლეთისაკენ სალაკათის მთის წვერის დასწვრივამდე, რომელიც მდებარებს 41°-24 სიგანისა ⁄ 64°58, სიგძისა შორის.

ხალხის გადმონაცემის პირველს თავში, როდესაც ვსწერდით პირველად დაბინავებას საქართველოს ტომისას კავკასიაში ⁄ დავეთანხმენით ვიკიენ დე-სენ-მარტენის აზრსა, ჩვენ ვაჩვენეთ, რომ საქართველოს ტერიტორიას ეჭირა მთელი სივრცე კავკასიის მთიდგან არეზის წყლამდე, მაგრამ იმ ეპოქიდგან, საქართველოს სახელმწიფოს დაარსებამდინ განვლო მრავალმა საუკუნემ რომლის განმავლობაში შეიძლებოდა მომხდარიყო მრავალი ცვლილება მაგრამ რადგანაც მატიანედგან არა სჩანს, რომ თვარნავაზის

სახელმწიფოს საძმდგრებს გარეთ იდგა კიდევა, თუ არა, არეზის წყლამდე გადამეტებით ქართველი ტომი, ამაზედ არ შეიძლება დამტკიცებით ვსთქვათ რამე, ვიდრე არ გაირკვევა ეს გამოსაცნობი თეზიოლოგიურად ან სხვა რომელიმე გზითა; რაც კი შეეხება საძმდგრებსა, რომელსაც ჩვენ მოვიხსენიებთ ალწერაში, ვიტყვით რომ მათ შორის აქამომდე ყველგან ქართველები ცხოვრებენ.

მაგრამ, რომ დავაკვირდეთ სახელ-წოდებას ამ სახელმწიფოს მომიჯნავე ხალხებისას, რომელნიც მოხსენებული არიან ძველ გეოგრაფთაგან, აგრეთვე ზოგიერთს იმათს ჩვენებას ამ ხალხზე, უნებლიედ გამოგვეხატვის ეჭვი ან კითხვა; მაგალითებრ: ვინ იყვნენ პონტოელნი, ალბანელნი, ან ალვანელნი, კასპელნი, კარდუხიანები, ან კარდუსიანები, საპირნი ან სხვანი,—ხომ არ იყვნენ ისინი შტოები ქართველის ტომისა?

ეი რაზედ არის დამყარებული ჩვენი ეჭვი: პირველი, არ შეიძლება სრულიად დავეთანხმოთ იმათ, ვინც გვარწმუნებს, რომა პონტოელნი იყვნენ ბერძნების შთამომავალნი. მხოლოდ ერთს საბერძნეთის ქალაქს ან კოლონიას პონტოში—ტრაპიზონსა, არ შეეძლო ყემსო მთელი საძხრეთ-ალმოსავლეთის ნაპირი შავი ზღვისა ძარტო ბერძნებითა. ჩვენ ვიცით ძველ კლასსიკებისაგანვე, რომა მთელი სიგრცე პონტოისა ეჭირათ როდესღაც მაომარს, მრავალრიცხვს ხალხსა, ხალიბებსა ან ეხლაც არის ნიშანი, რომ ქართველები მდგარან,—ან იმათის ალმოსავლეთის ნაწილის ზოგიერთ სოფლებშიაც დარჩენილა ქართული ენა. (3)

მეორე: ალაზნის წყალი, ამბობს პლინი, გამომდინარე კავკასის მთიდგან, ჰყოფს ალბანელებსა ან იბერიელებსა (4). ალბანელნი

---

(3) ჩვენი სტატია, სახელწოდებული: «კითხვა შთამომავლობაზედ მიტრიდატ ლიდისა.» გაზ. «კავკაზი» 1861 წ. №53.

(4) Plin. l. VI. c. II.

რომის გეოგრაფიებისა, სომხების გამოთქმით—იყვნენ ალვანელნი ⁊ ქართველების გამოთქმითა,—ალვანელნი. კაკე ადგილი, რომელსაც ეხლაცა ჰქვიან ალვანის მინდორი, არის მართლა. ალაზნის სათავეში, ⁊ ეხლაც კიდევ ორას ვერსტს მეტზე ამ მინდვრიდგან კავკასის მთის ძირობაზე, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, დგას ქართველი ხალხი; ⁊ უწინდელს დროში შირვანის სახელმწიფოს დაარსებამდინ, შეიძლება რომ კასპის ზღვამდისინაცა მდგარიყვნენ. მაშასადამე შეიძლებაღა ეჭვი გვქონდეს იმაზე, რომა ალბანელები, რომელთაც სამზღვრად ეს ზღვა ჰქონიათ აღმოსავლეთით ⁊ დასავლეთით კი ალაზნის სათავე, იყვნენ კახეთის ქართველები?

მესამე: კასპელნი, რომელთაც თავის სახელი ზღვასაც დაარქვეს ⁊ რომელნიც ნახჩევნები არიან უფრო რომის ⁊ საბერძნეთის მწერალთაგან ზღვის-პირის მცხოვრებელად ალბანიიდგან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, იქნება იყვნენ ქართველის ტომისანი. მგონია საკმაო იყოს ამ ეჭვისათვის თვით ისიცა, რომა ძველის ძველად, საქართველოს შუა-გულში—ქართლში იყო ქალაქი (ეხლა კი სოფელია) კასპი; სახელი, რომელიც გამოითქმის დღესაც ქართველისაგან ისე წმინდად ⁊ შეუცვლელად, როგორც თვით ხალხის სახელი: Caspii ⁊ მეოთხედ: კარდუსიანები ხომ არ იყვნენ მართლა და ქართლოსიანები ⁊ საპირნი—იბერნი, როგორც გვარწმუნებს თეიმურაზ ბატონიშვილი (1) ⁊ ტარდე (2). თუ ყური დავუგდეთ სომხების ისტორიკოსებსა, ჩვენ უნდა მივიღოთ, რომა ყველა ეს ხალხი იყო ერთის ტომისა სომხებთანა; გარნა კი რომ მოვიგონოთ ისა, რომა, არამც თუ მარტო ისინი, იმათ ფიქრით, არამედ საზოგადო ყოველი ნოახიდები იყვნენ სომხების შთამომავლობისანი, მაშინ არ შეიძლება არ ვაღვიაროთ იმათი მეტის-მეტი ნდომა,

---

(1) ისტორია თეიმურზ ბატონიშვილისა, გვერდი 101.

(2) Atlas univesel de géographie ancien et mod., dressèe par A. Tardieu, ed. 1858, carte 2

მაგრამ, ვრცლად რომ გავსინჯოთ ეს ერთ-ტომობა, შესაძლოა, რომ ამ ხალხს ჯ სომხებს შორის ყოფილიყოს ისეთივე შორეული თანამოამავლობის დაკავშირება, როგორიც იყო ქართველებისა ჯ სომხებ შორის ვივიენ დე-სენ-მარტენის აზრით. უფრო კი, მოკლედ რომ გავშინჯოთ, ეს ხალხები, ჩვენის თვიქრით, რომელსაც ვერ ვბედავთ ჭეშმარიტებად გამოვაცხადოთ, იყვნენ თანამავალობით ქართველებზე უფრო ახლო, ვიდრე სომხებზე. თუ მეცნიერებისათვის ამის შეტყობა საჭირო იქნება ჯ მასთანავე თუ გამოძიებებითა გამართლდება ჩვენი თვიქრი, მაშინ სრულიად დამტკიცდება აზრი ვივიენ დე სენ-მარტენისაცა, რომა ყველა კავკასიის ხალხი—ჩრდილოეთით არაზის წყლიდგან ბორტო-ევქსინის ჯ კასპიის ზღვის შორის—იყვნენო თანამამავლობით შტონი ქართველის ტომისანი. ქვეყანას, რომელიც შეარდგენდა თვარნავაზის სამეფოსა, ჭქონდა სიგრძე 1500 გეოგრაფიული კვადრატული მილი ჯ იყო გაყოფილი ოთხს უმთავრეს აუზად: პირველი მათგანი ყველაზე ვრცელი ჯ შუაგული ქართველების მოსახლობისა, არის აუზი მტკვრის წყლისა; მეორე აუზი რიონისა, მესამე ხეობა ენგურისა ჯ მეოთხე აუზი ჭოროხის წყლის ბოლოებისა. საზოგადოდ კი მდებარეობა საქართველოსი წარმოადგენს სოცარს სხვა ჯ სხვაობასა თავის თვისებითა. მის ზედა პირს ალამაზებენ სხვა ჯ სხვა ნაირად მშვენიერი მწვანე მინდვრები, ტყიანი ან თოვლიანი მთები, ვიწრო ხეობები ჯ ღელეები, საცა ჩამოჩხრიალებენ წვრილი წყლები ჯ გვრგვინავენ სწრაფვად მორბედნი მდინარენი. კავკასის ზურგი, რომელიც შეადგენს მარტო ერთის მხრით მთელ საქართველოს საგძის სამძღვარსა, გაზდევს ჩრდილოდ-დასავლეთიდგან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ის არის შემოსილი დიდის ტყითა ძირიდგან ვიდრე 8000-ს ფუტის სიმაღლემდინ ზღვის ზედა-პირიდამ. მთის წვერები კი შიშველნი არიან ჯ ათეთრებულნი სამუდამო თოვლითა. თითქმის ამ სისწვრივ მხარ ჯ მხარ გამოზდევს მეორე მთა შავის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირიდგან დებედის წყლის შესართავამდე ჯ შეარდგენს საქართველოს

სამხრეთის სამძღვარს; შემდგომ სამძღვარ გარეთ უფრო სამხრეთისაკენ დაუხვევს ⁂ მისდევს მტკვრის დენასა კარგა მოშორებით. ეს ზურგი, ცნობილი უფრო მომატებულად მცირე კავკასიად, ჯორჯის მდინარისა ⁂ მტკვრის მხარეს ისეთ ნაირად იკლაკნება ⁂ თავის გზიდამ მიიქცევ-მოიქცევა, რომა თითქო შეთხრილია ჩქარად მდინარე წყლისაგანო. ეს ორი უმთავრესი მთა მერიდიანის 61 გრადუსის ქვეშე ერთდებიან სურამის მთებსა (რომელსაც ძველად ევროპიელები მოსხიის მთებს ეძახოდნენ, ქართველები კი—ლიხის მთას.) ამ მთებს კარდა შიდა საქართველოში კიდევ ორი მთათა ზურგია შესანიშნავი: ერთი ჩამოსდევს თვსის-მთიდამ ⁂ შეადგენს სვანეთის სამხრეთის სამძღვარსა ⁂ მეორე, რომელსაც უწოდებენ გომბორის მთას—ბორბალოს მთიდამ იწყობა იორის ⁂ ალაზნის შუა-მდებარებს. ამ მთებში აქვსთ სათავე მრავალ მდინარეებსა, ბატარა წყლებს, რომელნიცა ჩრწყვენ ⁂ აგრილებენ ველებსა.

მდინარეთა შორის უფრო გამოჩენილი არიან:

მტკვარი, (კურა ანუ კირ სხვა ხალხთა წოდებით), ამის სათავე იწყობა სოლანლუღის მთებში, რომელთაც ძველად ეძახოდნენ მთინ ⁂ მოშის, ჯერ მომდინარეობს სამხრეთიდამ ჩრდილოეთისაკენ ვიწრო ხეობაში, სურამის ⁂ კავკასის მთის ზურგებშუა; შემდგომ ახლანდელ ახალციხიდგან ტფილისამდე მომდინარეობს აღმოსავლეთისაკენ მშვილდსავით მოხრილად, ასე რომ სურამის ახლო გამოზიდული გვერდი ჩრდილოეთისაკენ აქვს მიქცეული, ⁂ ბოლოს, ტფილისიდგან მიდის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ კასპის ზღვამდე. საქართველოს სამძღვრებშივე, მტკვარს ერთვიან წყლები, გამომდინარენი დიდკავკასის ზურგის სამხრეთის ფერდობიდამ: ლიახვი

ქსანი, არაგვი ⊥ ალაზანი თავის შემომდინარე იორის წყლით, ⊥ მცირე კავკასის ფერდობებიდგან მტკვარში ჩადიან მდინარენი: ალგეთი ⊥ ხრამი თავის შემომდინარე დებედა წყლითა.

რიონსა (ძველი ფაზისი) აქვს სათავე დიდ-კავკასის მთის ზურგში, სონგუთი-ხოხის მთის ძირში, ⊥ მომდინარეობს პირველად დასავლეთისაკენ, შემდგომ: მერიდიანისა 60°-30, გაბრუნდება სამხრეთისაკენ ⊥ ამ გზით მიდის კარდციხემდინ, ⊥ აქედგან ისევ გამობრუნებული დასავლეთისაკენ ერთვის შავზღვასა, ქვეშე 42°-8, სიგანისა ⊥ 59°-19 სიგძისა. ამას ერთვიან წყლები პირველად: ყვირილა, რომელიც გამოდის სურამის მთის ჩრდილოეთის მხრიდგან ⊥ მიდის თავ და პირველად სამხრეთ-დასავლეთისაკენ შორაპნამდე, ⊥ შემდგომ ჩრდილოეთისაკენ შვიდლსავით შეხრილი, მიდის დასავლეთისაკენ ვიდრე შეერთვის რიონსა.—მეორე მდინარე: ცხენის-წყალი (ძველად ლიპპოს), ფასის მთიდგან მიდის უფრო სამხრეთ-დასავლეთის მხარესა ⊥ ჩადის რიონში; ⊥ მესამე მდინარე: ტეხური (ძველად ერქვა გლაკოს), მიდის ცხენის-წყლის თითქმის მხარ და მხარ ⊥ ერთვის რიონსა 20 ვერსტზედ ქვეით. უწინდელს დროში მტკვარი ⊥ რიონი ირიცხებოდნენ ნავთ-სასვლელად: პირველი ზღვის შესართავიდამ სურამამდე ⊥ მეორეც ზღვისვე შესართავიდამ ყვირილის შესართავამდე; ეხლა კი ეს ორივე მდინარენი თუმცა კიდევ ნავთ-სასვლელი არიან, მაგრამ ზღვიდგან ამოდენა მანძილზე კი არა. ეს ცვლილება მოხდა უთუოდ ზოგი წყლის დაკლებისაგან, ზოგიცა იმისაგან, რადგანაც ამ წყლების საწოლი ამოიმსნენ ⊥ იქნება თვით გემები, რომელნიც დადიოდნენ ამ წყლებზე, იყვნენ მცირენი ⊥ სხვა რიგ გამართულობისა, გენიოხიის კამარების გვარად, რომელზედაც ამბობს სტრაბონი, ან მსგავსი ძველებურ ქართულ ნავ-ტიკებისა, რომელთაც ძირს ამოკრული აქვს გაბურილი ტიკები.

ხოფი გამოდის სამხრეთის სვანეთის ქედებიდგან ⊥ სამხრეთ-

დასავლეთისაკენ მიმავალი შეერთვის შავს ზღვასა თხუთმეტ ვერსტზედ ჩრდილოეთისაკენ რიონის შესართავიდგან. ენგურიან (ინგური) გამოემდინარებს ფასი-მთიდგან, მიდის ჯერეთ დასავლეთისაკენ, შემდგომ, როდესაც გამოსცდება სვანეთის ხეობასა, გაბრუნდება სამხრეთ-დასავლეთისაკენ ჯ შეერთვის ზღვასა ხოფის ზემოდგან 16 ვერსტზე.

ჭორახის წყალი ჭრწყავს თავის შემოემდინარებით სამხრეთ-დასავლეთის საქართველოს ნაწილსა, შეერთვის ზღვასა ბათუმიდგან სამხრეთისაკენ სამს ვერსტზედ.

როგორათაც ხოფის, რიონის, ჭორახის ჯ მტკვრის პირები, აგრეთვე მრავალი ხეობები, რომელშიაც მოემდინარეობენ იმათი შემოემდინარენი, დასახლებულნი იყვნენ ხალხითა, რომელნიც სარგებლობდნენ ყოველის თვრით, რაც კი რამ გამოსაყენია სოფლის ცხოვრებისათვის.—სიმდიდრე და ცხოვრების საშუალობა იყო მიწის ნაადგი და ჭავა ქვეყნისა; პირუტყვ-გაშენებასა ყველგან ხელს-უწყობდა ადგილობრივი ვითარება: რადგანაც ძველადგანვე ეს საქონელი გადიოდა გარე-ვაჭრობაშიაც, უთუოდ უნდა ვითვიქროთ რომ პირუტყვთ-გაშენება კარგს მდგომარეობაში ყოფილა. ამ ქვეყნის მიწის მოქმედება და ვენახების შემუშავება იყო განთქმული თავის გამოსავლით ღომერის დროების წინათაც. რაც ეხლა საქართველოში მშვენიერი და ნაზი ხეხილი იზდება, ის, თუ სულ არ ეკუთვნის ბუნებითს პირველ-ყოფილს ნაყოფსა აქაური მიწისასა, მაინც რაც უნდა იყოს ვაზის სამშობლო ადგილათა მეცნიერება რიონის ნაპირებსა ჭრაცხს. დათვნის-ხე ჯ ლიმონი უწინდელ კოლხიდის სამხრეთ-დასავლეთის ნაწილში ტყესავით არის მოდებული. მაგრამ კი სვანეთის მინდორი ამასობაში უნდა გამოიცხოს: მაღალი მდებარება მისი არ აძლევს მოსახლესა იმ გამორჩომასა, რომელიცა აქვსთ სხვა მდინარებზე მცხოვრებელსა საქართველოში. ყველაზე უფრო დაცემული ადგილი ამ მინდვრისა არის ინგურის საწოლი, რომელსაცა აქვს სვანეთის ხეობაში სიმაღლე ზღვის ზედაპირიდამ 6000-3500 ფუტამდე, მაშინ როდესაც დანარჩენს საქართველოს მინდვრებს

აქვსთ საშუალო სიმაღლე ზღვის ზედაპირიდამ 1300 ფუტი. წლის საშუალო ტემპერატურა ამ მინდვრებისა განისაზღვრება 9° ს 11°-გრადუსებ შორის. როგორც დაფარულია ჩრდილოეთის იტალია ალპის მთითა და ტოკაის ვაზი კარპატის მთებითა, ისე ამ მინდვრების ნაყოფიერება დაფარულია კავკასის მთითა ჩრდილოეთის სიცივეებისათვის, რომელნიც მოდიან ჩრდილოეთის დამზრალ ოკიანიდგან, გაზაფხულზე მოედებიან მთელ ევროპიელ რუსეთის სიბრტყესა და შეხვდებიან პირდაპირ სამხრეთიდამ წამოსულ სითბოებასა.

ხეობებში მცხოვრებთა ერთი ერთმანეთში მისვლა-მოსვლისათვის ჭქონდათ მაშინაც ისე, როგორც ეხლა, უხერხო ბილიკები, გავლებული წყლის ნაპირებზე და მთების ულელტეხილებზე. ამ ბილიკებზედ ხშირად სრულიათაც არ გაივლებოდა ხოლმე წვიმებისგან ადიდებულ წყლებისაგამო. მაგრამ ძველადგანვე ასეთი გზებიც ყოფილან, რომლების სიკეთისათვის არა მარტო იქაურები ჯაფასა ჭსწევდნენ, არამედ უცხო ქვეყნელებიცა. საწოლი, ანუ მოხიო მტკვრისა, ყვირილისა, რიონისა და სურამის მთაზე გადმოსავალი გზა მიიზიდავდა ხოლმე ამ ხალხების განსაკუთრებითს და გულმოდგინე ყურადღებობასა, რომელთათვისაც საინტერესო იყო ვაჭრობა ინდოეთთანა. დიდი უშველებელი ნაშენობანი, ნახულნი ბოლოს დროს სტრაბონისა და პლინიისაგან ყვირილის წყალზე, საკმაოდ ამტკიცებს რაგორათაც აქაურ საზოგადობის, ანუ მთავრობის ყურისგდებასა, აგრეთვე ამის ცოდნასაც, რომ ამ შარა-გზის კარგად შენახვა საჭირო და სასარგებლო ქვეყნისათვის. ისინი გვარწმუნებენ, რომ ამ ჩქარ წყალზედ 120 ხიდი იყოვო საქონლის გადატანის გასაადვილებლად—იმ საქონლისა, რომელიც ევრიიდამ შორაპნის ციხეში გადაჭქონდათ მშრალის გზითა, და თვით ეს ციხე ყოფილა ისეთი დიდი საქონლის დასაწყობი, რომ დაიტევდა შიგ მთელ ქალაქსა.(5) რიონის ბოლოების ნაპირები, ხის თირეებით იყო შეკრული,

(5) Strab. l. XI. p. 343.

რომ ადიდების დროს არ გადმოვარდნილ იყო მინდვრებზედ; ამას გარდა ჭაობს ადგილებს დიდის ჯაფით ს მეცადინეობით თურმე აშრობდნენ ხოლმე (6.) რასაკვირველია ეს ნაშენობები ს ნამუშევრები სტრაბონის და პლინის მგზავრობის კარგა გაცილებით წინად იყვნენ.—დასასრულ, კიდევ იყო გზები სარმათებ-სკვითების კავკასკენ მიმავალნი რომელნიც თვით ბუნებას გაეჭრა კავკასის მთაში და რომელთზედაც გადმოვიდოდნენ ბარბაროზები საქართველოში, სხვა სამხრეთის ქვეყნებში, დიდ-სომხეთის და სპარსეთში გადასასვლელად. უწინდელი მწერლები კავკასის მთაზედ ოთხს გასავალს ხეობასა იხსენიებენ; მაგრამ, იმათი აღწერიდგან შეიძლება შეკიტყოთ, ან მიგხვდეთ, რომ გასავალი ოთხი კი არა ყოფილა, არამედ სამი:—ეს არის დარიალის გასავალი (Pilae Caucaso); ალვანისა (Pilae Albanae) და დარუბანდისა (Pilae Caspae). ამ გასავლების დასაცველად იდგნენ ქართველნი გუშაგნი. პლინი, როდესაც სწერს დარიალის ხეობის ვიწროებზედ მყავე წყლებთან, ამბობს, რომ ის ხეობა იკეტებოდა დალურსმულ და დაკვერილ ძელებითა; ამის მახლობლად სამხრეთის მხარეს კი გორაზედ იყო სიმაგრე, რომელსაც ერქვა კუმანია (7). ეხლა იქ სოფელია კუმნის-ციხე. რუსის ინჟინერები ამ სოფელს ეძახიან კალმუჩიხასა, რომელსაც არა რომელსამე ენაზე არა აქვს არათერი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა. დარუბანდის გასავალი მხოლოდ ხანდახან იყო ხოლმე საქართველოს მფლობელობაში. ტაციტის მატიანე ამბობს, რომ ქრისტიანობის პირველს საუკუნეში ამ გასავალსაც უდგნენ ქართველნი გუშაგნი (8). ეს ვიწრო გასავალი, როგორც ჩვენა ვნახეთ ხალხის გადმონაცემის მესამე თავში, პირველად გაამაგრეს სპარსეთის ფიშდადიანის

(6)St. Martin; Recherches sur l'hist. de l' Asie, ch. XX.

(7) Plin. l. VI. c. 12.

(8) Annal. de Tacite, l. VI. ch. 33.

დინასტიის მეფეების დროს. ამ გადმოსცემებითვე ჩანს, რომ თვით დარუბანდიც მაშინ აშენდა. აქედგან იწყობა კავკასის კედელი, რომლის ნაწილიც საქართველოს სამზღვარშიაც შემოდიოდა ⁄ რომელიც თავის სიდიდით შეირიცხება განთქმულ ძველ შენობათაშორის. ამ ყამათაც ამისი კვალი, ზოგან კიდევც კარგად დარჩენილი, ჩანს დარუბანდიდგან აღმოსავლეთის მხარეს წყლის ქვეშ, კასპის ზღვაში შესული, მერე ამ ქალაქიდანვე მოდის დასავლეთისაკენ, ადის მთაზედ, დაეშვება ყაზიუმუხის სამფლობელოზე ეუშაღ-დაღის მაგალში, შემდგომ იკარგება კავკასის მთის ჩრდილოეთის ფერდობზედ და კვლავ მოჩანს ძველ ალბანიის ვაკეზედ, მუხახის ხეობის პირ და პირ,—და კოტეხის სოფლის მთელს სიგრძეზედ გადის. დარუბანდელების გადმოსცემი ამ კედლის აშენებას აწერს ალექსანდრე მაკედონელსა და ზედ-აკერებს თვით დარუბანდის აშენების ამბავსაცა. მაგრამ უფრო ფრთხილნი მწერალნი, თავის სამეცნიერო ლვაწლით თითქმის ფრიად გამოჩენილნი, პოულობენ საბუთებს რომლის გამოც დაფუძნება დარუბანდისა იყო არა უწინარეს VI საუკუნისა, სასანიდის დინასტიის სპარსეთის მეფეების მართველობაში (9). გარნა ამ მომატებულს სიფთხილეს შეჰყავს იგინი ცდომაში და წინააღმდეგობაში, როცა ვხედავთ, რომ თვით იმათ იციან, რომ ყოფნა დარუბადისა იყო ცნობილი გეოგრაფთაგან, რომელნიც ყოფილან ჯერ კიდევ IV და V საუკუნეებში. (10.) კედელი დარუბანდისა ამოწყობილია უზარმაზარი ქვებითა რომელთაც 28-დამ-40ფუტამდე აქვთ სიმაღლე და 4-7 ფუტამდე სიგანე. ქალაქის სამხრეთის კედლიდგან მოჩანს ნაშთი კავკასის კედლისა მიგრეხ-მოგრეხილი, და დაყოლებულია იმ

---

(9) Березинъ, путешествіе по Дагестану и Закавказью стр. 120.

(10) Березинъ, примѣч. къ путеш. по Дагест. и Закав. стр. 61; Географ. Паппа Александріискаго, псевд. Моисея Хоренскаго описаніе Сарматіи.

მთებზედ, რომელზედაც იგი ყოფილა გადასული. ეს კედელი იმავე მასალით არის აშენებული, ქვებს იგივე სიმაღლე და სიგრძე აქვსთ, როგორ თვით ქალაქის კედელსა და ამასთანავე გაწყობილიც ყოფილა ტიხეებით და სიმაგრეებით. მაგრამ მთების სამხრეთის მხარეს კი ეს კედელი ამოუვანილი ყოფილა სხვა მასალითა: იქ უფრო გარდამეტებით სიმის-ქვის ქვით-კირია; კოტეხთანა ჩანს რომ უძველესი კედელი დაქცეულა თითქმის საძირკველამდე და იმის პირდაპირ დასწვრივად ძალიან ახლო ამოუყვანიათ სხვა ახალი, მხოლოდ ეხლა მაინც კიდევ ძალიან დაძველებული და შესაძლებელი, რომ VI საუკუნისა იყოს. მთელი სიგრძე ამ კედლისა, დარჩენილის ნაშთის მიხედვით 360 ვერსტისა არის. ამ კედლის აშენების განზრახვა, როგორც გვარწმუნებენ ერთ პირად ისტორიკოსნი, ისა ყოფილა, რომ სამხრეთის მხარენი დაეცვათ ჩრდილოეთის ბარბაროსების დაცემისაგან; მაგრამ საოცარი ეს არის რომ კოტეხის კედელსა, თვით ჩვენგანვე ნახულსა ჯ მიყოლილსა კავკასიის უმთავრეს ზურგის ძირობაზედა, აქვს სასროლები ჩრდილოეთის მხრით. ეგ მთის გასავალნი იყვნენ არა მარტო სალაშქროდ, არამედ ხალხთა შორის მშვიდობიან მისვლა-მოსვლისათვისაც. ალანნი (უთუოდ ოსნი) მცხოვრებნი დონის ანუ ტანაისის ნაპირებზედ, გადმოდიოდნენ მაგ გზებზედ ვაჭრობისათვის ჯ ყიდულობდნენ თავის ოქროთი ინდოეთის ჯ ბაბილონის საქონელსა, რომელიც აქლემებით გადაჰქონდათ თავის ქვეყანაში. (11.)

იქ, სადაც ყოფილა იმისთანა მოძრაობა ვაჭრობისა, არ იქნება რომ არ ყოფილიყვნენ ქალაქებიცა, როგორც სამოქალაქო ცხოვრების შემაჯგუფებელნი ალაგნი. საქართველოში ძალიან ადრე გამოჩნდნენ დასახლებული ადგილები, რომელნიც ხალხის გადმოსახლებით წოდებულნი არიან ქალაქებად ჯ ტიხეებად. ამ ქალაქების ჯ ტიხეების აშენების თავდაპირველი განზრახვა ის იყო, რომ მოსაგერებელი ჰქონოდათ რამე; ამიტომაც ისინი უთუოდ უნდა ყოფილიყვნენ სიმაგრის სახისანი. მათ შორის აქაურის მატიანეთა მო-

(11.) Strab. L. XI, p. 349.

წმობით, ჩვენგან აღწერილ ეპოქაში ჯერ კიდევ ეოთვილან შემდეგი ქალაქები და ციხეები:

ქართლი—თვით უძველესი ამ გვართაგანი შენობა ქართველებისა. იგი ალაშენა (ქვეშე 41°-43' სიგან. და 62°-10' სიგრძ.), ქართლოსმა მთაზედ, რომელიც წარმომდგარია მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ, არაგვის და მტკვრის შესართავის ახლო. ფარნავაზის დროს ამ ქალაქს დაერქვა სახელი: არმაზი ანუ არმაზციხე, მისგამო, რომ ფარნავაზმა იქ აღადგინა სალოცავი სპარსულის ღმერთისა—ორმუზდისა. ძველნი გეოგრაფნი ეძახდნენ სხვა და სხვა ნაირად: სტრაბონი ეძახის ჭარმაზიკა (Harmasica), პლინი—ჭარმასტის (Harmastis) ს პტოლომეი—ჭარმასტიზა (Harmastisa),

თუმცა უფრო ადვილი იქნებოდა რომ საქართველოს ძველის ქალაქების აღწერაში მიგვეღო გეოგრაფიისგან მიღებული სისტემა, ე. ი. გადასვლა ქალაქიდამ ქალაქზედ უფრო მახლობელზედ, კიდრე მიგუვებოდით იმ რიგსა, რომელშიაც ხალხის მატიანეში აღნიშნულია ერთი ერთმანეთზედ იმათი აღშენება; მაგრამ, რადგანა სახეში გვაქვს, რომ ის მატიანეს რიგი დაგვეხმარება საქართველოს დასახლების გავრცელების და მიმართულების საჩვენებლად, ამის გამო ჩვენ ვირჩიეთ ხელთ-მძღვანელობა მატიანესი.

ქართლის შემდეგ ამ ზედ მიყოლების რიგით არიან: ორბისი (სამშვილდე) იყო სიმაგრე, აღშენებული ქართლოსისგან მდინარე ქციის, ანუ ხრამის, (რომელიც დებედას ერთვის) მარცხენა ნაპირზე. ჩვენ დროშიაცა ჩანს თავ-მინებებული მისი ნანგრევები. უცხო ქვეყნის მწერალთაგან არ ვიცით, რამოდენად იყო გამოჩენილი იგი ძველ დროში; რომ იგი ყოფილა ქართული ქალაქი, ამას თავის გეოგრაფიაში იხსენიებს მხოლოდ პაპპა (მათემატიკოსი ალექსანდრიის სასწავლებელისა, IV საუკუნეში ქრ. შემ. მცხოვრები). ამის გეოგრაფიასა მოსე ხორენელს აწერენ ხოლმე.

მტკვრის ციხე ანუ ხუნანი იყო ციხე, აშენებული ისევ ქართლოსისგან დებედა რომ მტკვარში ჩადის, იმის ახლო. შეიძლებ კიფიქროთ, რომ ეს ორი სიმაგრე იყო აშენებული ქართლოსის

დაშენებულ სამეფლობელოს სამხრეთის სამზღვრის დასაცველად.

დედა-ციხე, და ბოსტან-ქალაქი, წოდებული რუსთავად, ხალხის მატიანეს სიტყვით იყვნენ აშენებულნი ქართლოსის ცოლისაგან: დედა-ციხე ქართლის მახლობლად თეძამის წყალზედ, რომელიც მხარ-მარჯვენით ერთვის მტკვარსა; ბოსტან-ქალაქი კი იყო აშენებული მალლობზედ, რომელსაც ეხლა ეძახიან იალლუჯას და რომელიც ტფილისიდამ ხუთმეტს ვერსტზედ არის.

გაჩიანი ანუ სანადირო-ქალაქი იყო აშენებული ქართლოსის შვილის გაჩიოსისაგან ქცივს მარცხენა ნაპირზედა, იმის მახლობლად, საცა ამ წყალში ჩამოდის მდინარე მაშავერი. ამ ქალაქის ნანგრევები აქამდინ სჩანან.

ჩელთი ანუ ბერი, ეხლა ვრცელი სოფელია კახეთში ჩელთის მდინარეზედ ლ §ქვიან შიდა (ქვეშე 42°-0' სიგან. და 53°-23' სიგრ),

მტკვრის-ციხე, დედა-ციხე ბოსტან-ქალაქი, გაჩიანი და ჩელთი სულ არ იყვნენ ცნობილი უცხო ქვეყნის ძველ გეოგრაფთაგან.

მცხეთა აშენებულია მცხეთოსისაგან მტკვრის მარცხენა ნაპირზედ, იქავ მტკვრის და არაგვის შესართავში (41°50' სიგან. და 62°23, სიგრ.) ქალაქი ეგე, თავის დაფუძნების დროიდგან V საუკუნემდე ქრ. შემ. იყო საქართველოს სატახტო ქალაქად. გარდა საყდრებისა, რომელნიც ფრიად გამოჩენილნი არიან სიდიდითა და არხიტექტურითა, დღესაცა ჩანს რომ მტკვრის ნაპირი ქვითლილის თირეებით ყოფილა ამოყვანილი. იგინი პტოლომეისაგან წოდებულია მესტლეტად (12). ეხლა მცხეთა არის ბატარა სოფელი, რომელშიაც დარჩენილა ხელოვნების სახსოვარნი თავის წარსულის და გარდავლილის დიდების ნიშნათა.

მცხეთოსის შემდეგ იმის შვილებმა თავის ნაწილებში ააშენესვი დებ

(12) Ptolom. Geog. l. V. cap. 11.

შვიდი ქალაქი: ოძხრე, თუხარისი, წუნდა, არტანისი (ქაჯთა-ქალაქი ანუ გური), უფლის-ციხე, ურბნისი და კასპი.

ქალაქი ოძხრე ყოფილა ეხლანდელ ახალციხის ახლო, მტკვარში ერთ შემომდინარე წყალზედა; თუხარისი ოძხრეზე მახლობლად იყო, ჭოროხის აუზში; წუნდა მტკვრის სათავესთან; არტანისი—წუნდის ახლო, ესეც მტკვრის აუზში. ძველი გეოგრაფოსები ამავე სახელით იხსენიებენ წუნდასა, მაგრამ ეხლა კი თურქთა მფლობელობის ქვეშ არდაღანად არის წოდებული. დასასრულ, გამაგრებული ქალაქები: უფლის-ციხე, ურბნისი და კასპი მტკვრის მარცხენა ნაპირზედ იყვნენ, შიგ ქართლის შუა-გულში. უკანასკნელი ქალაქები ეხლა პატარა სოფლებად არიან გადაცვლილნი; (კასპი არის ქვეშე 41°-58' სიგ. და 62°-4' სიგრ.) უფლისციხე კი სრულიად თავ-დანებებულია. ეგ იყო, ამბობს ვახუშტი, «შენობა უცხო, კლდისაგან გამოკვეთილი. პალატნი დიდ-დიდნი, ქანდაკებული კლდისაგანვე, გვირაბი ჩახვრეტით ჩაკაფული მტკვრამდე, დასავლით აქვს ქარაფი მაღალი, და მას შინა გამოკვეთილნი ქვაბნი მრავალ-დიდნი, არამედ აწ შეუალ არს.» (13)

მტკვრის აუზში იყო კიდევ ერთი ქალაქი სურამი ანუ სირიუმი (14) მამასახლისების დროს აშენებული იქ, სადაც ეხლა არის სოფელი ამ სახელისა და სადაც აქამდის კიდევაც ჩანს ძველი ციხის კოშკები. ეს ადგილი იყო ძველ ინდოეთის საკაჭრო საქონლის დასაწყობი. ამ ქალაქის აშენების ამბავზე მოწყობილია ერთი უცნაური ლეგენდა, რომელსაც მთელი იქაური მდაბიო მოსახლეები იცნობენ და მღერიან კიდეცა. მაგრამ მაინც კიდევ, იმ ლეგენდას ჩვენ წერილებში მნიშვნელობა არა აქვს.

---

(13) გეოგრ. ვახუშტისა. გვ. 244

(14) Plin. l. VI, cap. 17

მტკვრის აუზის ქალაქებთან თითქმის ერთ და ამავე დროს დაიწყო დაშენება ქალაქებისა რიონის აუზისა. თუმცა ქართული მატიანე ამათ დაფუძნების დროებსა ისე გამოკვლევით არ იხსენიებს, როგორც ზემო ხსენებულ ქალაქებისას, მაგრამ უცხო ქვეყნელების მოთხრობებიდამ ვიცით, რომ ეს და ქუთაისი ძველის-ძველადვე ყოფილან. პირველი რიონის სათავეში (ქვეშე 42°—8 სიგ. და 59°—16 სიგრ.) იყო მდიდარი ქალაქი. ეს ქალაქი იყო ნახული და გათქმული ბერძენთაგან თავიანთ მხედრობის დროებში. ტრაპეზელ-ლაშქრობის შემდეგ, როცა ბერძნებმა დაიწყეს თავის ქვეყნის გარეთ ყოველ მხრივ სიარული, მაშინ მიდეთელებმა დაიპყრეს ეს ქალაქი და მის ნანგრევებზედ დაუფუძნეს კოლონია: ფაზისი, რომელსაც ახლა ფოთი ჰქვიან; ქუთაისი (ქოთა ანუ ქითა), რომელიც დღევანდლამდინ რიონის პირზედ არის (ქვეშე 42°—16 სიგან. ⸗ 60°—29 სიგრ.) ყოფილა კოლხიდის მეფლობელების სადგომად.

ამათ გარდა, ფარნავაზის მეფობის დროს იყვნენ დაარსებულნი სხვა ქალაქებიცა, რომელთ შორის უფრო გამოჩენილნი არიან: შორაპანი, რომელიც ჩვენ ბევრჯერ გვიხსენებია, და არქეოპოლისი. ეს ქალაქი არის ნაქალაქევი; ძველი ციხე გოჯი, რომელიც იყო აშენებული ტეხურის მარჯვენა ნაპირზე ფარნავაზის პირველ თანამოლვაწე ერისთავის ქუჯისაგან.

საქართველოს ძველი ისტორია

)სამეფოს დაარსებითგან საქართველოს გაქრისტიანებამდე. გადასავალი სამეფოს დაარსებითგან რომაელებთა შებმამდე).

მეფობა საურმაგისა (237—162 ᲬᲛ.)—თვის-შორისი ბრძოლა ერისთავებისა,—მეფის უფლებისაგან თავის-დახსნისათვის.—შემოსევა არტაშეზისა ᲓᲐ ზორდიადისა.—მეფობა მირვანისა (162—112 ᲬᲛ.)—თვის-შორისი ბრძოლა ტახტ-მემკვიდრეობისათვის საურმაგის ორთა სიძეთა შორის.—გადგომა სამეგრელოსი ᲓᲐ სხვა ზღვის პირის მხარეებისა საქართველოს სამეფოსაგან.—შემოსეკა ბალქართა ფარნაჯის მეფობის დროს (112—73.).—ბრძოლა ᲮᲐᲠᲬᲛუნოებისა ცვლილებისაგამო.—არშაკის I (93—81) მოწოდება გასამეფებლად ᲓᲐ განდევნა ფარნაჯისა.—შემოსევა მიტრიდატისა, პონტოის მეფისა.—შინაგანი წყობილება და მდგომოიარობა საქართველოსი ფარნავაზის სიკვდილიდამ რომაელებთან შებმამდე.

I. პირველი ბრძოლის მიზეზი ის გარემოება იყო, რომ რადესაც ფარნავაზის სიკვდილის შემდეგ ავიდა ტახტზედ შვილი მისი საურმაგ, ქართლის ერისთავმა, რადგანაც ტახტ-მემკვიდრეობის სამართალი არ იყო ჯერ კიდევ სრულიად მითვისებული ხალხისაგან,—ეს შემთხვევა თავისათვის გამოიყენა და შეიქმნა საურმაგის უმაღლეს უფლების წინააღმდეგი; შეარდგინა შეთქმა, რომლის განზრახვა ის იყო, რომ აღმოეფხვრა მეფის უფლება და აღედგინა დაუმოკიდებლობა ერისთავებისა. შეთქმა ესე ᲩᲡᲩᲐᲜᲡ ძლიერ კარგად ყოფილა მოხერხებული, იმიტომ-რომ ხალხის მომეტებულმა ნაწილმა გამოაცხადა ძლიერი თანა-გრძნობა და მიიღო მონაწილეობა ამ შეთქმაში. საურმაგი იძულებულ შეიქმნა გაქცეულიყო საქართველოდ განა და ეთხოვნა შემწეობა იმ ხალხთათვის, რომელნიც ᲩᲡცხოვრებდნენ კავკასის ჩრდილოდ ქვეყნებში. ფარნავაზსა ჯერ კიდევ თავის მეფობის დასაწყისში უნდოდა დაემკვიდრებინა თავის შთამომავლობისათვის სამართალი და ძალა ძლიერის მოყვრობითა; ამის გამო მან შეირთო

დურძუკეთის მთავრის ქალი; თავისი ერთი და შერთო თავის მეგობარსა და თანამოლვაწესა სამეგრელოს ერისთავს ქუჯისა; მეორე კი—ოსების მთავარსა. საურმაგის ძლიერ ნათესავებმა, რაკი რომ შეიტყეს მისი გაქცევის მიზეზი, მსწრათოდ შეიკრებენ ამრეკელ ერისთავების წინააღმდეგად, დასჯეს ისინი და ისევ მოიწვიეს საურმაგი. ამ მეფისაგან განთავისუფლების შეთქმის ურარად ჩაღლამ მოახდინა ისა, რომ ქართველს-ხალხს ჩაუნერგა შინაგანი რწმუნება, რომ მთავრობის ერთობა სიკეთეა.

II. საურმაგის მეფობის დროს საქართველო, რადგანაც იყო სელევკიდების მფარველობის ქვეშ, ეწევოდა დიდს ანტიოქსა, როცა მოხდებოდა ხოლმე ამღვრევა აზიის სხვა და სხვა მაზრებშია. ამისაგამო სომხის ჯარები გულამღვრეულ არტაშიარის და ზარდიადის სარდლობის ქვეშ შემოესივნენ საქართველოსა, და როგორც გვარწმუნებენ სომხეთის ისტორიკოსნი, დაიპყრეს კიდეც მთელი საქართველო (1). ქართული მატიანენი არაფერს ამისთანას არ იხსენიებენ, მაგრამ რომ გავისაზროთ რომ ამ სარდლებმა სრულიად დააუძლურეს მფლობელობის ძალა სელევკიდებისა ალმოსავლეთშია და დაამლევინეს პართიანის დინასტიის არშაკიდებსა,—შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმათ მხოლოდ არეულობა მოახდინეს საქართველოში, როგორც სელევკიდების თანა-მეზავე ქვეყანაში, და გაათავეს იმითი, რომ გაკვრით დაეცნენ სამზღვრებზედ მყოფთ საერისთავოებსა.

III. მიზეზი მეორე თვის-შორისის ბრძოლისა ის იყო, რომ საურმაგსა არა ჰყვანდა შვილები მამრობითი სქესისა; მხოლოდ ჰყვანდა ორი ქალი, რომელთაგანიცა ერთი შერთო სამეგრელოს ქუჯის შვილის შვილსა და მეორე—ერთის ძველთაგან ასურეთის ხელმწიფის შთამამავალს მირვანსა, რომელიც ამასთანავე იშვილა კიდეც და დანიშნა თავის მემკვიდრეთა. მაგრამ საურმაგის სიკვდილის შემდგომ, 162 წელ. ქრისტეს წინად, როდესაც დაჯდა მეფედ მირვა-

(1) Snt. Martin; Recherches sur l' hist. de l' Asie; chap. 19.

ნი, მაშინ სამეგრელოს ერისთავმა, რომელიც მეფეებს ენათესავებოდა, არამც თუ მხოლოდ 'უკანასკნელის მოუკრობითა, თავისი შთამამავლობითაცა, (რადგანაც ის იყო ფარნავაზ მეფის დის შვილის შვილი), და ამისათვის წინააღუდგინა დასავლეთის საერისთავოები, დაიხმარა ზოგიერთი მთიულები და აოხრა საქართველოს შუაგული მაზრები, რომელნიც ერთგულნი იყვნენ მირვანისა. გამარჯვება თითქო იმის მხარეს იყო, ასე რომ მირვანმა მიყვანილმა უკანასკნელს განკიდურებამდე, მიჭმართა პართიანის ხელმწიფეს არშაკსა და სთხოვა შემწეობა, რომელმაც მიიღო თხოვნა და გაგზავნა სამეგრელოში თავისი ძმა, სომხეთის მეფეთა გალარშაკი, რომელიცა იმ დროს ებრძოდა პატარა სომხეთის მართველს მიტრობორზანსა. როდესაც ამასთან გაათავა ბრძოლა, გალარშაკი დაეცა სამეგრელოსა და წინააღმდეგმა ერისთავმა, რომელსაც შემოეხვიენ გალარშაკი და მირვანი, დაჭკარგა თავისი საკუთარი სამფლობელოცა. ამ ლაშქრობის შედეგი ის იყო, რომ გალარშაკმა რაკი ერთი მხრით ნახა, რომ საკმაოდ დაკმაყოფილა მირვანის თხოვნა მცხეთის ტახტითა, მეორეს მხრით მიაგნო რა, რომ მირვანი ულონობის გამო არ მოითხოვს საქართველოს დაბრუნებას თავის უწინდელ სამფლობელოებითა, დაინარჩუნა თავისათვის შავი ზღვის პირი და ალბანიას კი მიჭსცა ავტონომია თავის მეგობრის ვარანის მართველობის ქვეშ (2). თუმცა ეს უსვინდისოდ მოექცა სომხეთის ხელმწიფე, მაგრამ რადგანაც ასე გაუწყვეტლად ემატებოდათ მძლავრობა არშაკიდებსა, ამისაგამოთ მირვანს არ შეეძლო არ მოეძებნა მათი მოწყალება და მოინდომა ნათესავობის გაგშირით დაემკვიდრა თავისი უფლება დანარჩენს საქართველოში; ამისთვის მისცა თავისი ქალი პართიანის ხელმწიფის შვილს არშაკსა.

IV. ძლივს ძლიობით დაამშვიდა თუ არა საქართველო და მოიყვანა ყველაფერი რიგზედ, მსწრაფულ მშვიდობიანი მდგომარეობა მისი შეარყია ბარბაროზების შემოსევამ. კავკასის ჩრდილოდ ^1დე-

(2) Recherches sur l' hist. de l' Asie, chap. 20.

ბარე ქვეყნიდგან გამოჩნდა ახალი მრავალ რიცხვი ხალხი, რომელთაც ეძახიან ბალქარებსა. თავდაპირველად მათი ელი დადგა მალკისა და თერგის წყლის პირებზე, და იქიდგან, სკვითის ხალხისაგან შეწუხებულნი, თავისი სარდალი ვანთას წინამძღოლობით გამოიქცნენ მთისაკენა, გადმოიარეს ოსების ქვეყანაზე დარიალის ხეობით და დაეცნენ საქართველოსა. ბალქარნი მოდიოდნენ ისეთის სისწრაფით და შეურეველობით, რომა იმათი შეოკება მაშინა, როდესაც გამოჩნდნენ არაგვის პირზედა, ალარათერით შეიძლებოდა. იმათ საჩქაროდ გადალახეს საქართველო, და როგორცა ჩანს მატიანეთგან, არ დაუგდიათ თვის შემდეგ ალხრების კვალი. ოდესაც მიახწიეს სომხეთამდე, ბალქარები, სომხეთის ხელმწიფის თანხმობით, დაბინავდნენ იმ მაზრაში, რომელსაც ეძახდნენ ანბეტ-პასსერსა ან ვანანდსა (3).

V. ქართული მატიანე, როგორც გვარწმუნებს, მიზეზი მესამე თვის-შორისის ბრძოლისა იყო, როგორც ზემოთაცა ვთქვით კიდეცა, სარწმუნოების გამოცვლის ცდა, რომელიც დაიწყო მირვან მეფის შვილმა, თვარნაჯმა. ყველამ იცის, რომა ზოროასტრის სარწმუნოების სწავლა, რომელიც იყო დაფუძნებული ბუნების განმღვთიერებაზედა, თავისი თავ და პირველი სიწმინდის წესით არა ჭვრეტდა საჭირად ღვთის სალოცავად არც ტაძრებსა, არც კერპებსა (ბუთსა); ზორვას გადაიხდიდნენ ხოლმე მშვენიერ მთის სიმაღლეებზე, ან ანკარა წყლის პირზე; მაგრამ როდესაც ირანელებმა და დასავლეთის ხალხმა გაახშირეს ერთი ერთმანერთში მისვლა-მოსვლა მაშინ ეს ღვთის მსახურების წესი ცოტაოდენად გამოიცვალა: ის შეიქმნა უფრო დიდებული და სადღესასწაულო, ყველგან, სადაც უფლებდა ეს სარწმუნოება, აშენდა ტაძრები და აიმართნენ კერპები (ბუთი). ეს ცვლილება შემოვიდა საქართველოშიაცა, ჯ როგორცა ჩანს, მოსწონდათ ქართველებსა. პირველად კერპი აამართა თვარნავაზმა ორმუზდის სამსხვერპლოსთანა ქართლის ქალაქში, არმაზის სახელობაზედ

(3) Recherches sur l' hist. de l Asie, ch. 20.

რომელიცგ ანბირონებდა უმაღლესის ღვთაებასა (4). საურმაგი და მირვანი გულ-მოდგინებით იცავდნენ სარწმუნოების მედიდურობას ისე, როგორც ხალხს მოსწონდა; მაგრამ თვარნავაზის შემდგომ, რომ განვლო ასორმოცდა ათმა წელიწადმა, მსწრათულ თვარნაჯი დაუბრუნდა დავიწყებულს ძველებურს წესსა, რომელიცა სრულიად არ ესიამოვნებოდა ხალხსა. ამან მოახდინა ქართველებში ამღვრევა, და ხალხმა სასწრათოდ გაუგზავნა თავისი ალმორჩეულნი პირნი არშაკიდებსა და სთხოვა, რომ გადაეყენებინა ხელმწიფობიდგან თვარნაჯი და იმის მაგიერად მეფედ დაესვა მირვანის სიძე, არშაკი. არშაკიდებისა მეცადინეობა, რომელთაც ალბათ უფრო უმეტესად ათხოვნინეს ქართველებსა, ვიდრე იმ მიზეზებმა, რომელნიც არიან აღწერილნი მემატიანეთაგან, ამ თხოვნამ სრულიად დააკმაყოფილეს, და ამისათვის არშაკს მაშინვე მისცეს სიგელი და პართიანებისა, ან სომხების ჯარით გამოისტუმრეს საქართველოში, რომლის მცხოვრებლები მიემხვრენ იმასა და ერთ-ხმათ ამოირჩიეს თავის ხელმწიფედ. თვარნაჯი გაიქცა პონტოს (5). ათის წლის განმავლობაში გაუწყვეტლად ებრძოდა საქართველოსა თვარნაჯი, რომელსაც ექომაგებოდნენ პონტოსი და საბერძნეთის ნაქირავები ჯარი; შემდგომ რაკი

---

(4) ვახუშტი (გეოგრ. აღწერა გვერდი 8 ჯ 26) სწერს, რომა არმუზის სკერპი იყო უშველებელი დიდი, ოქროთი მოსილი; თვალები ჰქონდა გაკეთებული ძვირ-ფასი ქვითა ჯ ბრწყინვალე გვირგვინი ამისთანავე ქვებით მოჭედილი ედგა თავზე. იმის გულისათვის იყო დაწესებული დღეობა, რომელსაც გადიხდიდნენ ხოლმე მთის ძირში. იქ შეიყრებოდა მრავალი რიცხვი ხალხი და მოვიდოდა ხელმწიფეცა დიდი-კაცებითა და საკრავებითა ჯ ბუკის კვრით შესწირავდნენ ზორვასა: ზოგი ხოცავდა,-ხარებსა, ზოგნი ცხვრებსა, ირმებსა ჯ გარულ თხებსა ჯ ზოგნი იმ საზარელ დავიწყებამდე მიაღწევდნენ ხოლმე, რომა მსხვერპლად შესწირავდნენ თავის შვილებსა. მას შემდგომ დაიწყობდნენ ლხინსა, როკვასა ჯ სხვა საამხიარულო თამაშობასა, რომელიც გასწევდა სამი დღე. ამ გვარი დღეობა იყო დანიშნული სხვა ღმერთებისათვისაც.

(5) ისტორია თეიმურაზ ბატონი შვილისა; გვერ. 121.

დაიპყრო საქართველოს ერთი მაზრა ტაშირი, დაუპირა კიდევაც სხვების დაპყრობაცა; მაგრამ ერთს ომში მოჰკლეს ისა და საქართველო დარჩა ანშუკსა.

VI. ჩვენ ვნახეთ, რომა მირვანისა და სამეგრელოს ერისთავის ლაშქრობის შემდგომ სამეგრელო დაინარჩუნა სომხეთის ხელმწიფემ გულარშაკმა. იმან დაუყენა იქა თავისი მოადგილეები და მიანდო იმათა ზრუნვა იმ ქვეყნის კეთილ-დაწყობილებისათვისა; მაგრამ ამ მოადგილეებმა თავისი ანგარების-მოყვარებით მიიყვანეს ხალხი იქამდინ, რომა მოხდა ანდგრევა, რომელიცა მალე დაუშოშმანა ანშაკმა (6). ანტაშესის მეფობის უკანასკნელს ხანში თითქმის 98 წლის ქრისტეს წინად კოლხიდის მეორე ამდგრევა მოხდა, მაშინ ანტაშესმა მიანდო დამშვიდება და უფლება მთელი ზღვის პირზე მდებარე ქვეყნებისა თავის სიძეს პონტიის მფლობელს, ერთს ძველის დროებისასა საუპირველესო სარდალსა მიტრიდატესა, რომელსაც ბერძნულად ეძახდნენ დიონისე-ევპატორსა (7). წინაპარნი მიტრიდატისა და პირველი მეფე ქართლისა ფარნავაზი იყვნენ, როგორც ვნახეთ ზემოთ, შთამამავლობით ერთის ოჯახისანი და ალბათ ამ საქართველოს ნაწილის ქვეყნების მიცემა იყო დამყარებული იმის გვარტოამობის უფლებაზედა. მიტრიდატი დაეცა საქართველოსა და დაიჭირა არამცთუ მხოლოდ შავი ზღვის პირს მდებარე ქვეყნები, სხვა მეზობლად მდებარე საერისთოებიცა და დაუყენა იმქვეყნებში თავისი მმართებლები. 84 წ. ქრისტეს წინად ამ მაზრებში მოხდა მესამე ხალხის ამდგრევა. ხალხმა გარეკა პონტიის მმართებლები და მოსთხოვა მიტრიდატსა, რომა იმას დაენიშნა თავისი შვილი მაქორა (8). მიტრიდატმა უჩვენა ხალხსა პირი, რომა ვითამ აუსრულებდა სურვილსა, და გაუგზავნა მაქორესა ოქრის ძეწკვი; მაგრამ რადგანაც ეჯვი ჭქონდა თავის შვილზედ, რომა ის სულ წინააღმდეგი იყო მამის სარგებლობისა, ამისათვის იმ ცოტას ხანში

(6) **Мойсей Хорен., кн. II. гл.** 8.

(7) იგივე თავ. 10.

(8) ისტორია თეიმურაზ ბატონი შვილისა, გვ. 125.

მოაკვლევინა იგი და მმართებლობა დასავლეთის საქართველოს ნაწილისა მიანდო ერთს ერთგულ მოსამსახურესა, რომელსაც მისცა ძლიერი ჯარი (9). მშვიდობიანობის დროს მმართებლობა იმ ოთხის ხელმწიფისა წარმოგვიდგენს მომატებულად იმის მზრუნველობასა, რომა ისინი სცდილობდნენ ქალაქების აშენებასა, სამზღვრების გამაგრებასა და მცხეთის განმშვენიერებასა ახალის შენობაებით, ტაძრებითა, კერპებითა, და სამსხვერპლოებითა. საქართველოს მატიანე გვიჩვენებს,რომა საურმაგმა ამართა კერპები: ანიანი ⲇ დანიანი; მაგრამ სომხური წელთ-აღწერა საურმაგისას ამბობს, რომა იმან ააშენა ოთხი კერპი, რომელთა რიცხვშიაც, ზემოხსენებულ გარდა, უფ. ბროსსეს აზრით შეიძლება, რომ ეოთვილიეკნენ: გაცი და გაიმა. თვრნაჯიმ ააშენა მცხეთაში ⲭელთის მახლობლად ქალაქი ნელაკრისი, რომელიც ეხლა ალარ არის და რომლის ადგილსაცა ⲩქვიან აქომამდე სახელი ნეკრესი და იცავს ერთს შენობის ნანგვრევსა, როგორც ნაშთსა თავის უკანასკნელ აყვავებისასა. იმანვე ააშენა თავის დედა-ქალაქში «მოგტა», სახლი, რომელიც იყო მოგვების თავის შესათვარებელი ბინა, და იმის წინ მშვენიერს მაღლობ ადგილზე, არაგვის წყლის მარცხენა მხარესა, სადაც ის ერთვის მტკვარსა, ააშენა ტაძარი, სამსხვერპლე და ამართა კერპი ზადენი. ძნელი ასახსნელია, რომელს სარწმუნოების სისტემას ეკუთვნოდნენ თვისი შთამამავლობით ღმერთები, რომელთ სადიდებლადაც იყვნენ ამართული ეს კერპები: იმათი სახელები არ არის არც საბერძნეთის ღმერთებს შორის, არც ეგვიპტისა და არც ზენდავესტის სულთა კრებაში. უფ. ბროსსეს აზრით დანიანი არის ქართველებისაგან შეცვლილი სახელი ბერძნების დიანასი. იმ დროების შენობის რიცხვს მიეთვლება დარიალის სიმაგრე. ქართლის ცხოვრებაში არის მოხსენებული, რომა მირვან მეფემ, როდესაც შეასრულა ლაშქრობა დურძუკელებისა, გამოაბა კარები დურძუკეთის შესავალში და გაამაგრა ისა ქვით-კირის კედელში. ᲠᲚᲘᲜᲘ ამ კარების აღწერაში ამბობს, რომა ის იყოვო გაკეთებული მრავალ რიცხვი ჩრდილოეთის ხალხის მოსვლის შესაო-

(9) Crev. hist. Rom. tom. X, liv. 33.

კებელად; ამას გარდა ამბობს, რომ იმ კარებიდგან სამხრეთისა მხარეზე იყო გორაზე ციხე კუმანია (10). შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ეს კარები და ციხე უნდა ყოფილიყო აშენებული ბალქარების მოსვლის შემდგომ სხვა მთის ხალხის შესაკებელად, რომელნიც იწყვდნენ სამხრეთისაკენ ბალქარების კვალზე. თუმცა ასე ზრუნავდნენ ხელმწიფეები ამ ქვეყნის კეთილ-მდგომარეობისათვის, მაგრამ ყველა ნაწილები საქართველოს სახელმწიფოსი არ იყვნენ მათს მეურნეობის ერთნაირ უურადღების ქვეშა, დასავლეთის ქვეყნებ შორის, რომელნიც უმეტესად იყვნენ დაშორებულნი საქართველოს კენტრიზე, და შუაგულ მდებარე მაზრებს შორის იყო დიდი განსხვავება. სოფხის ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომა, როდესაც ვალარშაკმა დაიპყრო სამეგრელო, ქვეყანა ხალიბებისა ჯ ლაზებისა, მაშინ შენიშნა, რომა ეს მშვენიერი ჯ მდიდარი ყოველი მიწის ნაყოფითა ქვეყანა იყო გაოხრებული დაუდევნელობითა, ხვნა-თესვა იყო თავ-დანებებული, რიონის წყლის პირის ქვითკირის თირეები იყო გაფუჭებული უურუგდებლობითა ჯ ამ მდინარის წყალი ალელვებისაგან ხშირად გადმოვარდნილი მინდვრებზედ აყენებდა მრავალ გუბეებსა, რომელსაგანაც შეიქმნა ჭაობები. გზებზე იყო ატეხილი ხშირი ტყე, თვით ხალხიც მიზდევდა მხოლოდ თულობასა. ამ გვარი გაოხრების მიზეზი ის იყო, რომ, რაკი ეგვიპტეში ქალაქი ალექსანდრია აშენდა და ინდოეთისაკენ სხვა სავაჭრო გზები გაიხსნენ, ძველებური ვაჭრობა მტკვრის და რიონის წყალზედ შეწყდა, თუმცა თვარნავაზი ცდილობდა მის გავრცელებასა. იქაური მცხოვრებნი, რომელნიც მარტო თავის ქვეყნის მარჯვე მდებიარობისაგან დაჩვეულნი იყვნენ თითქმის უშრომელად და უხნავ-უთესვოთაც იმის შოვნასა, რაც არამცთუ მიუცილებელია ცხოვრებისათვის, არამედ გარდამეტებულიც არის, ვაჭრობის შეწყდომის შემდეგ ალარ ეოებდნენ საჭირო, რომ რიგიანად შეენახათ რიონის მოხიო. იგინი მიეცნენ დაუდევნელ თულობასა და მტაცებლობასა, თვის-შორისის ბრძოლისაგით, რო-

(10) Plin. lib. VI. cap. 12.

მელიც ზედმოახვიეს თავიანთ ერისთავებმა. სომხის ისტორიკოსების მოწმობით, ვარლარშაკსა სურდა, რომ უკეთესობაში მოეყვანა ყოფა-ცხოვრება თავის ახალ ქვეშე-ვრდომილის ხალხისა, და ამისათვის გაგზავნა იქა ოცდა ათი ათასი მუშა, |რომელთაც გათხარეს არხი რიონში წყალთა ჩასადენად; გააწყობინეს ბევრი სიმაღლეები, ამოაშრეს ტ შეამაღლეს დაცემული ჭაობი ადგილები; გააწყობინეს ძველი თირეები რიონისა; გამოჩეხეს ტყე და გახსნეს ხელახლა გზები (11).

ქართველთ მეფეების სახლობას ამ ეპოქაში, როგორცა ჩანს, ჩქონია დიდი სიმდიდრე. არა მარტო შენობებით შეიძლება ეს განვისაზრონდ. მარტო თვარნაჯიმ, რომა გაიქცა ბოინტოს, გაიტანა საქართველოდგან იმთანი ძვირფასი ნივთეულობა, რომ იმის მოხებით ათი წელიწადი ნაქირავის ჯარით ეომებოდა უბედურად არშაკსა. სიმდიდრე მეფეთა შეიძლებოდა ყოფილიყო ოქროსა და ვერცხლისაგან, და ინდოეთის ძვირფას ქვათაგან, როგორც თეულად, ისე ნივთეულად. მაშინდელ თეულსა ერქვა «ხვასტანგი» რომელიც ერთის ცხვარის თვასად გადიოდა ხალხში. ამ ძველთაგან |ძველის ქართულის თეულის დედანი, როგორც გვარწმუნებენ ჩვენის დროების ნუმიზმატები, არისო ბევრს მუზეუმებში. თუმცა მიწის ნიადაგი შეიძლებოდა ყოფილიყო გაუწყვეტელ ქონების წყაროთა, მაგრამ სახეში რომ ვიქონიოთ ხალხის ჯათის უსიყვარულობა, გამოვა, რომ უმთავრესი წყარო მაშინდელების სიმდიდრისა იყო ისე ნაყოფიერება დედა-მიწისა არა, როგორც ბაჟი ყოველ იმ საქონელზედ, რაცკი რომ გადმოჭქონდათ იმათ მამულებზედ ინდოეთიდამ ევროპაში და ევროპიდამ ინდოეთში. ჯერ მაშინაც, როცა, სხვა გზების ალმოჩენის გამო მოაკლდა ამ არა გზასა სავაჭრო საქონლის გადატან-გადმოტანა, ჯერ მაშინაც, როგორც გვარწმუნებს პლინი, რომი შორაპანში გზავნიდა ასს მილიონს სესტერციასა (12) იმ საქონლის ბაჟად, რომელსაც უკლია ამ ქალაქზედა

(11) Recherches sur l'hist. de l'Asie, ch. 20.

(12) Plin. lib. VI cap.

რომში წასასლებად; მაშასადამე ჯერ კიდევ თვრნავაზისაგან შორაპნის აშენების კარგა უწინ და იმ დრომდე, რომელზედაც ლაპარაკობს ბლინი, შემოსავალი ქირთველთ მეფეთა უფრო მომატებული უნდა ყოფილიყო. აუარებელი განძი მოულოდნელად ნაპოვნი თვრნავაზისაგან გამოქვაბულ კლდეშია გვაძლევს მიზეზს ვიფიქროთ, რომ ის განძი მოგროვილი იყო თვითონ თვრნავაზის წინა-პართაგან ჯ მათგანვე დამალული ალექსანდრე მაკედონელის არეულობის დროსა; ამას გარდა ძნელი დასაჯერებელია რომ ამ განძის ამბავი არ ჭსტოდნოდა თვრნავაზის დედასა, რომელიცა შველიდა კლდიდამ საიდუმლოდ გამოტანასა. აქედამ შეიძლება ვიაზრროთ სიმდიდრე ქრისთავებისა და ხალხისაცა, რომელიც თავის დღეში თავის მეფეებს არ უყურებდა ისეთის დამონებითა, როგორც სხვა ადგილის ხალხი, ეგ უპატრონო და უმწედ მოოქმილი სხვერპლი თავის დესპოტებისა.

ჭირველის ნოშერის ისტორიის სტატიაში 33 გვერდზედ, 62 სხოლიოში მოგვიგიდა სხვათა შეცდომათა შორის ერთი ძალიან დიდი შეცდომა: «ებრაულის ანბანის» მაგიერად "ევროპიული ანბანი„ დაგვიბეჭდია»

სხვა და სხვა ამბავი

გამოფენა—საქართველოს გამიჯნავების გამო—ქორწინება ახლო ნათესავთა შორის—იაროსლავის თავად-აზნაურთა წინა-დადება ოთხს საგანზედა—გასამართლების რეფორმისა გამო—მიმინო—კორროლი უფროსი რედაქტორი ჟურნალისა—შედარებითი სქემა კაცის-მკვლელობისა ევროპიის სხვა და სხვა ხელმწიფოებში—საფო და შტოლცი.

სოფლიური ეკონომიის წარმოების გამოფენა ტფილისში 13 ნოემბერს 1862 წ. სამშობლო ქვეყნის მიწის თუ ხელობის ნაწარმოების გამოფენასა აქვს დიდი მნიშვნელობა: იგი წარმოგვიდგენს თუ კარგად და ყურადღებით არის საქმე დაჭერილი, რამოდენათაც შეიძლება სრულს სურათს სოფლიურ ეკონომიის წარმატებისას და ახლო გვაცნობებს ქვეყნის მატერიალურ ღონისძიებას და შეძლებასა. თვით მოწარმოეთათვისაც დიდად სასარგებლოა არამც თუ დრო გამოშვებითი გამოფენა მათის ნამუშავარისა, არამედ სამუდამოცა, თუ რომ ამის ღონისძიება იქნება. იმათ შეუძლიანთ გამოფენაში ნახონ ბევრნაირი მიწის საუკეთესო მოსავალი, სისრულეში მოყვანილი სამოქმედო იარაღი, ახალი აღმოჩენაები. აქ გამოფენაში შეიძლება მოწარმოენი, სხვა და სხვა მხრიდამ მოსულები ერთმანეთს შეხვდნენ და გამოკითხვით, ლაპარაკით, აზრების გარდაცემით მიიღონ რამე თავისა და მამულის სასარგებლო სწავლა და გამოცდილება. მაგრამ ჩვენდა საუბედურად, უფრო ბევრს ჩვენს მებატონეთაგანს არ ესმის ჯერ მიუცილებელი საჭიროება გამოფენისა და ამიტომაც გულგრილად და თითქმის შეუტყობრად ჩაივლის ხოლმე მისი დაწესების დრო ჩვენს ქალაქში. მარტო ერთი კონკურენცია (მოცილეობა საგნის უკეთესობაში) რამოდენა ღონეს მიჰსცემდა მოწარმოესა და რამოდენად წინ წასწევდა საქმესა; — და უკეთესი კონკურენცია სად იქნება თუ არ გამოფენაში, სადაც იმდენი ხალხი სინჯავს ნაწარმოებს და სადაც ხელობის ხელოვნება, თუ მიწის გამოსავლის სიკეთე ერთისა დაეტაკება საქვეყნოდ მეორის ხელობის ხელოვნებას, თუ მიწის გამოსავლის სიკეთესა. მარტო ერთი საზოგადოების მოწონება რარიგად ავარჯიშებს მოწარმოეს! ერთის გამარჯვება, მეორესაც მოანდომებს საგულოდ გამარჯვებას და ეს მოუმატებს გულმოდგინეობას და ცდასა. გულმოდ-

გინეობა და ცდა კიდევ არიან ბირველნი, უმთავრესნი ლონენი წარმატებისა. მაგრამ, კიდევ განვიმეორებთ, ჩვენდა საუბედურად, ეს არ გვესმის, დაუდევნელები ვართ და გულგრილნი ყოველ სიკეთისათვის.

ყოველ ხალხში, სადაც გაჩაღებულია სოფლიურ ეკონომიის წარმოება და ის ყოვლად-შემძლებელი კონკურენცია, იქ ხალხი გამოფენას ელის როგორც დღესასწაულსა. ყოველი მხარე გაგზავნის ხოლმე თავის ნამუშავარს, ყოველი მებატონე თავისი მეცადინეობის და ლვაწლის ნამოქმედებსა, ყოველი ხელოსანი თავის ოსტატობის ნაწარმოებს და ბევრი მათგანიც თან გაჰყვება ხოლმე თავის წლის ნამუშავრის ნაყოფსა, თუ, რა სასაკვირველია, ეგ შესაძლო იქნება,

გამოფენის გამართულობა არის ხოლმე საუკეთესო როგორც ჩვენისათვის, ისეც გრძნობისათვის. შეხვალთ თუ არა მსწრაფლ მოგესმით მუზიკის ხმა, შადრევნების ჩხრიალი, რომელნიც გრილსიოს მოჰფენენ ხოლმე გარეშემო; თვალთა თქვენთა წარიტაცებს მწვანე, ვარდები და ყვავილები მხიარულად გადაშლილნი; მორთული მხიარული ხალხი დადის და სინჯავს გამოფენილს ნივთებს; მეპატრონენი დაჭხარიან როგორც შვილებს თავის ლვაწლის ნაყოფსა, რომ ა მას იწონებს მჯვრეტელი.

ეს ყველაფერი აძლევს გამოფენას რაღაც დღესასწაულობის სახესა. მართალიც არის: აქ ჭკუა დღესასწაულობს თავის ძლიერებას, მხნეობა და მეცადინეობა—თავის გამარჯვებას, სწავლა და ცოდნა—თავის ნაყოფის სიკეთეს; დიახ, ეგ არის უქმე,დღესასწაულობა კაცის ჭკვის და შრომის სასახელოდ და სადიდებლად! ბედნიერია ხალხი, რომელიც იქამდინ არის მიხწეული, რომ შეუძლიან ჭკვის პატივი და შრომისა. ყოველგან ნახეს სარგებლობა გამოფენებისა, რადგანაც ყველგან მაგისაგან დიდი ნაყოფი გამოვიდა. ჩვენშიაც მიხვდნენ მაგის საჭიროებას და მართებლობამ მიიღო მაგ საჭიროების დაკმაყოფილების მეცადინეობა.მართებლობისაგან დაწესებულ სოფლიურ ეკონომიის საზოგადოებისაგან ყოველ წლივ შემოდგომაზე

ტფილისში მოხდება ხოლმე გამოფენა ჩვენის ქვეყნის ნამუშევრისა. ესრედ შარშან 13 ნოემბერს გაიხსნა დროებითი გამოფენა ჩვენს ქალაქში, თვით საზოგადოების საკუთარს სახლში. ეგ გამოფენ ერთ თვეზედ მეტი იყო. ერთი საძწუხარო და დამალონებელი თვალი შევნიშნეთ: მნახველი ყოველთვის ძრიელ ცოტა იყო; ქალაქის ცხოვრებაში გამოფენამ არათერი ცვლილება არ მოახდინა, სულ ყოველი თერი მიდიოდა თავის რიგზედ, თითქმა დაძინებულია, ვითომც არცკი ყოფილიყოს ეგ ამბავი.

შარშანდელს გამოფენას ეჭირა სამი ოთახი. ერთი ოთახი სრულიად ორ ოთახზედ მოშორებული; ის ოთახი ეკუთვნის ფლიგელს, რომელსაც ამ ორ ოთახთან შეაერთებს მუჯარი. რა წამს აბრძანდებით, მარჯვნივ ნახამთ გამოწყობილ ნივთებს; ამ მოაჯრიდამე შესავალია პატარა ზალაში, სადაც გამოფენილია ძვირფასი ნივთეულება. ზალის თავში კარგი ადგილი უჭირამს ძრიელ საინტერესო მინერალების კოლექციას, რომელიც შეკრებილია უფ. ბაიერისგან კავკასიის სხვა და სხვა ადგილებში ათის წლის მეცადინეობითა. ეს მდიდარი კოლექცია გვიმტკიცებს ჩვენ ქვეყნის ბუნების სიმდიდრეს. გამოუფენელი სიმდიდრე იპოვება ჩვენს ქვეყანაში; მაგრამ ჩვენ ქართველებს რად უნდათ—ისეც ბევრი აქვსთ. ზალის სიგძეზედ გაწყობილიიყო მშვენიერი ხელობა ვერცხლის ნივთებისა, ოქროსი სევადებით, იქავ კედელზედ ეკიდა მხატრობანები; მეორე ბოლოს სტოლზედ გამწკრივებულიიყვნენ სხვა და სხვა ხელოვნებანი ტფილისის თვბრიგისა (гранильной и каменно-картонной массы) მარმარილოს პატარა სტატუები, სტოლის შესამკობი მარმარილოს ქვისაგან გაკეთებული ნივთები და სხვა წვრილმანები. აქვე იდგა თლილი ქვის სტოლი, მოდელი თეჩისა და ბუხრისა, ისიც ქვისა, გამოგზავნილი ლონაძე დიაკონისაგან. შემდეგ კარებამდისინ იყო გამწკვრივებული ხელოვნება აქაური ხელოსნებისა, ე. ი. ჩერქეზული ჩოხები, ყაბალახები და ქუდები. ზალის შუა იდგა მშვენიერი მარმარილოს სტოლი ოქროს კარაყით და მარმარილოს კედლის სათვლავის ქვა ზედ ამოჭრილის წარწერითა: «ტფი-

ლისში გაგეთებული.» ამ ოთახის წინაკარში ეკიდა სარკე და რამდენიმე ჩერქეზული ჩოხები. ამ წინაკარიდგან შესავალია მეორე პატარა ოთახში, სადაც გამოგვენილი იყო ბოსტნის მოსავალი, რომელსაც ეჭირა ძრიელ პატარა ადგილი. რა წამს შებძანდებოდით, თავს მიაქცევდით გოლოანისტებისაგან წარმოგზავნილს უშველებელ გოგრებს, აგრეთვე საუცხოო კარტოფილის ეგზემპლიარებს, წარმოდგენილს თ. ივანე მუხრანსკისაგან და სხვა მცირე ბოსტნის მოსავალს უფ. დეიჩმანის ბოსტნიდან, რომელთა შორის კარგი ეგზემპლიარები იყო ყვავილიანის კომბოსტოსი. ჩვენში მრავალია სხვა და სხვა ბოსტნის მოსავალი, უმეტესად ქალაქის პირებში დიდ სარგებლობას აძლევს საზამთროს და ნესვის ბოსტნები, წვანილეულება,—რასაკვირველია, ამაზედ უფრადღება უნდა მიქცეული ყოფილიყო; მაგრამ ამ გამოფენაში ვერა ვნახეთ: ნესვი, საზამთრო, კიტრი, ბადრიჯანი, მწვანიჯი, რომელიც არის მოუკლებელი ყოველ სუფრაზედ და ფრიად სახმარი ჩვენს ქალაქში. ჩვენ გაგვიკვირდა ამ ალაგას რატომ არ იყო წნილები, მერე მაშინ, როცა ვიცით, რომ ჩვენში იციან კარგი მომზადება წნილისა; იქნება ჭკოანიათ წნილის მცოდნეთა, რომ ამისთანა უბრალო საგანი არ შეიძლება წარიგზავნოს გამოფენაში და ამისგამო მორცხობენ. ჩვენ გვინახავს, რომ სახალხო გამოფენაში წნილებსაც ჭქონიათ ღირსეული ადგილი. ყველაფერი დიდია და მშვენიერი, რომელიც თავის ალაგას და თავის დროს არის ხმარებული, მცირედი ნიგთიც დიდია ოღონდ თავისი ალაგი კი ეჭიროს. გვსთქვათ მაგ. თვით წნილზედ. ვისიც კარგი წნილი იქნებოდა გამოფენაში კარგად შენახული ან მომზადებული იმისი დუქანი უფრო ბევრს მუშტარს იშოვნიდა ან თვითონ მუშტარისათვისაც მეტი არ იქნება, რომ იცოდეს სად იშოვის კარგს წნილსა. იმავე ოთახში იყო ერბო ან ყველი გამოგზავნილი ბარონ ნიკოლაის მამულიდან. ჩვენი ოსური ყველი კი და ერბო არ იყო. აქვე უნდა ყოფილიყო მაწონი, რძე და მათი სახმარებელი ჭურჭლები, რომ ენახათ, როგორ რძიდგან ან მაწვნიდან აკეთებენ ერბოს, ან ყველს და ან რა ჭურჭელია ამისთვის საჭირო. კავკასიაში ბევრნაირი ჭურჭელი

იხმარება ერბოს და ყველის გაკეთებისათვის; იმათი ნახვა ბევრისათვის საოცრებად იქმნებოდა. აქ უნდა გვსთქვათ რომ დიდი საქმეა ცოდნა, რა ნივთი, რა ადგილას უნდა გამოეყოს; ბევრი ნივთი თავის ადგილს არა იდო. მაგ. რუსული სადღობელი გამომდგარი იყო მესამე ოთახში, სადაც აბრეშუმეულება და მინდვრის და ბალის მოსავალი იყო; ამისი ადგილი ერბოსთან იყო, რასაკვირველია აქ მნახველი ყურადღებას მიაქცევდა მაშინ, როდესაც სხვა ადგილსკი შეუნიშნავად დარჩებოდა. ეგრეთვე ვნახეთ დაწყობილი ერთად ყველი, წინდები, საპონი, რომელთა შორის ძრიელ დიდი განსხვავება არის. ამ ოთახიდამ გამობრძანდებით მუჯარზედ, სადაც არის გუთანი კოლონისტის გაკეთებული, სპირტის გამოსახდელი ჯ მოდელი ქარის წისქვილისა; ეს ნაწილი ყველაზედ ძრიელ ლარიბია. აქ უნდა ყოფილიყო ათი მიწის იარაღი, რომელსაც ხმარობენ ევროპაში. ყოველი მამულის გონიერი პატრონი ეხლა ხედავს, რომ ეს ჩვენი მამა-პაპური მიწის დამამუშავებელის იარაღით მოსავლის მოყვანა მეტად უსარგებლოა დიდის ხარჯისა გამო, რომელიც მიუცილებელია ჩვენებურ იარაღების ხმარებაში. აქ რომ ყოფილიყო ზოგიერთი ევროპიული ათის თვისის მიწის სამუშავო იარაღები, რომელთაც მოაქვთ ცოტა ხარჯი და დიდი სარგებლობა არ იქნებოდა ურიგო ჩვენ მებატონეთათვის და მამულების პატრონებისათვის: აქ ყველა თავის თვალით ნახავდა იმათ სიგეთესა, ასწონდა, დასწონდა და იქნება გაებედნა კიდეც დაბარება. ჩვენს ქართველს კაცს უნდა უთუოდ თვალით დაანახვო, თორემ ისე ძნელად თუ რასმეს დაიჯერებს; იგი გადაეჩვევა სიტყვაზედ დარწმუნებას მრავალ გამოცდილებისაგამო. მაგრამ არამც თუ ევროპიული, ჩვენის ქვეყნის მიწის სამუშავო იარაღებიც არ იყო გამოფენაში. ჩვენი ქვეყანა სხვა და სხვა ადგილს სხვა და სხვა ნაირია, როგორც მიწის თვისებითა ისე მდებარობითა. ამ სხვა და სხვაობის მიხედვით იხმარება სხვა და სხვა იარაღიცა. არ იქნებოდა უსარგებლო, რომ მებატონეთა ენახათ ეგენი, იქნება თავის მამულისათვის ზოგიერთს გადუტანა სხვა მებატონის იარაღი, რომე-

ლიც ჭკუაში დაუჯდებოდა და მოემარჯვებოდა. აგრეთვე მიწის მოსავალი, რომ უეზდ და უეზდებად ყოფილიყო გამოფენილი ის უფრო მისცემდა ლონისძიებას, რომ სისწორით წარმოედგინათ, რა რიგი გარჩევა აქვს ერთი მხარის მოსავალს მეორისაგან. თესლეულობა გამოფენილი იყო ფესამე ოთახში, რომელიც ამ ორ ოთახზედ მოშორებული იყო. რაწამს შეხვიდოდით ამ ოთახში კარების პირდაპირ დაინახამდით კედელს, მორთულს მინდვრის მოსავლის ყონებითა და ყვავილებითა. ამ დიდ ზალის სიგძეზედ შუაზედ ეწყო თესლეულება მინდვრისა; აგრეთვე ხეხილის ნაყოფები, რომელთა უკეთესი ეგზემპლიარები გვინახამს ბაზარშიაცა და აქ სრულიად ღირსი არ იყვნენ გამოფენისა. ხორბალი, ახალთესლი, ფეტვი, ღომი, სიმინდი, ჩალთიკი, ბრინჯი და საზოგადოთ უმეტესი ნაწილი თესლეულებისა წარმოდგენილი იყო კოლონისტებისაგან. ამ ნიმუშებზედ რუსულად ეწერა სახელი თესლისა ჯ საიდამ არის წარმოდგენილი. რასაკვირველია, ბევრნი მსურველნი ვერ შეიტყობდენ, რა თესლეული არის, ან საიდამ. ზოგს ბოსტნის მოსავლის ნიმუშებზედ ფრანციზულად ეწერა. როგორ გაუკვირდებოდა ახალ მოსულ უცხო ქვეყნის კაცს რომ ნახამდა, რომ საქართველოში ისე გავრცელებულია ევროპიული ენები დაბალ, თუ მაღალ ხალხში, რომ მებოსტნესთვის გასაგებია ბოტანიკური ტერმინები; ისკი არა თუ უმეტესი ნაწილი თავად-აზნაურობაშიაც მოკლებულია არამც თუ ფრანციზულს, თვითონ რუსულსაცა და (ჩვენში ითქვას) ქართულს კითხვა-წერაზედაცა ხანდისხან უკაცრავოდ არიან. ამ ოთახშივე დგას სიმინდის საცეხველი გაკეთებული ტფილისის ქარხანაში, რომელზედაც რუსულად ეწერა რისათვისაც არის. ეს ჩვენის ხალხისათვის დიდი სასარგებლო ნივთია. ბევრი ვერ მიაქცევდა ამას ყურადღებას; ქართულად რომ ზედ ჭსწერებოდა, იქნება მაშინ კი შეეტყოთ. რომ უფრო გაეგოთ და მოჭსწონებოდათ; ამასთანავე სიმინდის ტარეებიც უნდა ყოფილიყო დაწყობილი და ხანდისხან დაეცხვათ ხოლმე, რომ მნახველებს ენახათ თავის თვალითა მისი სიკეთე. ჩვენ ეს საცეხველი არ გვინახავს მუშაობაში, ამიტომ არ შეგვიძლიან მაზედ

ვსთქვათ რამე. ეგრეთვე კარგი იქნებოდა, რომ ყოფილიყო მოდელები ხორბლის შესანახავისა. ძრიელ ხდება პურიჭორმოში. ჩვენი ბელლის მოდელიც ვერავნახეთ გამოფენაში.

ამ ფალის თავს იყო გამოფენილი მშვენიერი ნიმუშები აბრეშუმისა ნუხიდამ, შამახიდამ, დარუბანდიდამ. კახეთიდან იყო წარმოდგენილი მშვენიერი ნიმუშები თავად ანდრონიკაშვილისა და თავად ჯავჯავაძისა. ამ ნიმუშებთან კარგი იქნებოდა თვით მაშინაც, რაზედაც კეთდება ამისთანა მშვენიერი აბრეშუმი; აქვე უნდა ამოელოთ ჭიის პარკები. აბრეშუმის ახლო იყო მოსხმული შტო ბამბისა. კედლის სიგრძეზედ გამოწყობილი იყო სხვა და სხვა ნივთები ერთათ არეული: ჭურჭლები, საპონი თუ ახალი სანთელი, ნავთისაგან გაკეთებული. ნავთის სანთელი ახლად გამოჩენილი არის და ბევრი ვერ შეიტყობდა, თუ რისაგან არის გაკეთებული, ამის გამო, რომ ზედაც არ იყო დაწერილი თუ რის სანთელია. ამასთანვე აქვე უნდა ყოფილიყო თვით მასალა, რისაგანაც ის კეთდება. მეორე მხარეს იყო გამოფენილი ძლიერ ცოტა ბოთლები სასმელებით, გამოგზავნილი კოლონისტებისაგან, და თანბაქოები. აქვე ვნახეთ საუცხოვო ენდრო და ზეთის სახდელი თესლები ნახჩევნიდამ. ამ ოთახის კარგა ადგილი ეჭირათ ნაქსოვებს: ხალიჩებს, თვრდაგებს, ხურჯინებს, სამოსლებს და სხვათა. მაგრამ საქსოვრები, დასართავები და სახეხები არ იყო წარმოდგენილი, რომელნიც ძრიელ საინტერესო იქნებოდნენ სანახავად. ყურძენი სულ არ იყო. რამდენი მრავალი სხვა და სხვა ყურძენია საქართველოში; არც ღვინის დასაყენებელი ჭურჭელი იყო. დიდი სარგებლობა არის ჩვენში ღვინიდამ, ამიტომ ყოველი მეცადინეობა გამომფენელთა ამაზედ უნდა მიქცეულიყო. აგრეთვე ფუტკრის სკებიც არ იყო: არც ეს იქნებოდა ურიგო, რომ ყოფილიყო.

ერთის სიტყვით ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ შარშანდელი გამოფენა იყო ლარიბი და ნაკლული, რაც რამე იყო ისიც არ იდგა თავის ადგილს; ეგ უწესობა შეადგენს დიდს ნაკლულევანებას ამ ნაირ საქმეში. ჩვენ წინათ ვსთქვით, რომ გამოფენები ძლიერ

სასარგებლო იქნებაო ჩვენის მხარისათვის და აქაურმა სოფლიურ ეკონომიურ საზოგადოებამ ძლიერ კარგი ქმნა, რომ დაარსა აქ გამოფენები; მაგრამ ამასთანავე ჩვენ არ შეგვეძლო, არ გამოგვეთქვა, რომ შარშანდელი გამოფენა შორს იყო იმ გამოფენასზედ, რომელსაც სთხოულობს ეხლანდელი მდგომარეობა ჩვენის სოფლიურ ეკონომიის ნამუშავრობისა და წარმოებისა; ვბედავთ ეგრეთვე თქმას, უკეთესი გამოფენა მოეთხოვებოდა აქაურ ეკონომიურ საზოგადოებას, რომელსაც აქვს საკმაო ღონისძიება ამ ნაირი საქმისათვის. *რასაკვირველია, ჩვენ ყოველს ამ ნაკლულოვანებას ვაბრალებთ არა მარტო გამომფენელებს, არამედ თვით მიწის მომქმედებს და აქაურ ცხოვრებლებს მიწის პატრონებს.* ჯერ-ჯერობით ეს საქმე ისინი კიდევ გულგრილად არიან ამ გვარ საქმეზედ. ეს საკმაოდ ისე, იქნება, მეპატრონეთათვის არა, როგორც იმათთვის, ვისაც გული შეჭსტკივა ჩვენის წარმატებისათვისა.

პირველ განხილვაზედვე კაცს აგვირვებდა ის ფაქტი, რომ უმეტესი ნაწილი წარმოდგენილის ნივთებისა იყო ნემენტების კოლონისტებისა. ქება და დიდება იმათ, მაგრამ ჩვენ კი გული გვტკივა, რომ ისინი შეადგენენ ჩვენის ხალხის უმცირესს ნაწილსა და იმათი ნამოქმედები კი ჩვენს ნამოქმედებაზედ გადამეტებული იყო წარსულს გამოფენაში. საკმაოდ ფაქტია, მაგრამ კი მართალი. რა გვეშველება ჩვენ უბედურებს, როდემდის უნდა პირდაღებული ვიყვნეთ: იქნება თავის თავად ღუკმა პირში ჩაგვიგარდესო. ამ-ჩათავან ჯ ნამეტნავად იმერთაგან თითქმის არათერი არ იყო წარმოგზავნილი. ყველათერში ამისთანა გულის სიგრილე საცოდავობაა! თუ თვითხალხი, რაც უნდა საქმე იყოს, არ შეეწევა მაგ გვარებში საზოგადოებას, მარტო საზოგადოება რასა იქს? მხოლოდ საერთო ცდას მთავრობის ჯ მცხოვრებლებისას შეუძლიან ყოველ დაწესების რიგზედ წაყვანა და ნამეტნავათ ამ გამოფენების დაწესებისა. ღმერთმა ქმნას, რომ ეს ასე მოხდეს და გზა წაემართოს როგორც თვით ეკონომიის საზოგადოებას, ისე ჩვენ მამულის მეპატრონეთა.

თ. ესტ. მალაფაშვილი.

საქართველოს გამიჯნავებისაგან. ერთი დიდი და თვრიად სასარგებლო საქმეთაგანი არის დაწყობა ჩვენის ენეულის გამიჯნავებისა. ჩვენ ამ ჟამად არ გამოუდგებით იმ დებულების და განმანების განხილვას, რომლებიც ამ საგანზედ არის დანიშნული. ჩვენ მარტო იმას ვცდებით, რომ აღვსნაო რამოდენა ძალა და მნიშვნელობა აქვს ამ საჭირო საქმესა. ვინ არ იცის რა საირად არის დასლართული ჩვენი მამულ-დედულების საქმე. მრთელ საქართველოში ოცი მამული არ იპოვება, რომ მოდავე არა ჰყვანდეს, სრულიად უდავო იყოს. ამ დავების და საქმების დასლართვის მიზეზი მრავალია, მაგრამ იმათ შორის უპირატესი ადგილი უჭირავს იმას, რომ თვითეული მამული არ არის თვითეულად გამიჯნული და განსაზღვრული ჩვენ შორის. ეს უმიჯნავოდ მამულების ყოფნა ყველას ჩაიტყუებდა ხოლმე დავაში, თუ ვერა გამოვიტანერავო, ამბობდა ჩვენი ძმა-კაცი, მე ხომ არას წამართმევენო, ცდა ბედის მონახევრეაო. უფრო მაშინ ასტყდა ეს საშინელი ბრძოლა გერბიან ქალაქებისა, როცა ჩვენები მიხვდნენ სასამართლოების ოსტატობასა და ხერხსა; როგორც წვიმის ნიაღვარი ისე მიეშო დავები სასამართლოებში. გაიმსო სასამართლოები დავებითა! და სასამართლონიცა ისე გულ მოდგინედ აწარმოებდნენ საქმესა, რომ ბაბის საქმესა შვილის შვილის დროს გადაჰსწყვეტდა ხოლმე, ისიც თუ ძალიან აჩქარდებოდა მაშინ. ამ დავებმა ისე გაგვაკეთეს, რომ ძმა-ძმის მტერია და ბიძა-შვილი ბიძა-შვილისა და ერთი მშვენიერი სიკეთე შეგვძინეს, რომ სიმართლისადმი ნდობა ალარა გვაქვს და ჩვენს საკუთრებაზედაც არა ვართ დარწმუნებული. იმის გარდა რაც თვული და დრო იკარგებოდა ჩიკილში და დაკიდარაბაში, ვილა ნოსთვლის? თვითონ მამულსაც ის თვსი ალარა ჰქონდა, რის ღირსიც იყო, იმიტომ-რომ ვინც მამულს ყიდულობდა, რაც იმ მამულზედ დავა იყო ისიც უნდა ეყიდნა და ვინ არიცის რა ხარჯი აქვს დავასა ჩვენში? ხანდისხან ზოგიერთს მემამულეთა მამულის კეთებისათვის გული არ შეჰსტკივოდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რო გაუკეთებელ მამულსა უფრო ცოტა მო-

დაკვე ეტანება, გაკეთებულს კი გამოუტყვრებოდა ერთი ღონიერი კინმე ან ფულით ან წოდებით და თითონაც ყმად დაისახლებდა, არამც თუ მამულს გაიტანდა. ამისთანა მდგომაარობაზედ ჩსთქვა ეს გამოჩენილი სიტყვა მსწავლულმა ბერკმა: «ს

ბის პროექტსა წსწერდა და გაეგო იმისი საჭირობა და ხასიათი. რაკი ყველაფერი საჭირო ვითარება შეიტყო, მან დაიბეჭდინა თავისი პროექტი, რომელიც დაურიგა გუბერნატორებსა და მარშალებსა, რომ თუ ვინიცობაა შესანიშნავი წქონდეს რამე, შენიშნოს თვით საზოგადოებამ. ამის შემდეგ 1861-ში 29 თიბათვეს ხელმწიფემ იმპერატორმა ამ პროექტზედ ხელი მოაწერა. 1862 იანვარს ეს პროექტი წარმოებაში შევიდა, რაკი რომ გაიხსნა გამიჯნების (межевая) პალატა. აი რამდენი მე აზრი რუსეთის გაზეთისა ამ პროექტზედ: «გამოცდილებას და თითონ საქმეს შეუძლიან გამოაშკარაოს თუ რამოდენად ღირსეულად აღსრულდება ის, რაც დანიშნულია ამ პროექტში, და შეიძლება თუ არა ის ჩქარი და მოკლე წარმოება, რაც საჭიროდ დაუნახავს ამის დამწერსა, საქმეზედ კარგად მოვიდეს. უეჭველია რომ ეს ჩქარი და შემოკლებული საქმეების წარმოება მთელი მხრისათვის უპირველესი და მიუცილებელი საჭიროება არის, ნამეტნავად მაშინ, როცა ვიცით, რომ კაკვასის იქით ისე დახლართულია საქმეები მამულის თავებზედ. ამისაგამო არ შეიძლება არ მივსცეთ ამ ახლად დაწყობილებას თავისი მხვედრი სიმართლე, აგრეთვე იმისათვისაც რომ საქმის წარმოების ფორმა ისე გაადვილებულია, რამდენათაც შეიძლება ამ გვარ საქმის გაადვილება. ამ წესდებულების ზოგიერთის მუხლებს უფრო იმისთანებს, რომელიც არის წარმოდგენილი სადავოს საქმის დასამტკიცებლად, აქვსთ დიდი მნიშვნელობა არა მარტო კაკვასიისათვის და მხოლოდ გამიჯვნებისათვის, არამედ ყველგანა და ყოველ დროს». ამას ჩვენ მხრივ უნდა დაუმატოთ, რომ ბევრს არ იამათ, რომ მოვიდა დრო, რათა ყოველმა თავის წილი იცოდეს და თავისი სამზღვარი. ამიტომაც არ ეჯავშნიკათ ეს ამბავი და ამტკიცებენ, რომ ეს საქმე უსარგებლოა. მაგრამ რამდენი საწყალი, დაჩაგრული კაცი, რამდენი ქვრივ-ობერი ან ობოლი გაიხარებს, როცა მიეცემა ღონისძიება, რომ უშიშარად ამოჩიჩქნოს თავისი საკუთარი მიწა, ჩაბნიგოს რამდენიმე მარცვალი და უშიშრად ამოკრიფოს თავის ოფლის ნაყოფი, რომლითაც გამოიკვე-

ბება როგორც თითონ ის წვრილ შვილიცა. კაცი უშიშრად რომ გამოდიოდეს თავის სახლიდამ ან შიეცემოდეს თავის მამულის კეთებასა სრულიად დარწმუნებული, რომ იქავ კეტებეით არ დაუხვდებიან ძლიერის ეშები ან არა ჩცემენ, ესეც კაი საქმეა. ამას გარდა რამდენ კაცსა დარჩებათ თავები გაუტეხელი, რომელიც თუ არ გატეხილა, უნდა უთუოდ გატეხილიყო მოდავესაგან ან ხვალ ან ხვალზეკითა რამდენი კამეჩი, ძროხა ეურებ დაუწერელი ან კუდ-მოუკვეთელი საძოვრიდამ დაუბრუნდება პატრონსა, როცა თავის მამულის მიჯნები ეტყვიან, რომ, აძოვე ჩვენა კართ შენი ზურგი. თუ კინმე წამოგედავოს, ჩვენ უშენოთაც ვეტყვით, რომ ჩვენი მფლობელი მარტო შენა ხარ. ამ შვებას უთუოდ იგრძნობენ ისინი, მაგრამ ჩვენ კინ გაგვაგებინებს? ისინი თავის ბნელ ქოხსა ძნელად შორდებიან, ან ჩუმად თავის მარტივ ლოცვაში დალოცავენ ამას, კინც ყველას თავისი გაუსაგუთრა და თავისი მიანიჭა.

—

ჩვენ ამას ვუმატებთ ხიტყვა-ხიტყვით გამიჯნავების შესახებს განცხადებას; გვგონია, რომ შეტი არ იყოს ჩვენ მკითხველთათვის:

«ბლანის დამტკიცებით გამიჯვნის წარმოებაზე **ე. კავკასიის ნამესტნიკის** თანამდებობის აღმასრულებლისაგან აწინდელს წელს გამიჯვნა მოხდება ხუთის შეჯვის კომმისიისაგან შემდეგის წესით: ბირუსლი კომმისია როდესაც შეასრულებს მარშანდელს დარჩომილ საქმეებსა ალარ გავა მტკვარს იქით მცხეთასთან, როგორათაც წინად იყო მოაზრული, არამედ შეკვა ხიდისთავის უჩასტკაში გორის უეზდში; დაიწყობს ძეგვის მამულიდგამ და გამიჯნავს რიგზე ყველა მამულებს, მტკვარსა და საწკეპელის მთებს შორის, რომელ-

ნიც გაჰყოფენ გორისა და ტფილისის უეზდებსა. მეორე კომშისია განაგრძობს გამიჯვნასა ტფილისის უჩასტკაში მანგლისისაკენ. მესამე კომშისია იწყობს მცხეთის გარეშემო ადგილებიდამ და გამიჯნავს ორსავე მხარეებს არაგვისა დუშეთის უჩასტკაში; სამზღვრად მოქმედებისა ექმნება ერთის მხრით ქსანი, მეორეს მხრით მთა, რომელიც ჰყობს დუშეთის უჩასტკასა და თიანეთის ოკრუგსა. მეოთხე კომშისია განაგრძობს სართიჭალის უჩასტკის გამიჯვნასა. მეხუთე კომშისია იწყობს იმ მამულების სამზღვრიდამ, რომლებიც შარშან გამიჯნა მეორე კომშისიამ. ესე იგი, სამზღვრებიდამ: ოქროყანისა, წავკისისა, წყნეთისა და ახალდაბისა, გაჰმიჯნავს ტფილისის უჩასტკის მამულებსა, რომელნიც მდებარებენ მარჯვნივ მტკვრისა და აჰყვება კოდის ტბისაკენ.

ზაკავკაზიის მეუფის ბალატა მოიუბანს რა ამ საგანს საზოგადო ცნობაში, ამასთანავე გამოაცხადებს, რომ გიმიჯვნა დაიწყობა აპრილში 60—64 სტატიების ძალით **უმაღლესად** დამტკიცებულთ განმანდებულებათა ზაკავკაზიის მხარის გამიჯვნაზე ყველა პატრონები და უწყებანი ვალდებულ-არიან თჯთონვე ადგენონ თვალყური შემდეგს გამიჯვნის წარმოებასა უეზდში და მიახლოებებს იმათ მამულთან; ეს ამისთჯს, რომ რა კი კომშისია მიუახლოვდება იმათ სამზღვარსა, მზათ იყვნენ არა თუ უჩვენონ ჯეროვანი სამზღვრები მამულებისა, არამედ დაამტკიცონ კიდეცა, ვინიცობაა დავა აღმოსჩნდეს, თავიანთი სამართალი ყოველ-გვარის კანონიერის საბუთებითა.

და ამისთჯს მამულის პატრონები მოვალები არიან: პირველად, კომშისიის მისვლის დროს ან თჯთონ იყვნენ გასამიჯნავ მამულზე, ან გამოგზავნონ საკუთარი პოვერნია; მეორედ, მზათ ჰქონდეთ ყველა ნისყიდობის წერილები და დოკუმენტები, რომლითაც დამტკიცდება საკუთრება მამულისა დაწესებულს სამზღვრებში, თარგმანებითურთ და კოპიებითურთ დოკუმენტებისა და თარგმანებისა და ჩაბარონ იმათ, ვისაც მინდობილი აქვს მიჯნების ჩვენება; მესამედ, უნდა მიჯნაზე გამოსცხადებოდნენ უწყებაში დანიშნულს

ვადაზე, ანუ ზემლემერების მისჴლის იმათ მამულში გამოსცხადებლად და დასაცჴლად თავიანთ კუთჴნილობისა.

თე კომმისიის მისჴლის დროს მიჯნაზე არ დაესწროებიან არც თჳთონ მამულის პატრონი, არც იმისი წარმომადგინებელი ანუ პოვერნია, სამზღჴრების საჩჴენებლად, მაშინ სამზღჴრებს უჩჴენებენ მოურავები, მოხელეები და გლეხებისაგან ამორჩეული კაცები, და თუ ესენიც არ გამოცხადდებიან, მიშინ სამზღჴრები უნდა უჩჴენონ მამულის პატრონების მომიჯნავეებმა.

თუ სამზღჴრების მაჩჴენებელს, დავის აღმოჩენის დროს მზად არ ექნება ყველა დოკუმენტები და სხჴა საბუთები, მაშინ დავა გადასწყდება მხოლოდ იმ საბუთების ძალით, რომელნიც იმ დროს ექნებათ მოდავე პირთა.

თუ ვინმე შემდეგ წწეების მიღებისა, ანუ შემდეგ მეჟეის კომმისიის მჴსჴლისა იმის მამულის სამზღჴრებზე, არ გამოაცხადებს რომ ის მამული იმას ეკუთჴნის, მაშინ იმას აღარ აქჴს ნება ითხოვოს შენდგომაში არც მამულის ხელახლა გამიჯჴნა და არც დაბრუნება, თუ ის მამული გამიჯჴნაში დარჩა სხჴასა. რომელმაც თავის დროზე გამოაცხადა თჳსი პატრონობა ამ მამულზე,

რწმუნების წერილები, მიცემულნი მამულის-პატრონებთაგან შესახებ გამიჯჴნის საქმეთა, უნდა დაიწერებოდნენ შემდეგის ფორმითა,

186 წელსა დღესა, მე ქჴ�მორე კელის-მომწერელი ვაძლევ უფლებასა ამ-ა-ს (წოდება, სახელი ს გჴარი), რომ ჩემ-მაგიერ დაესწრას გამიჯჴნის დროს ჩემდა კუთჴნილთ მიწებთა, მდებარეთა, ამ-და-ამ უეზდ-ში (წოდემა უეზდისა) ამ-და-ამ სოფელ-თან (წოდება სოფლისა); ამასთანავე მიგსცემ ნებასა, რომ უჩჴენებდეს მამულების სამზღჴრებსა, გამოაცხადებდეს დავასა, შეიტანდეს არზებსა, საჩივრებსა და აპელლაციებსა, მოისმენდეს განაჩენებსა, აგრეთჴ მოახდენდეს 'დაზავებით მორიგებასა და საერთო მამულების გაყოფასა, შეურიგდებოდეს, ამო-

ირჩევდეს შუა-კაცთა და შუა-კაცთ ალმორჩევის წერილებს ანუ ზა-ფისებს და სხუათა აკტებთა მოაწერდეს ხელსა».

კელის-მოწერა მრწმუნებელისა:

კელის-მოწერა მოწმებისა (1 (2

«ქორწინება ახლოანათესავთა შორის» ძველთაგანვე თითქმის ყოველ განათლებულ ხალხთა სარწმუნოების თუ სამოქალაქო კანონებიუკრძალავდნენ ახლო ნათესავთა თვის შორის დაქორწინებასა. უეჭველია რჯულის-მდებელთა ჴქონიათ ზნეობითი საბუთები, რომ ამისთანა ასაკრძალვი კანონები დაუდვიათ: მაგრამ მეცნიერება კი ამტკიცებს ამ გვარ ცოლქრმობისაგან წარმოსდგებიან ძალიან მავნებელი შედეგნი აგებულებისათვისაც. დიდი ხანია შენიშნულია დამღუპავი კრეტენიზმი (ესე იგი ტანის მახინჯობა და გონების სისუსტე) ისპანიის გრანდებ შორის, (თავადებში) რომელნიც მრავალ საუკუნოების განვავლობაში ჯვარს იწერდნენ ხოლმე მარტო თავის ნათესავებზედა ს სხვა წოდების ხალხს კი არც მიათხოვებდნენ ქალს და არც ითხოვდნენ იმათგან. რადგანაც მეტათა სურდათ, რომ თავისი დიდი მამულები გვარშივე დარჩომილიყო და უწინდელს სასტიკს წესსა, რომელიც მერე ჩვეულებათაც შეკვიდა, ჴქონოდა თავის ძალა; იმიტომაც გრანდების ოჯახები ერიდებოდნენ სხვა წოდების კაცთან დამოყვრებასა. ეგეკვე მიზეზები,—უფრო რასაკვირველია მამულისა გვარში დარჩომა—მოქმედობენ ახლაც ფრანციაში, რომ თითქმის შეუძლებელს ბურჟუაზის (დაბალი მოქალაქე) წოდების ხალხსაც ჩვეულებათა აქვს ქორწინება ნათესავებ შორის. ამ გვარ ქორწინებისაგან შთამამავლობას ზედაჴყვება ხოლმე განსაკუთრებითი აგებულების და გონებითი ნაკლულოვანება; უფრო ხშირად კი ყრუნი და მუნჯნი იბა-

დებიან. დოკტორ ბოდენმა (Baudin), რომელმაც ბევრი წელიწადი შეჭსწირა ამის გამოძიებასა, დაგვანახვა თავის გამოკვლევითა ამ გვარ ქორწინების სამწუხარო შედეგი. ფრანციაში, ამბობს მსწავლული დოკტორი, ქორწილები ნათესავობაში შეადგენენ ასსზედ ორს ყოველ სხვა ქორწილებთა რიცხვშია. რომ შევადარეთ რიცხვი ერუ-მუნჯებისა დაბადებიდგანვე, რომელიც წარმოდგება ახლონათესავების შეუღლებისაგან მთელს ერუ—მუნჯების რიცხვთან გამოვა ასსზედ ოცდახუთი (100-ზედ 25%) ლიონში, ოცდარვა—პარიჟში (28%) ოცდათი (30%) ბორდოში. ეს რიცხვი მატულობს იმოდენად, რამოდენათაც უფრო ახლო ნათესავები არიან შეუღლებულნი. როცა მაგალ. ერთს ერუ-მუნჯზედ დაბადებითვე მოდიოდეს ერთი ერუ-მუნჯი, რომელიც ახლონათესავობისაგამო იბადება, მაშინ თუ ეგ ახლო ნათესავები ბიძა-შვილები არიან, ერთზედ თვრამეტი მოვა, თუ ბიძა და ძმის წული ოცდაშვიდმეტი და თუ მამიდა და ძმის წული სამოცდაათი. ყახ ბოდენი ამტკიცებს, რომ შვილებსა, ერუ-მუნჯებ დედ-მამისაგან დაბადებულებს სულაც არ გადაედებათ ხოლმე ერუ-მუნჯობა; აქედამ თამამად შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეგ სენი შვილებზედ არ გადადის. სხვა სენებიც, რომელნიც მაგ გვარ შეუღლებისაგამო გამოჩნდებიან, არიან: ალბინიზმი (1), ჭკვიდამ შეშლა და სალოსობა. სტატისტიკა (რიცხვითი აღწერა) ამ სენების ასრე კარგად არ არიან დამუშავებულნი, როგორც ერუ-მუნჯების სტატისტიკა ბოდენისა.

——

«წინადადება იარმოსლავის თავად-აზნაურთა ოთხ საგანზედა.» იარმოსლავის თავად-აზნაურებისაგან ამორჩეულმა კომმისიამ დასკვნა იმისათანა წინადადება იმ ოთხს საგანზედ, რომელიც მოეკითხა მთავრობისაგან. პირველი საგანი შეეხებოდა კენჭით ალმორჩეულ სამსახურის დებულებასა; ეს რომ გადაიხილა, კომმისია ამ აზრზედ დადგა: ალმორჩევა შეუძლიან ყველას, ვინც კი მამულის პატრონია, ბევრისა თუ ცოტასი—ეგ სულ ერთია. იმ გლეხებსაც, რომელთაც

(1) ერთგვარი სიმახინჯეა, თმისა ლ კანის გადამეტებული სითეთრე ლ ამასთან თვალების ბუნებითი სიწითლე.

მამულის საკუთრება არა აქვსთ და სამუდამო ხმარების სამართალი კი მიუძღვის—იმ გლეხებსაც ამორჩევის ხმა უნდა ჰქონდეს, თვითეულად კი არა, მთელს ერთს სოფლის საზოგადოებას მარტო ერთი ხმა, როგორც ერთს მამულის პატრონთაგანსა. კომმისსიამ ამასთანავე გამოცხადა, რომ ყოველ წოდებას (сословіе) თანასწორი რიცხვი ამომრჩევლებისა უნდა ჰყვანდეს. ამორჩევის ხმის გადაცემა იმისაგან ვინც კენჭის ყრას მოაკლდება, არ შეიძლება. ყოველი, რომელიც აღმოირჩევა და პატივცემული იქნება საზოგადოების ნდობითა, თანამდებობის ასრულებაში შეუძლიან შევიდეს, ან იკისრას ის ვალდებულობა, რომელიც დამოკიდებულია აღმორჩევაზედ. აღმორჩეულნი პირნი თანამდებობაზედ დამტკიცდებიან იმის მიხედვით თუ ამორჩევა წესიერად მოხდენილა, მას შემდეგ ყოველ თავის მოქმედებაში მარტო კანონის და აღმომრჩევ საზოგადოების წინაშე პასუხის მგებელნი არიან. უფლების კრება ამომრჩეველთა შეიძლება მოხდეს არავის დაუკითხავად თვით უფლის წარმომადგენელის ნება-ყოფლობითა. მეორე საგანზედ, რომელიც შეეხება გუბერნიაზედ ხარჯის გაწერასა, კომმისია თქვრობს, რომ: რას უნდა დაედოს ხარჯი, რამდენი უნდა დაედოს და თვით ხარჯის გაწერა—ეს უნდა ეკითხოს მარტო ხალხისაგან ამორჩეულებსა ასე, რომ ამაში მთავრობა სრულიად არ უნდა გაერიოს. მესამე საგანზედ, რომელიც შეეხება ადგილობრივ კრედიტსა (поземельный кредитъ), კომმისსიამ გამოაცხადა, რომ. თუმცა დაწესება კერძოობითის ადგილობრივის ბანკისა ფრიად აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, მაგრამ ჯერ ხანად ვერათვერს ლონის-ძიებას ვერა პოულობს იმათ დასარსებისათვის, რადგანაც სულ არარის საზოგადოებრივი ნდობა, იმისაგამო რომ საკუთრების უფლება საკმაოდ არ არის დაცული. მეოთხე საგანზედ, რომელიც შეეხება მუშის ფასის გადაკვეთასა, კომმისია ამბობს: 1) რომ ერთ გვარი დებულება მუშა-კაცის დაჭერისათვის მთელ გუბერნიისათვის შეუძლებელია მისაღებად; 2) რომ ეგ დებულება უნდა შესდგეს არა მარტო თავად-აზნაურებისაგან, არამედ იმ კომმისსიისაგან, რომელშიაც უნდა იყვნენ გარეულნი თა-

ვად-აზნაურნიც და გლეხნიცა (თითო წოდებიდამ ორორი). 19 დეკემბერს იაროსლავის თავად-აზნაურთა კრებამა ერთისხმით გადაწყვიტა, რომ მთავრობასა ჰსთხოვოს ამ წინადადებების ასრულებაში მოყვანა.

გასამართლების რეფორმისა გამო (ცვლილება). რუსეთში ეხლა დიდი ამბებია გასამართლების (судопроизводство) რეფორმისათვის. ამ საგანზედ ყველგან: მართებლობაში, საზოგადოებაში, თუ ლიტერატურაში დიდი პროექტები და ლაპარაკია. მთავრობამ შეადგინა, ან უკეთა ვჰსთქვათ ის ქვა-კუთხედი დამკვიდრა, რომელზედაც უნდა დამყარდეს ეს რეფორმა; ამისათვის შეადგინა სახელმძღვანელოდ წერილი, რომელსაცა ჰქვიან: Основныя положенія преобразованія судебной части въ Россіи (საბუთები ლო დებულებანი საბჭოსა ნაწილის ცვლილებისათვის რუსეთშია). მაგრამ საკვირველი ეს არის, რომ ამ დებულებაში ახსნილი არ არის, რომელს ენაზედ უნდა იყოს სამართლის გაჯრა, ანუ გასამართლება იმ ადგილებში, სადაც ხალხის მომეტებულ ნაწილს რუსული ენის ცოდნა არა აქვს ⁄ სრულიათაც არ ესმის ეს ენა. რუსული ლიტერატურაც ამ საგანზედ გაჩუმებულია, არავის ხმა არ ამოულია, საგანი კი ისეთი დიდის მნიშვნელობისაა, რომ არამცთუ მარტო ხსენებისა, არამედ დიდის ყურადღებით გაშინჯვისაც ღირსი იყო. მარტო ერთმა გაზეთმა თებერვალში შენიშნა ეს ნაკლულოვანება და იმის გამო წარმოჰსთქვა ზოგიერთი აზრი, რომლისაც აქ მოყვანა ურიგო არ იქნება ჩვენთვისაც.

პირველად ის გაზეთი იმ აზრისაა, რომა იმ ადგილებში, სადა რუსული ენა ხალხს არ ესმის,—იქ მიუცილებლად საჭიროა, რომ ხალხის ენა იყოს მიღებული გასამართლებაში, მაგალითად მოჰყავს ბესარაბია. აი რას ამბობს ბესარაბიაზედ ეს გაზეთი:

«უფრო მომეტებული ნაწილი ბესარაბიის მცხოვრებლებისა თითქმის ორი მესამედი ხალხისა (6,000—მდე) არიან **მოლდავა-**

ნები, რომელნიც თავიანთ სამშობლო მოლდაურ ენაზედ ლაპარაკობენ და რომელთაც რუსული სულაც არ იციან, ძალიან ცოტა აზნაურებისა, ჩინოვნიკებისა და მოქალაქებ გარდა. დანარჩენი მესამედიამ—რომელშიაც ურევიან სხვა და სხვა ტომისანი; ბოშები (11500—მდე), ბალქარები (48215—მდე), ურიები (78000—მდე) სომხები (2725—მდე) და ბერძნები (2000—მდე).—ამათგან ერთმა ნახევარმა იცის თავის სამშობლო ენის გარეითად, კიდევ მოლდაურიცა. იქნება აქედამ გამორიცხულნი იყვნენ მოქალაქე-ურიები, სომხები ⸗ ბერძნები, რომელნიც ვაინაჩრობით რუსულსაც ლაპარაკობენ. რაც შეეხება მეორე ნახევარსა, რომელშიაც ურევიან შვეიცარელები, ნემენცები, რუსინები, რომელნიც შეადგენენ სრულიად განსაკუთრებულს, კოლონიურს (колониальное) მართებლობასა, ლაპარაკობენ მხოლოდ თავის სამშობლო ენაზე ⸗ ამას გარდა არა რომელსამე სხვის ენას არ ხმარობენ; სხვა და სხვა დრას შერიცხულნი ქალაქებში და სოფლებში მოსულნი სხვა და სხვა ადგილებითგან: ველიკორუსიანები' მალო რუსიანები და პოლშელები, შეარდგენენ თვით უმცირედს ნაწილსა მთელ ამ ქვეყნის ხალხისას (0,027 ნაკლებს); ბევრმა მათგანმა მოლდაური ენა ცოტა თუ ბევრად იცის; რუსინები კი, რომელნიც სცხოვრებენ ბესარაბიის ზემო მხარესა, თითქმის საკუთრად ხოტინის უეზდში, იმის დაგვარად რამდენადაც დაშორებულნი არიან ავსტრიის სამზღვრებსა უფრო და უფრო შერეულნი არიან მალდავანებთა შორის ⸗ თავის ენის გარდა, მხოლოდ მოლდაურად ლაპარაკობენ.

«ამ გვარად თითქმის $^5/_6$ ბესარაბიაში მცხოვრებელთა სრულიად არ იციან რუსული ენა და ლაპარაკობენ მოლდაურად და ამისათვის ახალი გასამართლების წესი თავისი თვისებით შეიძლება შეკიდეს ხმარებაში ბესარაბიაში მხოლოდ ადგილობრივ მოლდაურ ენაზე ⸗ არა სხვაზე.

«დასასრულ, გასამართლება მოლდაურს ენაზე სრულიად ახალი ამბავი არ არის ბესარაბიაში რუსეთის მფლობელობის შემდგომცა. 1828 წლამდინ ადმინისტრაციაში და სასამართლოებში იხმარებოდა მოლდაური ენა და მხოლოდ 1828 წელიწადში, ბესა

სარაბიაში საზოგადო მმართებლობის შემოსვლის დროს, იყო შემოტანილი გასამართლებაცა რუსულს ენაზე და ამ წესდებულების და ადგილობრივი ცხოვრების გვარის უთანხმობისაგამო, ამასთანავე მოწერილობა იყო, რომ გადმოეთარგმნათ, თუ საჭიროება მოითხოვდა, ზოგიერთი ქალაქდი მოლდაურს ენაზე; მაგრამ განუსაზღვრებლად და ერეთ წარმოთქმული ეს წესი სრულიად უსარგებლოდ დარჩა. ოცდახუთმეტი წელიწადია რაც რუსულ ენაზედ ჭსწარმოებს საქმეები ბესარაბიაში. ამ შემთხვევის მადლობელნი არიან ბესარაბიელნი, რომ მთელი იმათი საქმეები ასეთის აურაცხებელ რიცხვისა, ასეთი გახრალთულ - გამოხლართულია, რომ თვით რუსულ ლიტერატურამაც ეურადღება მიაქცია. ამ გამოცდილების შემდეგ, რომელმაც აჩვენა—რომ მარტო წერილობით გასამართლების წესიერობაშიაც არ გამოდგა რუსული ენა, რაღა უნდა ვიფიქროთ მაშინ, როცა სამსაჯულო ნაწილის ცვლილება შევა ბესარაბიაში ? მაშინ ხომ რუსული ენა სრულიად არ შეიძლება, რომ აქ დარჩეს. უმთავრესი საბუთი, რომელიც შეიძლება ამის წინააღმდეგ მოიყვანონ შემდგომი უნდა იყოს: 1) რომა მოლდაურის ენის მცოდნენი ჯ ამასთან იურიდიკულის სწავლის მქონენელნი რიცხვით საკმაო არარიან; 2) რომა, ამ შემთხვევაში ბესარაბიისათვის ცალკე სასამართლო ბალატა მოითხოვება და 3) რომა ბესარიაბაში მცხოვრებთა მესამედი სხვა და სხვა ხალხისაგან არის შემდგარი.

«ამა სტუვის ბასუხად მიუგებთ: პირველზე: ყოველ წელიწადს, მეტადრე ამოუკანასკნელ დროში იურიდიკული თვკულტეტებითგან გამოდიან საკმაოდ სამეოთი რიცხვი ბესარაბიელები, რომელთაგანცა მრავალნი სწავლობდნენ ადგილობრივს გიმნაზიებში მოლდაურულს ენასა; მაგრამ მაინც კი ჭსჯობს, რომა ამათგანნი უკეთესნი გაიგზავნოს სამზღვარ გარედაც, რომ უფრო უკეთ მოემზადონ ბესარაბიის სასამართლოებში თანამდებობისა ადსრულებისათვის. ახლაც ადგილობრივს ბესარაბიის სასამართლოებში არიან პირნი, რომელთაც იურიდიკული სწავლა მიუღიათ; ჩვენ, იმითი ის ისკი არ გვინდა მსთქვათ, რომა მსაჯულები ბესარაბიაში, სამართლის ცვლი-

ლების დრო, დაინიშნონ იქაური მსაჯულებთაგანნი; არა, სასურველია, რომ ზოგიერთი მათგანი ალარ გაერიოს დასანიშნავ რიცხვშია. თორემა ახალ სიმლერას ისევ ძველს ჭანგზედ იმღერებენ; მაინც და მაინც არა მგონია იქაურ ენის კარგი მცოდნე მსაჯულების ბოვნა სხვა გუბერნიებზე ბესსარაბისათვის უფრო ძნელი იყოს. დასასრულ, საჭირო არის ის ბირნი თანამდებობაზე დანიშვნის დრო ბესსარაბიაში მოლდაურის ენის ცოდნაში შემოწმდნენ, რომლისათვისაც ან აზიის დეპარტამენტში, ან ნოვოროსსიის უნივერსიტეტში, ან კიშინევის გიმნაზიაში დაწესებული |გამოცდა უნდა იყოს. მეორეზე: ბესსარაბიაში გასამართლების ადგილობრივს ენაზე შემოტანაში მართლაც არ შეიძლება ადგილობრივი ოკრუგის სასამართლები რუსულ სასამართლო ბალატის ხელქვეითნი შეიქმნენ; მაგრამ, რადგანაც ბესსარაბიაში რაც უნდა იყვეს, სამი ოკრუგის სასამართლოზე ნაკლები არ იქმნება, მე მგონია, ამ ქვეყნისათვის განსაკუთრებული სასამართლო ბალატის დაწესებასა შეიძლება აკცდეთ და თუ გინდ ბირველ ხანებშია საქმის გამოსაცდელად შეიძლება შემდგომი წესი დადგინებული იყოს: საქმეები ერთის ოკრუგის სასამართლოდგან გადიტანებოდეს აპელიციისათვის, მეორეში; და თუ გასასცია მოხდა (кассаціонный судъ) სენატის გარდაწყვეტილებით— მესამეში, საჭირო არის მხოლოდ ნამდვილი შენიშვნა კანონში ამ ერთი-ერმანერთის წედმიყოლებისა. თუ ამის წინააღმდეგად შეიძლება რომ მოიყვანონ სხვა და სხვა საზოგადო საბუთი, მაგალითებრ, რომა უმაღლესი ინსტანცია, როგორათაც შერდგენილი საუკეთესო იურისტებისაგანა, უნდა წარმოადგენდეს უმეტესს იმედსა საქმის სამართლით გადაწყვეტისას; რომ ის უნდა იყვეს შერდგენილი მრავალი რიცხვი მსაჯულებისაგანა ⁄ სხვანნი, მაინც რაც უნდა იყვეს საჭიროა, რომ გვქონდეს ყურადღებაში ადგილობრივი ჩვეულება, მით უმეტესად, რომა ბესსარაბიის ოკრუგის სასამართლოებში თუ სიფრთხილით ამოირჩევენ მსაჯულებსა, შეიძლება იყოლიონ კარგი იურისტები. მესამეზე, რაც შეეხება იმასა, რომა მესამედი ნაწილი ბესსარაბიისა არის შერდგენილი სხვა და სხვა გვარი ხალხისაგანა, ა-

მაზე ჩემგან მოყვანილი სიბუთებიდგან სჩანს, რამდენ ხარისხამდინ არის მათში გავრცელებული მოლდაური ენა; ამასთანავე,—იმას გარდა, რომა განსამართლების წესით, როდესაც საჭირო არის, უნდა იყოს დაწესებული, მაგალითებრ: ჩვენების ჩამოართმევა სამშობლო ენაზე, რომელიც ყველგან მიღებულია,—საჭირო არის მიეცეს ნება სისხლის დამნაშავეთა განსამართლებაში, რომ ნახევარი რიცხვი დანაშაულობის გადამწყვეტოა იყოს შერდგენილი სამართალში მიცემულ კაცის თანა-მეთემეთაგან, თუ თითონ ამას მოითხოვს.

——

მიმინო. ფრანციზული ჟურნალი Memorial d' Amiens ერთს სოტარს შემთხვევას მოგვითხრობს: «ფრანციის ჩრდილოეთის მხარეს, ქ-ს ჟ-ის პირში გრავეშა დე-ლამეს წარსულის წლის დეკემბერში ესროლა თოფი მიმინოს გუნდსა; ერთი მიმინო ჩამოაგდო. იმ მიმინოს ყელზედ გამოჩნდა ერთი ოქროთ-დაფერილი ვერცხლის მედალიონი, ძალიან გალესილი. და შიგ იყო ქონით გაჟღენთილი პატარა ბარათი ამ ზედწარწერითა: «მე მქვიან ვაგრამი, ამიტომ-რომ ექვს მგაპითვეს 1809-ში დავიბადე; მე დამწყვდეული ვიუ`ვი გალიაში სამი წელიწადი, 1812-ში კი ჩემს ნებაზედ გამომიშვეს. «დუე».

——

კორ'ლი, უფროსი რედაქტორი ჟურნალისა. ახალ-ზელანდიის (ავსტრალიაში) იქაურების ერთის თავების კორროლმა დაუფუძნა საკორროლო გაზეთი, რომლის უპირატესი რედაქტორი თვით იქნება. ის გაზეთი გამოიცემა გარნოგაიში (1) პოტატაკ II (იმ კორროლის სახელია) ფიქრობს, რომ წერილობას მართებლობის საქმეებზედა ძალიან ძლიერი ზედ-მოქმედება აქვს. აი იმის საკუთარი სიტყვები ინგლიურ ენაზედ ნათარგმნი გაზეთის პირველ სტატიაში: ჩვენს ჟურნალსა, ამბობს მწერალი-კორროლი, ექნება ფიქრად ჩვენი გეთილნი განზრახვანი ჩვენს ხალხს გამოუცხადოს.

——

ს ა ბ რ ა ლ ო ნ ი

(Les Misérables.)

(ვიქტორ ჰუგოს რომანი)

ავტორის წინასიტყვაობა

ვიდრე ზნეობის დ კანონის ძალით არსებობს საზოგადოებრივი შეჩვენება, რომელიც ძალად მთელ ცივილიზაციის (1) ალეკვების შუა, ჰქმნის ჯოჯოხეთსა დ ადამიანის ნებაყოფლობით უფრო ამძიმებს კაცობრიობის სვესა; ვიდრე სამი გადასაწყვეტი ჭირი ჩვენის საუკუნისა—პროლეტარიობით (2) დამცირება კაცისა, შიმშილისაგან დედა-კაცის ნამუსის დაცემა, დ დაღუპვა პატარა ყმაწვილებისა უმეცრების სიბნელითა—ვიდრე არ გადაწყდება; ვიდრე ზოგიერთს სოფრაში კიდევ შესაძლო იქნება საზოგადო აზრით სულის დაკუთვა, ეს იგი, უფროვრცლათ რო გავსინჯოთ, ვიდრე დედა-მიწაზედ იქმნება უმეცრება დ სიღარიბე, წიგნები ამ გვარნი, რომელიც მე დამიწერია, არ იქნებიან გამოუსადეგნი.

პირველი ნაწილი

ფანტინა.

I.

მირელი

1815 წელსა ქალაქ დ-ს ეპისკოპოსად იყო სამოცდა ხუთმეტი წლის მოხუცი შარლ-ფრანსუა ბენვენიო მირელი. ეპისკოპოსობა ამას უეცრად დ მოულოდინებლად მიელო 1806-ში, ამ შემთხვევით.

---

(1) ცივილიზაცია—მოქალაქობა, განვითარება საზოგადოებისა.

(2) პროლეტარიატი—სიღარიბე, სისაწყლე; ყოველ ღონის-ძიების დ ცხოვრების სახსარს მოკლებული ხალხის ნაწილი.

მირველ ნაპოლეონის დაგვირგვინების წინად, მირელი, რომელიც იმ დროს მღვდლად იყო ქალაქ ბ-ში, ჩამოსულ იყო პარიჟში, სადაც ბევრი გამოჩენილი კაცები უნდა ენახა რაღაცა მცირე, ცუდუბრლო თავის მრევლის საქმის თათბაზედ. თურმე ერთხელ მირელი შემწეობის სათხოვრად მივიდა კარდინალ ფეშუსთან ⸗ იცდიდა წინაოთახში, მანამდის კარდინალს მოახსენებდნენ. იმ დროს იმპერატორიც მოსულიყო ციხე-დარბაზში თავის ბიძის სანახავად, ⸗ რაკი ოთახში შევიდა შემოეყარა მირელი, რომელმაც იმპერატორს ძალიან ღრმად უურება დაუწყო. ნაპოლეონი მიუბრუნდა თავის კარის კაცებს ⸗ ჰკითხა:

—ეს სულელი ვინ არის?

—ხელმწიფეო, მირელმა უპასუხა:—თქვენ ხედავთ თქვენ წინაშე სულელსაო ⸗ მე შევცქერი დიდებულ კაცსაო,—ამითი ჩვენ ორთავე შეგვიძლიან ერთმანეთისაგან რამე ვისარგებლოთო.

იმპერატორმა, იმავ საღამოსვე გამოჰკითხა კარდინალს მღვდლის სახელი, გვარი, ⸗ რამდენიმე დღის შემდეგ მირელი დანიშნეს ეპისკოპოსად დ-ში.

მივიდა თუ არა იქ, საცა განწესებული იყო, მირელი ჩამოხდა ⸗ დაბინავდა საეპისკოპოსო სასახლეში იმ ღირსებით ⸗ პატივით, როგორათაც იმპერატორის დეკრეტით (1) ეკუთვნოდათ იმ დროს ეპისკოპოსებს.

იმ ქალაქის მერმა (2) ⸗ პრეზიდენტმა (3) პატივი სცეს ⸗ მივიდნენ სანახავად. თავის მხრით მირელიც სამხედრო ღუბერნატორისა და პრეფექტისა (4) სანახავად მივიდა.

---

(1) დეკრეტი აქ უმაღლესს ბძანებას ნიშნავს.

(2) მერი—თავი მოქალაქეთა, ქალაქის უფროსი, ქალაქის მსაჯული.

(3) პრეზიდენტი—უფროსი, რომელიმე სასამართლოსი.

(4) პრეფექტი ღუბერნატორია ფრანციის, რომელიმე დეპარტამენტისა (მაზრისა).

საეპისკოპოსო სასახლე, რომელშიაც ეპისკოპოსი იდგა, იყო დიდი ⁄ მშვენიერი, აშენებული ფლორენციულად, დიდრონი ოთახებითა, თალიან სანიშნებითა; თავის სასიამოვნო ბაღჩით ⁄ ყოველივე რიგოსნობით მოწყობილი. ამ სასახლის რიგობაზე იყო ლაზარეთი, ვიწრო ⁄ დაბალი ერთ პირი სახლი, წინ პატარა ბაღჩით.

მესამე დღეს იმ ქალაქში მისვლის უკან, ეპისკოპოსმა გაშინჯა ლაზარეთი ⁄ მერე თავის სახლში მოიპატიჟა ლაზარეთის დირეკტორი.

—უფალო დირეკტორო, მირეკმა ჰკითხა:—რამდენი აკათ-მყოფები გყავთ?

—ოცდა ექვსი, მოწსინიორო, (1).

—ჩემის ანგარიშითაც მაგდენი უნდა იყოს, ეპისკოპოსმა უთხრა.

—ლოგინები ძალიან ახლო-ახლოა დაგებული ⁄ ვიწროობაა, მოახსენა დირეკტორმა.

—ეგ მეც შევამცნიე.

—ძალიან პატარა ოთახებია, ასე-რომ ჰაერს ვერ უმუშავნია.

—მეც ეგრე მგონია.

—ამისა გარდა, ბაღჩაც ძალიან პატარაა აკათმყოფებისათვის სასეირნოდ.

—ეგეც შემიტყვია.

ეს ლაპარაკი ჰქონდათ სასადილო ოთახში.

ეპისკოპოსი პატარა ხან დაჩუმდა ⁄ მერე ჰკითხა დირეკტორს:

—ამ ოთახში თქვენის თვიქრით რამდენი ლოგინი დაიგოს?

—მე მგონია, სულ ცოტა, ერთი ოცი მაინც, თითონვე ეპისკოპოსმა ჰსთქვა პასუხად, თითქო თავის თავს ელაპარაკებოდესო, მერე მიუბრუნდა დირეკტორს ⁄ უთხრა:

---

(1) მოწსინიორი ეპისკოპოსის ხარისხია, მალალ-უსამღვდელოებას ნიშნავს

მთარგ.

—უფალო დირექტორო, ამაში შეცდომა უნდა იყოს. აბა რა ჭკუაა? თქვენს ხუთ-ექვს პატარა ოთახში, ოცდა ექვსი კაცი ცხოვრობს, ჩვენ კი სამ სულს სამოცი კაცის ადგილი გვიჭირავს; არა ეს სწორედ შეცდომაა. თქვენ თქვენის ავათ-მყოფებით მოდი გადმოდით ამ სასახლეში ჯ მე იქ გადვიზიდები.

მეორე დღესვე ავათ-მყოფები გადიყვანეს საეპისკოპოსო სასახლეში, მირელი კი გადიზიდა ჯ დაბინავდა ლაზარეთში.

ეპისკოპოსი შემძლებელი კაცი არ იყო; ამის სამოცი წლის გასათხოვარი და იღებდა პენსიას წელიწადში ხუთას თერანგს ( ) ე. ი. თორმეტ თუმან ნახევარს; თითონ მირელს კი ჰქონდა ჯამაგირი წელიწადში ხუთმეტი ათასი თერანგი. ამ თუღიდან თავის საცხოვრებლად ხარჯავდა წელიწადში ათას თერანგს; დანარჩენ თოთხმეტი ათას თერანგს ჯ მთელ საეპისკოპოსო შემოსავალს გლახაკებს ჯ გაჭირებულებს ურიგებდა.

რა დღესაც მირელი გადვიდა ლაზარეთში, იმ დღიდამ თავის ჯამაგირი სამუდამოდ ასე გაჰყო:

ა ი იმის ხელით დაწერილის სიის პირი:

ჩემი სახლის ხარჯის სია.

სემინარიისათვის.	1500 თერანგი.
მისიის საზოგადოებისათვის.	100 —
მონდიდიეთის წმინდა ლაზარის რიგისათვის. . .	100 —
პარიჟის უცხო ქვეყნების მისიისათვის	200 —
სული წმიდის საზოგადოებისათვის. .	500 —
იერუსალიმის საზოგადოებისათვის . . .	100 —
ობლებზე მზრუნველ საზოგადოებისათვის . . .	300 —
არლის ობლებზე მზრუნველ საზოგადოებისათვის. .	500 —
საპყრობილების უკეთეს მდგომარეობაში მოყვანისათვის.	400 —

(1) ფრანკი ხუთი შაურია.

ტუსაღების სანუგეშოდ და განთავისუფლებისათვის . . . . . 500 —
იმ კაცების განთავისუფლებისათვის, რომელნიც ვალების გამო არიან დაჭერილნი ციხეში ს იმათი ცოლ-შვილი კი უპატრონოდ ყრიან. 1000 —
ეპარხიის შკოლების ღარიბ მასწავლებლებისათვის მოსამატი ჯამაგირი. . . . . 2000 —
შიმშილის დროს მოსახმარებელ ალუების ფურის მალაზინისათვის . . . . . 100 —
ბატარა ღარიბ ქალების აღზრდისათვის. . 1500 —
ქალაქ დ-ის საწყლებისათვის . . . . . 6000 —
ჩემი სახლის სახარჯოდ . . . . . 1000 —

სულ შედგება . . . . . 15000 ფრანკ.

რაც ხანი ქალაქ დ-ში იყო, მირელს არა ფერი არ გამოუცვლია ამ სიაში ს ისე ასრულებდა. ამ გვარ თავის ჯამაგირის დაყოფას თავის სახლის ხარჯის ანგარიშს უწოდებდა. მირელის და მამზელ ბეთლისტისა, რომელსაც ძმა ძალიან უყვარდა ს ბატიეს სცემდა, ამ ანგარიშზე თანახმა იყო, მადამ მაგლუარის, მოსამსახურე დედა-კაცის გარდა.

სამმა თვემ არ გაიარა, რაც მირელი ეპისკოპოსად იყო, ერთხელ წამოიძახა:—სწორედ რომ გავშინჯო, მე ძალიან შეიწროებულ მდგომარეობაში ვარო.

—რა საკვირველია იქნებით, მადამ მაგლუარმა წამოიძახა:—თქვენ დეპარტამენტიდამაც არ მოითხოვეთ ის თუალი, რომელიც თქვენთვის დანიშნულია ეკიპაჟისათვის ს ეპარხიაში აქა იქ სამგზავროდ; უწინდელი ეპისკოპოსები მაგ თუალს იღებდნენ მთავრობიდგან.

—ჯო, მართლა თქვენ სწორეთ ამბობთ, ეპისკოპოსმა უთხრა. მირელმა, საცა ეკუთვნოდა, მისცა არზა ს მოითხოვა ის თუ-

ლი. რამდენიმე ხნის უკან საგანგებოდ რჩევამ ჯ. ეპისკოპოსს საეკლესიოდ ს ფოშტით ეპარხიაში სამგზავროდ დაუნიშნა წელიწადში სამი ათასი თომანი.

ეს ამბავი მადამ ძაგლუარმა შეიტყო, ძალიან გაიხარა ს მაშინვე ბაფტისტინას უთხრა:

—მადლობა ღმერთსა! ეპისკოპოსი თავის ჯამაგირს ხომ სულ საწყლებს ურიგებს, ეხლა ამ სამი ათასს თომანს მაინც ჩვენ მოვიხმარებთ.

იმავ საღამოსვე ეპისკოპოსმა დასწერა ს მერე მისცა თავის დას ეს სია:

საეკლესიო ს ეპარხიაში სამგზავრო ფულის ანგარიში.

ლაზარეთის ავათმყოფების საზრდოდ. . .	1500	თომანი.
ქალაქ ე-ის ობლების მზრუნველ საზოგადოებისათვის.	500	—
უკანონო შვილების საპატრონოდ. . . .	500	—
ობლებისათვის	500	—
სულ შეიქმნება, . . .	3000	თომან.

II.

სიტყვის აღსრულება საქმით.

მირელის ქუჩის კარი ყველასთვის მუდამ ღია იყო, მდიდრებისათვის, თუ საწყალებისათვის. ყველანი იმასთან მიდიოდნენ; შემძლებელთ მიჰქონდად ფულები ს აბარებდნენ სამადლო დასარიგებლად, საწყლები კი მიდიოდნენ შეწირულ ფულის მისაღებად; თუმცა ეპისკოპოსის ხელში დიდი ძალი ფული ტრიალებდა ამ გვარად მობარებული დასარიგებლად, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ თავის საჭიროებისათვის ერთი გროში მაინც დაეხარჯა.

მირელი სრულიად თავ გაწირული იყო საწყლებისათვის ს გაჭირებულებისათვის, გეთილის საქმისათვის, რომლის აღსრულება შეეძლო, თუ არ შეეძლო, მაინც თავის თავს არა დრეს აღსასრულებლად არ დაზოგავდა; თუ შემძლებელი ვინმე არ შეეწევოდა ს ურს ეტყოდა ხოლმე, ის არც იწყენდა, არც გულს გაიტეხდა იმით ურზე, მარტო სიტყვით კი ჩაგონებდა კეთილისქმნას ასე, რომ თითონვე შერცხვებოდათ ხოლმე.

ხანდის ხან მირელმა ხუმრობაც იცოდა. იმის ხუმრობაში კაცი მუდამ ჭაზრს იპოვიდა. ერთხელ დიდ მარხვაში ქალაქ დ-ში ერთი ახალ გაზდა მღვდელი ჩამოსულ იყო ს ქადაგებდა სობორში «მოწყალებაზედ», თუ გინდათ სულის ცხონებაო, ჯოჯოხეთიდამ გადარჩენაო ს სასუფეველში შესვლაო, მდიდრებს ურჩევდა, საწყლებს შეეწიენითო. იმის მსმენელ მრევლში იმყოფებოდა ერთი მდიდარი ვაჭარი, სახელად გებორანი, საშინელი ძუნწი, რომელსაც ორ მილიონამდინ ფული ჭონდა შეკრეფილი. იმას თავის გაჩენაში საწყლებისათვის მოწყალება არ მიეცა, არც ერთი გროში. ამ კაცს შეამცნიეს, რომ იმ ახალ გაზდა მღვდლის ქადაგების შემდგომ, მუდამ კვირაობით ეკკლესიის წინ ატუზულ ექვს გლახა დედა-კაცებს აძლევდა ხოლმე თითო სუს, (1) რომელიც იმ ექვსთ უნდა გაეყოთ. ერთხელ ეპისკოპოსმა დაინახა, რომ გებორანი ამ გვარ მოწყალებას აძლევდა გლახაკებს, მიუბრუნდა თავის დას ს ლიმილით უთხრა: «უფალი გებორანი რა იეფად ყიდულობს სასუფეველსაო!»

ერთხელ სობოროში ხალხს ასე უქადაგებდა:

«საყვარელნო ძმანო ს მეგობარნო! ფრანციაში ერთ მილიონ სამას ოცი ათასს გლეხ-კაცების სახლებსა სამ-სამი სანათური აქვს—თითო კარებები ს ორ ორი ფანჯარა; ერთ მილიონ რვა ას ჩვიდმეტი ათასს—ორ-ორი სანათური აქვს—ფანჯარა ს კარები, ს სამ ას ორმოცდა ექვსი ათას ქოხს—მარტო თითო სანათური—კარები. ეს ამ მიზეზით არი, რომ ფანჯრებს ს კარებებს სახაზინო ხარჯი აძევს. თქვენ წარმოიდგინეთ, ამისთანა უფანჯრებო, ბნელ ს ნოტიოან სახლებში ცხოვრება ს მდგომარეობა უსუსური ყმაწ-

(1) სუ ორ გროშ ნახევარია.

ვილებისა, მოხუცებულებისა, ის ცოცხ-ცხელება ჯ ავათ-მყოფობა იმ ქოხებში. ღმერთს ჩვენთვის გაუჩენია ჭარი—კანონი ჯ მმართებლობა კი ჩვენზედ ჭეიდის. მე კანონს არ ვამტყუნებ, მხოლოდ ვაქებ ჯ ვადიდებ ღმერთსა. იზერაში (1), ვარაში (2), ზემო და ქვემო ალპებში (3), გლეხები ისეთ სიღარიბეში არიან, რომ ურმებიც კი არა აქვთ. მიწის სასუქად მინდორში ნეხვს ზურგით ეზიდებიან; სანთლის მაგიერად მკვარსა სწვენ, ან თვისში ამოვლებულ თოკსა. ზემო დოფინეშიაც (4) ესეთი სისაწყლეა. იმ მხარეს გლეხები თორნეს წიგით ახურებენ ჯ ნახევარ წლის საგძალ პურს ადრევე აცხობენ. ასე გამომცხვარი პური ზამთარში ისე ხმება, რომ ცულით ამტვრევენ ჯ მერე საჭმელად მთელ ერთ დღეს წყალში ალბობენ. ქმანო, მიიხედ-მოიხედეთ გარშემო ჯ ნახეთ თუ რა მწუხარებაში და ტანჯვაში არიან თქვენი მოძმენი».

ეპისკოპოსი თავ-დაბალი კაცი იყო—დიდს და პატარას, მდიდარს და ღარიბს, ყველას ერთ ნაირად ექცეოდა. დამნაშავეს ის არას დროს არ გაამტყუნებდა, მანამ დანაშაულობის ყოველი მიზეზი კარგად არ შეეტყო და არ გაერჩია.

დედა-კაცები, და ღარიბები, რომელნიც ეხლანდელ დროში ყველას დაბრიყვებული ჭყავთ, ეპისკოპოსს ძალიან ებრალებოდა და იმათზე მოწყალის თვალით იყო. ძირელი იტყოდა ხოლმე: დედაკაცების შეცდომის მიზეზი ქრმები არიანო და არა თვით დედაკაცებიო, აგრეთვე შვილების შეცდომის მიზეზი და ბრალიერნი, თუ ისინი რასმეში სცდებიანო, მამები არიანო, მოსამსახურეებისა—ბატონებიო, ულოანოებისა—ძალიერნიო, საწყლებისა—მდიდარნიო და უსწავლელებისა—განათლებულებიო. ამასთანავე თან დაატანდა და ჯ იტყოდა: უსწავლელებს, რაც იცით ჯ შეგიძლიანთ, ასწავლეთო;

---

(1) იზერა.
(2) ვარა.
(3) ზემო ჯ ქვემო ალპები.
(4) ზემო დოფინე.

} ფრანციის მაზრების სახელებია.

მთარგ.

სიზოგადოებაა დამნაშავეო და გასამტყუნარიც, რომ სწავლას და განათლებას ხალხს უფულოდ არ აძლევსო; ხალხის გაუნათლებლობა ამითი უფრო სიზოგადოების ბრალიაო, რომ შეუძლიან კეთილის ქმნა ხალხისათვის და არა იქმნსო, მაშასადამე ბასუხის გებაშიაც თითონ სიზოგადოება უნდა იყოსო, რაკი მიზეზი თითონ ვეაო. ვინც სცოდავს იმისი ბრალი კი არ არიო, ბრალი იმისიაო, ვინც ცოდვის მიზეზი ხდებაო.

მე აგიწერთ ამის შინაურ ყოფა-ცხოვრებასა და, თქვენ, ჩემო მკითხველო, შეიტყობთ, თუ როგორი მოდვაწე იყო მირელი სიზოგადოებისათვის. მოხუცებულებს და ბევრ წილ მზრუნველ კაცებს დიდ ხან ძილი არ უყვართ. მირელიც დიდ ხანს არ იძინებდა, მაგრამ მშვიდობიანი ძილი კი ჰქონდა. დილით ჯერ სწირავდა ხოლმე, მერე თავის ვალდებულობის ასასრულებლად მრევლში დაიარა და ან საეპისკოპოსო ვალდებულებას ასრულებდა შინა და საქმეებსა სწერდა; შუადღისას კი, თუ კაი დარი იქნებოდა, სასეირნოდ გავიდოდა ხოლმე და რაცა ზედ ფული ეგულებოდა აქა იქ საწყლებთან მივიდოდა, და რაცა კი არა—მდიდრებთანა.

ვახშმის უკან ერთ ნახევარ საათს მუსაიფობდა თავის დასთან და მადამ მაგლუართან, რომელიც მოახლის და მეკუჭნავის თანამდებობას ასრულებდა სახლში. მერე საქმობდა ხოლმე თავის ოთახში, სწერდა: თითქმის რო ნასწავლი კაციც იყო, და სიკვდილს შემდეგ თავის შეთხზული ხუთი ხელნაწერი კარგი წიგნები დარჩა. ამათში ერთი დისერტაციაც იყო ამ დაბადების მუხლზე: «ჰ უწინარეს სული ღვთისა ვიდოდა წყალთა ზედა».

ეპისკოპოსის სახლში სულ ექვსი ოთახი იყო სამი ქვემო ეტაჟში ჰ სამიც პირველ ეტაჟში. ამ სახლს უკან პატარა ბაღჩა ჰქონდა: პირველი ეტაჟი დედა-კაცებს ეჭირათ, ქვემოთი კი თითონ ეპისკოპოსსა. პირველი ოთახი, რომელსაც ქუჩიდგან შომოსავლელი კარი ჰქონდა, იყო სასადილო ოთახი, მეორე საწოლი ჰ მესამე სალოცავი. ამ ოთახებს ერთი ერთმანეთში კარებები ჰქონდა, ასე რომ სალოცავ ოთახში რომ სდომებოდა კაცს შესვლა, სასა-

დიდო და საწოლი ოთახები უნდა გაეკეთო. სალოცავ ოთახში კლიტით დასაკეტი წალო იყო, შიგ ერთი ხელი ლოგინი ელაგა, იმ მოგზაურ მღვდლებისათვის, რომელთაც ქ. დ-ში მოუხდებოდათ ხოლმე ღამით დარჩენა.

ოთახებში, მართალია, დაბალი თვისის მებელი ეწყო: უბრალო ხის სტოლები ⁄ ჩალის სკამები, მაგრამ სახლს კი დიდ სისუფთავეში ინახავდნენ. თვქიზობა ⁄ სისუფთავე ძალიან უყვარდა ეპისკოპოსს; ის იტყოდა ხოლმე: სისუფთავე საწყლებს ხომ არ აზარალებსო ⁄ არც არა თვერს ართმევსო.

ესეც კი უნდა მოგახსენოთ, რომ მირეულს, თავის ბებიის სიკვდილ შემდეგ, დარჩენოდა ექვსი ვერცხლის სტოლის ირმალი, წვნის დასასხმელი ჩამჩა ⁄ ორი მძიმე ვერცხლის შანდანი. ამ შანდნებში წმინდა სანთლები იყო დამაგრებული და ბუხრისთავზედ ეწყო, როცა კი უცხო ვინმე დვთის სტუმარი ეყოლებოდა, მაშინ იმ შანდნებს სტოლზედ დააწყობდნენ.

საწოლის ოთახში ტახტის გვერდზედ პატარა განჯინა იყო, საცა ვერცხლეულს ინახამდნენ. როგორც ქუჩის კარებს, აგრეთვე ამ განჯინას არა დრო არა ჭკეტდნენ და მუდამ ღია იყო. საყდრის მოედნიდგან შესავალ ქუჩის კარებს უწინ თურმე კლიტე და ურდული ჭქონდა; ეპისკოპოსმა აკურეკინა და კარებს დღისით და ღამით მარტო რაზით აკეტებინებდა. ამის გამო დედა-კაცებს ხალხისა ძალიან ეშიქრებოდათ; ერთხელ ეპისკოპოსს რიგზედ კარის ჩაკეტა ურჩიეს, მაგრამ იმისაგან ესეთი პასუხი მიიღეს: «თუ თქვენ გინდათ თქვენ ოთახებს გაუკეთეთ ურდულები და კლიტეებიო». ამ სიტყვების ძალის საფუძველი, თითონვე დაეწერა დაბადების ერთ თვურცლის გვერდზედ: «აი განსხვავებაო: ჭექიმის ქუჩის კარი არას დროს არ უნდა იყოს დაკეტილიო, მღვდლის კარი კი მუდამ ღია უნდა იყოსო».

ერთ წიგნზედაც ზედ წარწერით: «საქიმო ⁄ სწავლის თვილოსოფიაზე» ასე დაეწერა: «მე კი განა არა ვარ ამისთანა ექიმიო, როგორათაც ესენიო? მეც ჩემი ავად-მყოფები მყვანანო; ჯერ იმათი უძლურებიც ჩემნი არიანო, რომელთაც ისინი ავად-მყოფებად უწო-

დებენო და მერე მე ჩემი საკუთარნიცა მეკანანო, რომლებსაც მე საბრალოებად უწოდებო». კიდევ ერთ წიგნზედაც ესე დეწერა: «თუ კინმე ღამით დვთის სტუმრად თქვენ შემოგეგებლოთო, იმის სახელს ნუ იკითხავთო, მეტადრე კისაც თავის სახელის ხსენება ეკვრება და იმაზედ იმღვრევაო; უფრო ნამეტნავად, კისაც თავის შესაფარებელი ადგილი არა აქვსო».

ერთ შემთხვევას მოგითხრობთ, რომლითაც შეიტყობთ რა კაცი იყო მირელი.

III.

კ რ ო ვ ა ტ ი.

იმ დროს ერთი უჩალათ გავარდნილი ლეიტენანტი, სახელად კროვატი, ძალიან თულობდა და ხალხი აკლებული ჰყავდა. ერთხელ ქ. ქმბურნის სობოროში კროვატი ღამე შეიპარა: და რაც მთელი საეპისკოპოსო შესამოსი იყო, სულ გამოზიდა. ეს ამბავი შეიტყეს; გამოუყენეს ჯანდარმები, მაგრამ სულ ფუჭად ჩაიარა. კროვატი გაძვრებოდა და გაექცეოდა ხოლმე ჯანდარმებსა, ზოგჯერ სამრევლოსაც კი შეებმოდა.

ამ შიშიანობის დროს ეპისკოპოსი მიდიოდა იქით, საცა გაენწესებინათ. კროვატის ავაზაკ ამხანაგებს ეპყრათ არშის მთები და კიდევ უფრო იქითაც. ისე ავაზაკობდნენ და ისეთი შიშიანობა იყო მთებში, რომ მგზავრობა შეიარაღებულ ჯანდარმებითაც კი საშიში იყო. ამ შიშიანობის გამო, მერი ურჩევდა ეპისკოპოსს და ცდილობდა, რომ იმ გზით არ წასულიყო; მაგრამ ის არ უგონებდა.

—თქვენ უთუოდ აპირებთ წასვლას, მოხსენიორო? გაოცებით ჰკითხა მერმა.

—ერთ საათს უკან ვაპირებ და ამასთანავე არ მინდა გავიყოლო შეიარაღებული ჯანდარმები.

—მაშ უთუოდ მიდიხართ ?

—უთუოდ.

—მარტო?

—მარტოდ-მარტო.

—მონსინიორო ! იმედი მაქვს, რომ თქვენ მაგას არ იქმთ.

ეპისკოპოსმა მიუგო:— იმ მთებში ბატარა მშვიდი ხაზოვანებაა, აი ეს სამი წელიწადია, რაც მე იქ არა ვყოფილვარ. იქ ჩემი მეგობრები სცხოვრობენ, მშვიდობიანნი, მართალნი და პატიოსანნი მწყემსები. იმათთვის საჭიროა, რომ მალ-მალ ღვთის სახელს გოგონებდნენ. ვინცობაა შეიტყონ, რომ მე შიშიანობის გამო არ მივალ, მაშინ რას იფიქრებენ ეპისკოპოსზე ? და თუ არ წავედი და არა ვნახე ისინი, რას იტყვიან ჩემზე ?

—მაგრამ . . . მონსინიორო, გზაზედ რომ ყაჩაღები დაგიხვდნენ ?

—მე ეგ ვიფიქრე, მართალს ამბობთ, იქნება დამიხვდნენ: ღვთის სახელის გაგონება იმათთვისაც საჭიროა.

—ავაზაკებს რას გააგონებთ, მონსინიორო ? ადამიანებს, რომ გავდნენ კიდე ჭო,—სწორედ მგლის ხროვაა.

—უფალო მერო, უთუოდ ის ხროვაა, რომლის მწყემსად იესომ მე დამადგინა. ღვთის განგებას ვინ მისწვდება!

—მონსინიორო ! ისინი თქვენ გაგცარცვენ.

—მე არა მაქვს რა.

—მოსაკლავად თქვენ არ დაგინდობენ.

—ვისა ? მოხუცებულ მღვდელსა, რომელიც სიარულში თავის თვის ბუტბუტებს რაღაცა ლოცვებსა ? ან რისთვის ?

—ოჭ! ღმერთო ჩემო! აბა გზაზედ რომ შემოგხვდნენ რასა იქთ ?

—მე იმათ მოწყალებას მოვთხოვ ჩემ საწყლებისთვის.

—მონსინიორო ! დამიჯერეთ, ნუ მიხვალთ, გეყოფრებით ღვთის გულისთვის ! აბა თქვენ სიცოცხლეს რაზე აგდებთ საფთხეში? თავს გაუფთხილდით!

—უფალო მერო, ეპისკოპოსმა უთხრა: გახა მარტო მაგ მიზეზით მიშლით წასვლას? მე ქვეყანაზე სულთა დასაცველად ვცხოვრებ და არა სიცოცხლისათვისა.

ეპისკოპოსმა მაინც არ დაიშალა და გაემგზავრა. კარგა მშვიდობით გადაიარა მთები და მივიდა თავის «კეთილ მოძმებთან» მწყებსებთან, გზაზედაც სრულობით არავინ არ დახვედროდნენ. აქ დაჰყო ორი კვირა; წასვლის დროს დაუპირა დიდის დიდებით ეკლესიაში «Te Deum»-ის(1) გალობა და ეს წადილი იქაურ მღვდელსაც უთხრა. მაგრამ რა ეშველებოდა, რომ საეპისკოპოსო შესამოსი არ იყო. როდესაც ყველა ამაზე თვიქრობდა, რომ როგორმე მოეხერხებინათ და ეშოვნათ ეპისკოპოსისათვის შესამოსი, ამ დროს ორმა კაცმა ცხენოსანმა იქაურ მღვდელს მიუტანეს ერთი უუთი-ეპისკოპოსის სახელის ზედ-წარწერითა და იმ წამსვე გაბრუნდნენ. უუთი გახსნეს: შიგ ეწერა მშვენიერი და ძვირფასი საეპისკოპოსო შესამოსი, რომელიც ემბურნის სობოროდგან მოეპარათ. უუთში ბარათიც იდვა, შიგ ეწერა «კრავტისგან მირელს მიერთოს».

—აკი გეუბნებოდით, ყველა კარგად მოხერხდება მეთქი, ეპისკოპოსმა უთხრა ყველას.

IV.

ეპისკოპოსს უეცარი შუქი ანათებს.

ამის შემდეგ, თუ ქალაქის ჯორებს ყური ვუგდოთ, მირელმა უფრო გასაბედი საქმე ჩაიდინა, ვირემც მთებში მგზავრობა: ქალაქ დ-ა ერთ სოფლის შორი-ახლო, სცხოვრებდა მარტოდ-მარტო კაცი, სახელად ბ-ი. ეს იყო უწინდელი კონვენტიონისტი (2).

ამ კონვენტიონისტზე ქ. დ-ა რიგიან საზოგადოებაში და შეურილობაში. ხალხი კრძალვით და შიშით ლაპარაკობდა. ამბობდნენ

(1) Te Deum—ლოცვაა «გაქებდეთ შენ ღმერთო».

(2) კონვენტი—საზოგადოება რევოლუციის დროს, რომელიც ფრანციის საქმებს ჰმართავდა. კონვენტიონისტი ამ საზოგადოების წევრს ერქვა.

მთარგ.

ხოლმე: «შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ სიტყვა კონვენტიონისტი რა თქმა არისო? ან რას ნიშნავსო? ერთი დრო იყო ფრანცია, როცა ამ გვარი კაცები ჩსცხოვრებდნენო, როდესაც ერთი ერთმანეთს გაურჩევლად ეუბნებოდნენ: «შენ მოქალაქეო» ეს კაცი თითქმის საზარელი და საშინელია. მართალია, ამას მეფის მოსაკლავად ხელი არ აუღია, მაგრამ . . . თითქმის, რომ მეფის მკვლელიც კი იყო. გასაოცარია, რომ, როცა ფრანციაში კანონიერი ხელმწიფის ჩამომავლობა დაბრუნდა და დამკვიდრდა, მაშინ ეს კაცი სასიკვდილოდ როგორ არ დასჯესო. ვსთქვათ თავი იმიტომ არ მოჭკვეთეს, რომ ზოგჯერ შეწყალება და შებრალება იციანო, მაგრამ საუკუნოდ კოტორღაში მაინც უნდა გადაეკარგათო, სამგალითოდ მაინც ასე უნდა დასჯათო!» და სხ. და სხ.

ამასთანავე ეს იყო ატეისტი (ურწმუნო), როგორც ყველა ამ გვარი კაცები არიან.

გ-ნი სცხოვრებდა ქალაქიდამ თითქმის ერთის საათის სავალზე, გაშორებული ყველა ადამიანის სადგომიდგან, უგზო-უკვლო ერთ ოლრო-ჩოლრო ღელეში. იქ, როგორც ამბობდნენ, «სოროო» ჭქონდა, რომელშიც იდგა, და ერთი ადგილი პატარა მინდვრის მგზავსი წინდაცემული; არც მეზობელი ჭყავდა და არც გამლელ-გამომავლელი. მას აქეთ, რაც ეს გ-ნი იმ ღელეში სცხოვრებდა, ბილიკზედაც კი, რომელიც «სოროში» მისდევდა, ბალახი ამოსულიყო. როგორც ჯალათის, ან კაცის მკვლელის სახლს, იმ ადგილს ყველა ავის თვალით უყურებდა და იმაზედ შიშით და ზიზღით ლაპარაკობდნენ.

მაგრამ ეპისკოპოსი კი ზოგჯერ, როცა შეხვდავდა ხოლმე იმ კონვენტიონისტის ღელეში ჩარიგებულ ხეებს, იტყოდა ხოლმე: «ნეტავ რათა სცხოვრებს ის უთვის-ტომო მარტო სულიო?»—ჯ თანვე დაატანდა, «მე უნდა წავიდე იმის სანახავათაცაო».

ერთის გზით თუმცა აპირებდა წასვლას, მაგრამ მეორით,—რაკი ჩათვიქრდებოდა, ეს აზრი თითონვე გასაოცრად, ძნელ ასასრულებლად მიაჩნდა. ამის მიზეზი ეს იყო, რომ ეპისკოპოსსაც გულში

ისე სძულდა კონვენტიონისტი, როგორც მთელს საზოგადოებას, ერთის სიტყვით იმ კაცთან წასვლისათვის ამას გული არა სწყვდა და თითქმის, რომ ეზიზღებოდა კიდეც.

ერთხელ ქალაქში ხმა დაჰყარეს, რომ მემცხვარეო, რომელიც გ-ნს ემსახურებაო, ექიმის წასაყვანად მოვიდაო, ბებერი ქოთაკი ავაზაკი უკანასკნელ დღეშიაო და დიდას ვერ გაათენებსო,—«ძღიეს, მადლობა ღმერთსაო!» ზოგნი ერთნი ამბობდნენ.

—ეს ამბავი ეპისკოპოსმა შეიტყო თუ არა, აიღო თავისი ჯოხი და გასწია. მზე დაწურვაზე იყო, როცა ეპისკოპოზი მიახლოვდა იმ ღელეს, სადაც კონვენტიონისტი სცხოვრებდა, და ერთ პატარა მინდვრის შუა, ასკილის და გვრიხჩხის ბუჩქებს უკან დაინახა სადგომი.

ეს იყო გ-ნის ქოხი, უბრალო, დაბალი,—მაგრამ სუფთა და წინ შესავალში ვაზის თალარით შეკრული,

კარებ წინ ძველ კრესლაზე იჯდა თეთრ ჭალარა მოხუცი და მზეს ღიმილით უყურებდა.

მოხუცის გვერდზედ იდგა ახალ-გაზდა ბიჭი, პატარა მემცხვარე, და მოხუცს ჯამით რძეს აწოდებდა.

იმ დროს, როცა ეპისკოპოსი მიახლოვდა და ის სანახავი დაინახა, მოხუცმა ხმა მაღლივ უთხრა პატარა ბიჭს: «მადლობელი ვარ, მე მეტი ალარა მინდა რა». მზეს თვალი მოაშორა და იმავ ღიმილით პატარა ბიჭს დაუწყო ცქერა.

ამ დროს ეპისკოპოსიც ახლო მივიდა. თვეის ხმაურობაზედ მოხუცმა თავი მოიღო, მოიხედა, გაოცებული დარჩა და სთქვა;

—მას აქეთ, რაც მე აქა ვსცხოვრებ, აი ჯერ ეს პირველი ადამიანის მოსვლაა ჩემთან. თქვენ ვინა ბძანდებით, მოწყალეო ხელმწიფეო!

—მე ვარ ბენვენიო მირელი.

—ბენვენიო მირელი. ეგ სახელი მე გამიგონია; თქვენ ეპისკოპოზი ბძანდებით?

—დიახ, მე ვარ.

—გთხოვთ შემობძანდეთ.

კონკენტიონისტმა ეპისკოპოსს ხელი მისცა, მაგრამ იმან არ ჩამოართვა და უთხრა:

—მე დიდად მოხარული და დამშვიდებული ვარ, რომ მე შემცდინეს. შეგიტყე, ვითომც თქვენ ძალიან ავათა ხართ, თქვენ ავად-მყოფს სრულებითაც არა ჭეგეგხართ.

—მოწყალეო ხელმწიფეო! მიუგო მოხუცმა:—ეხლა უკეთ შეგიქმენ, მე მალე მოვრჩები.

ბატარა ხანს უკან სთქვა:

—მე სამი საათის სიცოცხლეა დამრჩენია, მერე კი მოვკვდები. ცოტადე ექიმობაც ვიცი, ვიცი როგორც მოახლოვდება ხოლმე ადამიანის უკანასკნელი სიცოცხლის საათი; მე გუშინ მარტოფეხის თითები მქონდა გაცივებული, დღეს მუხლები გამიცივდა; ეხლა მე ვგრძნობ, რომ თან და თან ტანი მიცივდება,—და როცა გულამდის მიატანს, მაშინ სიცოცხლეც გამიქრება და გავთავდები კიდეც. თქვენ ძალიან კარგი გიქმნიათ, რომ სულ-ბრძოლის სასახავად მოსულხართ. ძალიან გულით მინდოდა, კიდევ მზის ამოსვლამდის სიცოცხლე, მაგრამ სამი საათის სიცოცხლე ძლივა დამრჩენია. დაღამდება თუ არა' მოვა ჩემი დასასრული, სიკვდილი დიდი რამ არ არი. ამალამ მოვკვდები, თუ ხვალ დილით, სულერთია, დაე მოვკვდე!

ამ კაცის სიტყვებზე ეპიმკოპოსს გული არ ასტკივდა. ამ გვარი სიკვდილი ულთო კოხა. თითქმის ეწყინა კიდეც, რომ კონკენტიონისტი «მოხსენიორად» არ ადიდებდა ამას. ამისთანა გრძნობა ეპისკოპოსში ბერეული ნახვა და გაგონება იყო, ეს კაცი წრეს იქით გასული მიაჩნდა და ამის მიზეზითაც ის არ ებრალებოდა. კონკენტიონისტი კი ეპისკოპოსს გულ-კეთილად შეჭსცქეროდა.

კ-ი დამშვიდებულის სახით ტანში გამართული, ათრთოლებულის ხმით იმ ოთხმოცის წლის მოხუცებულებსა ჭკავდა, რომელნიც თავიანთ შეხედულობით კაოტებენ ხოლმე ფიზიოლოგს. (1) ფრანგ-

(1) ფიზიოლოგია მეცნიერებაა ბუნების ცნობაში მომყვანი: მცენარისა, ცხოველისა ‡ კაცის ცხოვრებითის აგებულების ამხსნელი.

მთარგმ.

ციის რევოლუციის დროს ბევრი ამისთანა მოხუცებულები იყვნენ, რომელნიც დროებას გაეჩინა.

გ-ნს ზედვე ეცნეოდა, რომ ბევრი ჭირი და ვაება გადახედოდა. თუმცა მოხუცებული იყო, მაგრამ მაინც კიდევ მიხრა-მოხრა ახალ გაზდისა და ჯან-მრთელობისა ჰქონდა. იმის შეხედულობას, ზანზარებს ხმას და ღონიერ ხელების მოძრაობას, თითქო ისეთი რაღაცა ჰქონდათ, რომ სულთა-მხუთავსაცვი შეეშინდებოდა იმისგნით. გ-ნს სახეზე სიკვდილის მოახლოება ეცნეოდა, რადგანც თითონვე სურდა სიკვდილი.

სულ-ამომავლობის დროსაც კი თავის უფალი და სახე-გახსნილი იყო; მარტო თვეები უძრავი შეექმნა. სულ გაუყინდა და გაუშეშდა. მაგრამ თავი კი ჯერ ცოცხალი იყო, ჯ ვდილამდის ჭკუა და გონება სრული შერჩა.

იმ დროს გ-ნი ემგზავსებოდა იმ ერთ ადამიანვლეთის ზღაპრების მეფეს, რომელსაც ნახევარი ტანი ცოცხალი ჰქონია და გაშეშებული თვეები კი მარმარილოს ქვისა.

ეპისკოპოსი ქვაზე ჩამოჯდა და გონვენტიონისტს ხან-გრძლივ დაუწყო ლაპარაკი. მერე ორნივე კარგა ხანს ჩაჩუმდნენ; გ-მა ბოლოს დაარღვია სიჩუმე და ეპისკოპოსს უთხრა:—აბა გამოსაკითხავად ტუვილად რისთვის მოსულხართ და ლუდვიგო XVII-ზე მელაპარაკებით? მე ხომ თქვენ არ გიცნობთ, რაც მე მარტოდ აქა ვცხოვრებ აქედამ თვეხი არსად არ გამიდგამს და ამ ყმაწვილის მეტს არც არავის ჩემთან თვეხი შემოუდგამს. მართალია, თქვენი სახელი და თქვენი გეთილ-მოქმედება მე შემიტყვია, მაგრამ ეს სულ უბრალოა: ოსტატმა და ხერხიანმა კაცმა იცის, როგორც მოატყუოს ხალხი. ყველა-ყველა და მე თქვენი ეკიპაჟის ხმაურობა რატომ ვერ შევიტყე, უთუოდ ჯვარედინ გზაზე ბუჩქებთან დაგაყენეთ. მე თქვენ ამასაც გეტყვით, რომ არ გიცნობთ. მართალია, მე თქვენ მითხარით, რომ ეპისკოპოსი ბძანდებით, მაგრამ ამითი თქვენს ზნეობით ხასიათს მაინც ვერ შევიტყობ. გიმეორებთ ჩემ სიტყვას: ვინა ბძანდებით? ვიცი, თქვენ ეპისკოპოსი ხართ, ესე იგი—ერთი სასულიერო თავადთაგანი, ერთი იმ მდიდარ და ხარი-

სხოვან შემძლებელ კაცებთაგანი, რომელთაცა აქვსთ კარგი სარგებლობა ჯ შემოსავალი.—ქალაქ დ-სა აქვს წელიწადში საეპისკოპოსო შემოსავალი ხუთმეტი ათასი თერანგი სამუდამოდ და სხვაც ისე ასწავნავი ათასი თერანგი, სულ ერთიანად ოცდახუთი ათასი წელიწადში. თქვენ სამღვდელოებს უველას კარგი მზარეულები და მოსამსახურეები გყავსთ, კარგს ჭამა-სმას არ იკლებთ, რაც ძნელი საშოვარი ნადირის ხორცი იპოება, თქვენ პარასკეობით მოგერთმეკათ ხოლმე სუფრაზე, ამაყად გამოდიხართ კარგ ეკიპაჟებში, წინ და უკან ლაქიები გიყენიათ. თქვენ გიპყრიათ ციხე-დარბაზები, ეკიპაჟები და სიმდიდრე იესოს სახელითა, რომელიც ფეხშიშველა ფეხით დადიოდა! მეტადრე თუ პრელატიც (1) არის, სასახლეცა აქვს, ცხენებიცა ჰყავს, ლაქიებიცა, კაი სადილი, ერთი სიტყვით თავის სიცოცხლეს შექცევაში ატარებს. ამაების თქმა თქვენზე ან უნდა მოამატებული იყვეს, ან ცოტა,—ამითი მაინც კიდევ თქვენ დაუჯერულ და ნამდვილ ლირსებას ვერ შევიტყობ. მაინც ვერ შევიტყობ ვინა ბძანდებით თქვენ ჩემთან მოსული, უთუოდ იმ ფიქრით, რომ მე სიბრძნე და ჭკუა მასწავლოთ. მაინც ვისთან ვლაპარაკობ? ვინა ხართ?

ეპისკოპოსმა ჩაღუნა თავი და უპასუხა:

—Vermis sum (მატლი კარ).

—მატლი ეტლით (კარეტით) მოსიარულე! გ-მა ჩუმად წაიბუტბუტა.

ეხლა კონვენტიონისტი იყო ამაყად და ეპისკოპოსი თავ დაბლად, მირელმა მშვიდად უპასუხა:

—დეე ეგრე იყოს. მაგრამ ერთი ეს მითხარით, რაგორც თქვენ ამბობთ, განა ჩემი ეტლი, რომელიც აქ კარებს ახლო მიუენია, — ჩემი კარგი ჭამა-სმა და გარეული ნადირის ხორცი, რომელსაც მე პარასკეობით შევექცევი, ჩემი ოცდა ხუთი ათასი შემოსავალი თერანგი, ჩემი სასახლე, ლაქიები და სხ. გი-

(1) პრელატი სამღვდელოს ხარისხია.

მთარგ.

თუმცა გიმტკიცებდესთ, რომ ადამიანის შებრალება მადლი არ იყოს? გიმტკიცებდესთ, რომ წყალობის და მადლის ქმნა მოკვალეობა არ არის ადამიანისათვის? გიმტკიცებდესთ,რომ 1793 წელიწადი შეუბრალებელი და უღმრთებელი წელიწადი არ იყო?

კონვენტიონისტმა შუბლზე ხელი გადისვა, თითქო სევდის ლრუბლების გადაყრა უნდოდაო.

—მანამდის გიპასუხებდე მე მოტევებასა გთხოვთ. მე დამნაშავე ვარ თქვენთან. თქვენ ჩემთან მოსულხართ, ჩემი სტუმარი ბძანდებით. მაშა სადა მე, მე თქვენთან ალერსით ყოფნა მმარიებს. თქვენ ჩემ აზრებს არღვევთ, რიგი მოითხოვს, რომ მეც თქვენი ჭსჯა დავარღვიო; თქვენ სიმდიდრეზე და შექცევაზე ზდილობა მოითხოვს, რომ მე არა მეთქვა რა, იმიტომ-რომ ეგენი თქვენ გამტეუნებენ და მე კი უსიტყვოთაც მამართლებენ. პირობასა ვზდებ, რომ მე მაგ საგანზე ალარა ვსთქვა რა.

—მადლობას მოგახსენებთ, ეპისკოპოსმა უპასუხა.

გ-მა დაიწყო.

—ეხლა მოვილაპარაკოთ იმაზედ, რაც თქვენ მითხარით. მაგრამ რა პასუხსა მთხოვდით? რა მკითხეთ? ჭო, რომ 1793 წელიწადი შეუბრალებელი და უღმრთებელი წელიწადი იყო?

—დიახ, შეუბრალებელი, ეპისკოპოსმა მიუგო; თქვენ მიურატზედ რას იტყვით, რომელმაც გილიოტინის (1) მოგონებაზედ სიხარულით არ იცოდა რა ექმნა, მხიარული იყო ტაშის-მკვრელი.

—ბოსუეტზედ თქვენ რალას იტყვით, იმ კაცზე, რომელიც პროტესტანტების დამარცხებაზე და ამოწყვეტაზე ეკლესიაში Te Deum-ს გალობდა.

ეს სასტიკი პასუხი იყო. ეპისკოპოსი ათრთოლდა და ვერაფერი ვერა მოახერხა რა, რომ ეპასუხნა. ამ გვარად ბოსუეტის სახელის მოხსენება ეკკვრა. ყველა ჩვეიან კაცს ბრმა-ურუდ თითო

(1) გილიოტინა ადვილად ტ სწრაფად კაცის თავის მოსაკვეთი მაშინაა. ფრანციის რევოლუციის დროს შემოიღო ერთმა ჰექიმმა აბბათმა გვარად გილიოტენმა. მთარგ.

გამოჩენილი ადამიანი ვინმე ჭყავს აჩემებული და თავის კერპად მიაჩნია. ეპისკოპოსსაც ბოსს-უეტი ისე მიაჩნდა, რომ იმის სახელს ფიცავდა. გ-ანი ძლივსლა სუნთქავდა. სულთ-მბრძოლის ყელში ხრიალი ჰ ძლივსლა სულის-მობრუნებელი ლაპარაკს უშლიდა; სახეზედ კი სულის მშვიდობიანობა ეტნეოდა: ქანც-გაწყვეტილმა ძლივსლა წამოსთქვა:

—მე მინდა კიდევ ერთი ორი სიტყვა მოგახსენოთ: თქვენის ფიქრით, 1793 წელიწადი შეუბრალებელი იყო, მაშ უწინდელ წელიწადებზედ რასას იტყვით? მე ვსწუხვარ უ. ეპისკოპოსო, ერც-ერცოლიანია მარია ანტოანეტზე და იმ საწყალ ლუგენოთის დედა კაცზე, რომელიც ლუდვიგო XIV დროს 1685 წელსა, მიაკრეს ბოძზე და იმ დედა-კაცის უსუსური ძუძუ მწოვარი ყმაწვილი კი შორიახლო თვალწინ დაუჭირეს; დედას ყმაწვილის ნახვაზე ძუძუები რძით ევსებოდა და გული კი—კვებით და მწუხარებით. საცოდავი ყმაწვილი გამხდარი და მშიერი დედის ძუძუებს რომ ხედავდა, დნებოდა, ტიროდა და იტანჯებოდა. ამ დროს ჯალათი კი ეუბნებოდა დედა-კაცს: «გადადეგ შენ სარწმუნოებიდანაო.» ასე აწვალებდნენ. ან სულის დალუპვა უნდა ერჩია ამ საბრალოს, ან თავისი ყმაწვილის სიკვდილი. ამ გვარ ტანჯვაზე თქვენ რასას იტყვით? კარგად გახსოვდესთ, რომ ფრანციის რევოლიციას თავის მიზეზი ჰქონდა. დეე მოამავალმა აპატიოს, რაც ავი მოჰყვა რევოლიუციას.

კონვენტიონისტმა ეპისკოპოსს მოაშორა თვალი და ამ მშვიდობიანის სიტყვებით დასრულა თავისი ლაპარაკი:—ადრეულს ჰ სწრათეს პროგრესსა (1) ზოგი ერთნი რევოლუციას უწოდებენ. როცა რევოლიუცია დასრულდება ხოლმე, მაშინ სუყველანი ამბობენ: თუმცა კაცობრიობა ურიგოდ მოიქცა, მაგრამ რგება ნახა და წინ წავიდა, ე. ი. შეიცვალა. გ-ნი ვერცვი მოითვიქრებდა, რომ თავის სიტყვებით ამ კაცის გული და აზრები მოინადირა.

---

(1) პროგრესსი წარმარტებაა, ხალხის წინ წასვლაა.

მთარგ.

ეპისკოპოსს ერთ საგანზე კიდევ უნდოდა ლაპარაკი ან დაიწყო.

—ბრიგერეს უნდა სწამდეს ღმერთი, უსჯულო კეთილ საქმეში არ იკარგებს; ათეისტი (1) კაცობრიობას წარმატებას ვერ მისცემს.

კონვენტიონისტმა ამაზედ არა უპასუხა რა. შეთრთოლდა, მერე ცას შეხედა და თვალებში ცრემლები მოუვიდა. როცა თვალები ცრემლით ექმსო და ჩამოზდიოდა იმ გამხმარ ლოყებზედ, თითქმის ლუღლუღით თავისთვის ჩუმათა სთქვა;

—შენ, ჭოი იდეალო! მარტო შენ არსებობ.

იმ დროს ეპისკოპოსმა რაღაც ნაირი აღელება იგრძნო. პატარა ხანის სიჩუმის შემდეგ, მოხუცმა ცას მიმართა თითი ან სთქვა:

—დაუსაბამო იქ არსებობს, დაუსაბამოს რომ თავისი «მე» არა ჰქონდეს და ის «მე» იყოს მისი სამეფარი, მიშინ ის დაუსაბამო არ იქნებოდა, ე. ი. ის სულაც არ იქნებოდა. მაგრამ, რადგანაც ის არსებობს, მაშა სადმე აქვს იმას თავისი «მე»; ის «მე»—ღმერთია.

სულ-მბრძოლმა წარმოსთქვა ეს სიტყვები მაღლის ხმით ან აღტაცების თრთოლით, ისე თითქო ვისმე ხედავდესო და უყურებდესო, ეს სიტყვები დასრულა თუ არა, თვალებიც დახუჭა. ძალ-დატანებამ ის დაქანცა. ნათლათ სჩანდა, რომ იმან იმ ერთ წამში, ის რამდენიმე საათიც იცოცხლა, რომელიც კიდევ დარჩენოდა სიკვდილამდის. იმ წარმოთქმულ სიტყვებმა ის მიახლოვა იმასთან, რომლის არსებასაც კაცი სიკვდილ შემდეგ სცნობს.

იმის უკანასკნელი წამიც მოახლოვდა.

ეპისკოპოსი მიხვდა, რომ დრო ცოტალა დარჩენილიყო, ის მისულ იყო კონვენტიონისტთან, როგორც მღვდელი. თუმცა პირველად იმ კაცზედ გულ-გრილად იყო, მაგრამ ეხლა აღტაცებაში მოვიდა. იმ კაცის დახუჭულ თვალებს შეხედა, მერე იმისი გაცივებული და მოხრეული ხელი ხელში აიღო, დაიხარა, და სულ ამომავალს ყურში უთხრა: ეს საათი ეხლა ღვთისაა, თქვენ როგორ გგონიათ? შესაწუხებელი არ იქნება, რომ ეს ჩვენი ერთმანეთის

(1) ათეისტი—ურწმუნოა.

ნახვა საბოლოოდ უსარგებლო იყოს?

კონვენტიონისტმა თვალები ასხილა, სახეზე ეცნეოდა რაღაცა დიდებულება სიკვდილის აჩრდილთან შეერთებული.

—უფ. ეპისკოპოსო! იმან მშვიდათ უთხრა, რომელიც უფრო სულის ღირსებას მიეწერებოდა, ვიდრემც ულონიობას:

—მე ჩემი სიცოცხლე დავალმე ფიქრში, სწავლაში და განხილვაში. სამოცი წლისა ვიყავ, როცა მე ჩემმა მხარემ და მამულმა დამიბარა და მოამთხოვა, რომ მე იმის საქმეებზედ ზრუნვა და ზედა-მხედველობა მქონოდა. მე დავმორჩილდი. იყო ბორტ-მოქმედება,—მე ვებრძოდი, იყო მტანჯველობა და მწვალებლობა, მე იგი ამოვუხვერ. თუ იყო სახალხო სამართალი, რჯული და ახალი წესი, მე იმას უქადაგებდი და ვალვიარებდი. მამულს მტერი შემოესია და მთელი მხარე დაიპყრეს, მე მამული დავიცე და დავითვარე. ფრანცია იყო მტრისაგან განსაცდელში, მე ჩემი თავი არ დავზოგე და მამულისათვის ტყვიას გულს ბევჯერ მიუშვერდი: მე არ ვიყავ მდიდარი, ეხლა ვარ ღარიბი. ერთ დროს მე ვიყავ ერთი სამეფოს ძლიერთაგანი.

«როცა ბანკის სარდაფები ისე ფულებით სავსე იყო, რომ სიმძიმის გამო კედლებს ზამინებს აძლევდნენ, არ ჩამოწვესო, მაშინ მე Abre-sec-ის ქუჩის ტრახტირში ვჭამდი სადილსა და დღეში ვხარჯავდი მარტო ოც და ორ სუს. მე ვშველოდი გაჭირებულებს, დაჩაგრულებს ჯ იმათ ვუმსუბუქებდი მწუხარებას. ხალხის წინ წასვლას და განათლებას მე ხელს უმართავდი, ზოგჯერ ულმობელ ბრალგრესსაც წინ აუდგებოდი ხოლმე და ხან თქვენც კი გესარჩლებოდით ხოლმე, თქვენ, ჩემ წინა-აღმდეგ სამეფოს. ფლანდრიაში (1) სწორედ იქა, საცა ერთ-ხელ ყოფილა საზავეხულო სასახლე მეროვინგის კორონლებისა, იყო მონასტერი წმინდა ურბანოს რიგისა, საბბათო წმინდა კლარისა, რომელიც მე დავიცვ და გადავარჩინე მტრის ხელიდამ წ. 1793-ში. მე ჩემი ვალდებულობა იმოდე-

(1) ფლანდრია ფრანციის მაზრაა.

ნად ავსრულე, რაოდენათაც შემეძლო და ღონე მქონდა, იმ სიკეთეს ჩავდიოდი, რაც კი ხელიდამ გამამიგიდოდა. ამაების შემდეგ, მე გამამაგდეს, მდევნიდნენ, დამცინოდნენ, ლათეს მაცხობდნენ და სხ. სხ. ეს რამდენიმე წელიწადია, რაც მე ვამცნევ, რომ ზოგი ერთს ანუმშიც არ მოსდით ჩემი მოხუცება და ვეზიზღები კიდეც მე იმათ. გაუზდელი და დაბალი ხალხი მე ისე მიყურებს, როგორც შეჩვენებულს და დაწყევლილს, და მე, რომელსაც არავინ არა მძულდა, ყველამ შემიძულა და ახლა ვარ განმარტოებული საერთოდ ჩემზე მძულვარობისაგან.

«მე ახლა ვარ 86 წლისა და მე ვკვდები. თქვენ ჩემგნით რა გნებავთ?

—თქვენი სათნოება, ეპისკოპოსმა მიუგო და მუხლი მოიდრიკა.

როცა ეპისკოპოსი ადგა და თავი აიღო, ნახა დიდ-მშვენიერი ჩინებული სახე მოხუცისა. ის გარდაიცვალა.

ეპისკოპოსი შინ დაბრუნდა და უთვალმა უწყის რა ჭაზრებში იყო გაბმული. მთელი ღამე ლოცვაში გაატარა.

მეორე დღეს რამდენიმე გამოძიების მოყვარულთა გ-ზე დაუწყეს გამოკითხვა; მაგრამ იმან ხელი ცისაკენ მიიშვირა და იქ უჩვენა. იმ დღის შემდეგ ეპისკოპოსი გატანჯულებისათვის და საწყლებისათვის შეიქმნა უთვრო უმეტესად მგრძნობელი და მოყვარე. თუ რასმე გ-ზე, იმ ძველ ავაზაკზე მოაგონებდნენ ხოლმე, ის საშინლად ჩათვიქრდებოდა. არვის კი არ შეეძლო ეთქვა, რომ ამის ჭკუა და შეგნება იმ გ-ის ჭკუას და შეგნებას რომ შეხვდნენ, ეპისკოპოსისათვის უნაყოთო ყოთვილიყოს.

მირელის იმ კაცთან მისვლაზედ და ნახვაზე ხალხი შეეფრიალობაში ათას ნაირად ლაპარაკობდა და კილოებს აბამდა. ამბობდა:

—იმ სულ-მბრძოლთან რა ეპისკოპოსის ადგილი იყოვო. ნათლათ ჭჩანდა, რომ ამას ის ვერ მოარჯულებდაო? ყველა რევოლუციონერები გაჯიქებულნი ცოდვილნი არიანო. იმასთან რა მიარბენინებდა, რომ წავიდა და ნახაო? განა ისე სახარბელოა ის სა-

ნახავი, როცა ეშმაკს სული მიაქვსო?

ერთხელ ერთმა ქვრივმა იმათგანმა, რომელთაც თავიანთი თავი ძალიან ჭკვიანი მიაჩნიათ, ასე ხუმრობით ჰკითხა ეპისკოპოსს:

—მოსინიოორო, ყველანი კითხულობენ, თქვენ როდის მიიღებთ წითელ ყალთაგვსა?

—დიახ, იმან მიუგო:—წითელი თვერი საშინელი თვერია. კიდევ კარგი, რომ ვისაც მაგ თვერი ყალთაგვისა ეშინიანო, როცა იმთვერ შლიაპასა (1) ხედავსო, ისიგე პატივსა სცემს.

V.

მოგზაურის სადამო

ვიორგობის თვის პირველ დღეებში, წ. 1815-ში ერთი საათით ადრე მზის ჩასვლამდის, ვიღაცა ერთი ქვეითი უცხო კაცი შევიდა ქ. დ-ში. ამ დროს ზოგი ერთი იმ ქალაქის მცხოვრებნი ქუჩებში იყვნენ და შეწუხებულის თვალით უყურებდნენ ამ ახალ მისულ მოგზაურს. მართლათაც კი იშვიათი სანახავი და ძნელი წარმოსადგენია ამაზე უსაწყალესი შეხედულობის ადამიანი. ეს კაცი იყო შუა ტანისა, ჩასხმული და ღონიერი, შუა ხნისა. იქნებოდა ასე ან ორმოცდა ექვსისა, ან ორმოცდა რვა წლისა. ტყავის კიზიროკიანი ქუდი თვალებში ჩამოჩახჩული ჰქონდა და მზე მოკიდებულ და ოთლიან პირისახეს ჰთვრავდა. სხვილი ტილოს პერანგი ეცვა, საყელო საკინძით შეკრული, ტოტა გადაღეღილი ჰქონდა და ბალნიანი გული უჩანდა; ყელ-სახვევი თოკივით დაგრეხილი ეხვია,—ტანთ ეცვა ძველი, დაგლეჯილი ყორმალის თერი ბლუზი ნიდაყვ გამოცვეთილი ჯ აქა იქ თეთრის ძაფით სხვა და სხვა თერ ნაკერებით დაკერებული, და გაცვეთილივე ძველი ლურჯი ნაშურის შალვარი, ერთი მუხლისთავი გახეხილი იყო ისე, რომ გათეთრებულიყო და მე-

(1) კარდინალის შლიაპა წითელია.

მთარგ.

ორე ამოოგლეთილი იყო; ზურგზედ ეკიდა მძიმედ გატენილი ახალი სალდათური გუდა, ხელში ეჭირავ ეება-ერთელა კაკლის კომბალი. შიშველა ფეხებზედ ეცვა ლურსმებით დაჭედილი უყელო ჩექმები, თმა მოკლედ გაკრეჭილი ჰქონდა, გძელი წვერი ეყენა და ამასთანვე გაოფლიანებული იყო და საშინლად მტვრიანი.

ამ უცხო კაცს არავინ იცნობდა. როგორც ეცნოდა, ეს იყო მოგზაური. მაგრამ საიდამ მოდიოდა? სამხრეთიდამ, მგონია, ზღვის პირიდგან ამიტომ უფრო,—რომ ეს შემოვიდა ქ. დ-ს იმავე ქუჩაზე, რომელზედაც იმპერატორმა ნაპოლეონმა შვიდი თვის წინად გაიარა, როცა კანნიდამ ემგზავრებოდა და პარიჟში მიდიოდა. ამ უცხოს უთუოდ მთელი დღე ევლო, რომ ისე ძალიან დალალვა-დაქანცულობა ეცნოდა.

ზოგი ერთს ეს ენახათ, როგორც მისულიყო გასასენდის ბულვარის შადრევანთან—დაეწავა და ესვა წყალი. მაგრამ წყურვილი ვერ მოეკლა; ერთი-ორი ნაბიჯი გაეარა თუ არა, ხელმეორედ მისულ იყო წყლის დასალევად მეორე შადრევანთან.

ეს უცხო პუაშავერის ქუჩის ყურთან მივიდა, მერე მარცხნივ შეუხვია და სამერიში (1) შევიდა. ხუთმეტ მინუტს უკან იქიდამ გამოვიდა. კარებ წინ ქვაზე ჯანდარმი იჯდა; ამ უცხო კაცმა მოუმოვიდა. კარებ წინ ქვაზე ჯანდარმი იჯდა; ამ უცხო კაცმა მოუხადა ქუდი და მდაბლად თავი დაუკრა, ჯანდარმმა კი თვალ-დაკვირვებით დაუწყო ყურება, თვალი კარგა ადევნა ამ მგზავრს და მერე შევიდა რატუშაში. (2)

ამ ჩვენმა უცხომ კი ტრახტირისაკენ გასწია. მივიდა, შევიდა სამზარეულოში, ნახა რომ ქურებში ტ ბუხარში კაი ცეცხლი ენთო და მეტრახტირე მოუსვენრად თვეხ-ჩაუდრეკელი კარგ სადილს ამზადებდა მეუერმეებისათვის, რომელთაც მეორე ოთახში გაუდიოდათ ხარხარი და მაღლის ხმით ლაპარაკი.

ვისაც მგზავრობა გამოუცდია, იმან იცის რომ მეუერმეებზე მადიანად და მაძღრიგ არავინ არა სჯამს პურს.

(1) სამერო პოლიციაა.

(2) რატუშა სამოქალაქო სამსჯავროა.

მთარგ.

რაკი მეტრასხტირეს დუქნის პატრონს კარის ხმა შეესმა ჯ შეიტყო რომ კიდევ ეწვია, ქურას თვალი არ მოაშორა და ჰკითხა:

—რა გნებავსთ?

უცხომ უთხრა: ჯამა და ძილი.

—მაგაზე ადვილი რა იქნება, პატრონმა უთხრა და შემოხედა, თავით ფეხამდის ჩააკლო თვალი ახალ მოსულს და იმ წამსვე უთხრა: რასაკვირველია, ფულით.

—მე ფულები მაქვს.

—მაშ ბატონი ბძანდებით, რაც სულით და გულით გნებავდესთ, ოღონდ მიბძანეთ.

მოგზაურმა ზურგიდამ გუდა მოიხსნა, კარების გვერდზედ მიაუდა და ჯოხით ხელში ბუხრის წინ ჩამოჯდა პატარა სკამზედ.

მეტრასხტირე დუქნის პატრონი, თავის საქმეს დასტრიალებდა და მაინც თვალს არ აშორებდა ახალ-მოსულ მგზავრსა და კარგა შინჯავდა.

—რა ქენ, დროზე იქნება სადილი? მოგზაურმა ჰკითხა.

—ეხლავ, მედუქნემ უთხრა.

იმ დროს როცა უცხო კაცი ზურგ მოქცეული მედუქნისაკენ ცეცხლა-პირას თბებოდა, მედუქნემ ყარანდაში ამოიღო, ძველის გაზეთის პატარა ქაღალდი მოხია, ერთი ორი რიგი დასწერა, მერე დაკეცა, არ დაბეჭდა, თავის მოსამსახურე პატარა დუქნის შაგირდს დაუძახა და ყურში რაღაცა წაუჩურჩულა; შაგირდი სახჭარად სამეროსაკენ გაიქცა.

მოგზაურმა კერა დაინახარა და კიდევ ჰკითხა:—რა ქენ, სადილს დროზე მაჯმევ, თუ არა?

—ეხლავ, აი, ემ საათში, მედუქნემ უპასუხა.

შაგირდი დაბრუნდა; ისევ ის ბარათი, რომელიც თან გაატანა, უკანვე მისცა პატრონს; იმან სახჭარად გახსნა, გულ მოდგინებით წაიკითხა და დაფიქრდა.

მერე მიკიდა მოგზაურთან და უთხრა:

—თქვენი მილება მე ვერ შემიძლიან.

რატომ? იქნება გეშინოდეს და ფიქრობდე, ვაი თუ სადილის ფული არ მომცესო? გინდა ეხლავე ამ თავით დაგითვალო სადილის ფული? მე აკი გითხარი ფულები მაქვს მეთქი.

—მე მაგაზე არ ვამბობ.

—მა რა არი?

—მართალია თქვენ ფულები გაქვსთ . . . .

—ჭო მაქვს, მერე?

—მე კი სათქვენო საწოლი ოთახი არა მაქვს, მიუგო მედუქნემ.

უცხომ დაწყნარებით უთხრა:—სადმე თუნდ თავლაში დავსწვები.

—არა მე ვერ შემიძლიან.

—რატომ?

—მთელი თავლა ცხენებით სავსეა, იქ ადგილი არ არის.

—თუ აგრეა, მაშ ჩარდახის კუთხეში მაინცა, საცა უნდა იყოს. ცოტა თივა კი გამიშალეთ . . . მაგრამ საწოლზედ სადილს უკანაც მოვილაპარაკებთ.

—მე თქვენ ვერც სადილს გაჭმევთ.

—როგორ თუ ვერა? მე ლამის შიმშილით მოვკვდე. მზის ამოსვლიდამ აქამდის ქვეითი მოვსულვარ, თორმეტი ლიო (1) გამოვიარეთ. მე ფულს მოგცემ; მშიან, ბური მაჭამე!

—სადილად მე არა მაქვს რა, მედუქნემ უთხრა.

მოგზაურს გეეცინა ჯ ქურებისკენ მიიხედა.

—არა გაქვს რა? ეს რაღაა? ქურებზედ ბევრი სხვა და სხვა საჭმელები იხარშებოდა.

—ეგ სულ სხვებისთვის მზადდება.

—ვისთვის?

—აი ამ ბატონებისთვის, მეურმებისათვის.

---

(1) ლიო ხიგის ზომა არის ოთხვერსტზე ცოტა მეტი.

მთარგ.

—განა რამდენი კაცისათვის? ბევრნი არიან?

—თორმეტი ადამიანისათვის.

—აქ თუნდ ოცი კაცისაც არი.

—ეგ სულ გაყიდულია და მაგის თვისაც ამ თავითვე მოცემულია.

მოგზაური კიდევ სკამზე ჩამოჯდა და წყნარად სთქვა:

—მე ტრახტირში ვიყო, ფული მქონდეს და მშიერი ვრჩებოდე!

ძაშინ მეტრახტირე მიეიდა, და ყურში ჩუმად ისეთ ნაირად უთხრა, რომ მოგზაურს ფერი დაეკარგა და ათრთოლდა.

—გადით, დაიკარგეთ აქედამ!

უცხო მიუბრუნდა, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ მედუქნე თვალდაკვირვებით დააცქერდა და უთხრა:

—ეს სიტყვებიც შენთვის საკმაო უნდა იყოს. განდა მე თქვენ გითხრათ თქვენი სახელი? თქვენი სახელი ყან-ვალყანია. ეხლა გნებავთ მოგახსენოთ ვინცა ბძანდებით? რაცა თქვენ აქ შემოხვედით, მე მაშინვე თქვენ მხრივ ეჭვმა ამიტანა, მე სამეროში გავგზავნე შესატყობრად და აი რა პასუხი მომწერეს. თქვენ წიგნის კითხვა იცით?

თქმის უმალ მოგზაურს ბარათი მისცა, იმან წაიკითხა და მედუქნე კი მოჭყვა:

—მე ესეთი ჩვეულობა მაქვს, რომ ყველას ზდილობით ვექცევი, გადი აქედამ მეთქი.

მოგზაურმა თავი ჩაღუნა, მიეიდა, აიღო თავისი გუდა, აიკიდა და გავიდა.

ის დაადგა ერთ დიდ ქუჩას, კედელ-კედელ ატუზული მიდიოდა და სრულებით უკან არ იხედებოდა. თუ უკან მიეხედნა დაინახავდა მეტრახტირეს, რომელიც თავის კარებ წინ იდგა, გარს ბევრი ხალხი ეხვია, რაღასაც ლაპარაკობდნენ და თითებს იმ მოგზაურისკენ იშვერდნენ.

მაგრამ მოგზაურმა ვერა დაინახა რა. არც თითონ იცოდა

ს

ით მიდიოდა, ყველა დაავიწყდა ამ უბედურს: არც დაქანცულობა აგონდებოდა, არც შიმშილი. ასეა, როცა კაცი გამწარებულია. ბინდ-ბუნდი იყო, უეცრად ძალიან მოშივდა, გარშემო მიიხედ-მოიხედა, თავის შესაფარებელ ადგილს ეძებდა. ტრახტირიდამ გამოისტუმრეს, თუმცა თვულს იმეტებდა; ამის გამო მიკიტნის დუქანს ეძებდა. დაინახა ერთ ქუჩის ბოლოს სინათლე ერთ სახლში, რომლის კარებზე-დაც ნაძვის რტო იყო დარჭმული, იმ სახლისკენ გასწია. მივიდა იმ ადგილს მართლა მიკიტნის დუქანი ნახა.

დადგა, თვალჭრიდგან შეიხედა, დაინახა დაბალი ოთახი განათებული პატარა ლამპით და ბუხრის ცეცხლის შუქით; რამდენიმე კაცი სმაში იყვნენ და დუქნის პატრონი ბუხრის წინ თბებოდა.

იმ დუქანს ორი შესავალი კარი ჰქონდა. ერთი ქუჩიდამ და მეორე ნეხვით და ნაგვით სამსე ეზოდამ. მოგზაურმა ქუჩის კარებიდგან შესვლა ვერ გაბედა, ეზოში შევიდა, ცოტას ხანს შედგა, მერე ნელა კარების თასმა ჩამოსწია, კარებს ხელი ჰკრა და თვეხი შესდგა.

—მანდ ვინა ხარ? პატრონმა ჰკითხა.

—მგზავრი ვარ. ვახშმის ჯამა მინდა და მერე ძილი.

—კარგი აქ ვახშამსაც სჭამ და დაიძინებ გიდეც!

მოგზაური შევიდა. ვინც კი იმ დუქანში იყო ყველამ მიიხედა და იმ ახალ მოსულ კაცს ყურება დაუწყეს. ერთის მხრით ამ კაცს ანათებდა ლამპა და მეორე მხრით დაგრიალებული ბუხარი, და მანამდის ის თავის გუდას მოიხსნიდა, ყველა იმას შესცქეროდა და ზვერამდა.

—აი ცეცხლი, დუქნის პატრონმა უთხრა:—მოდი, ჩემო ძმობილო, გათბი.

მოგზაური მივიდა, ბეხრთან ჩამოჯდა და ბევრის სიარულით დაჟეჟილი ფეხები ცეცხლს მიუშვირა. სინათლის შუქზედ, თვალებში ჩამოჩეჩილ ქუდის ქვეშ, სახეზედ ეცნეოდა, თითქო რაღაცა ანმაო. ერთის შეხედულობით ის კაცი მაგარის კაზმისა იყო, მაგრამ მწუხარებაც ეცნეოდა.

იქ მჯდომ კაცებში იყო ერთი მეთევზე. ეს მანამ ამ დუქანში მოვიდოდა, მისულიყო მეტრახტირესთან, საიდამაც უცხო კაცი გამოისტუმრეს, და იქ თავის ცხენი თავლაში დაება. დრეებამ ისე შეამთხვია, რომ იმავ დღესვე დიდით გზაზედ შემოხვედროდა მეთევზეს ეს მოგზაური, მიმავალი ქალაქში. მოგზაური ძალიან დალალულიყო და მეთევზეს შეხვეწნოდა, რომ ცხენს უკან შემოესვა. მეთევზეს იმ კაცის სახე თურმე არ მოეწონა, ხმა არ გასცა და ცხენს ტარება ააჩქარებინა. ისევ ეს მეთევზე ნახევარ საათის უკან ერია იმ ხალხში, რომელიც მეტრახტირეს გარს ეხვია და ტრახტირიდამ გამოგდებულ მოგზაურს უეურებდა. ვაჭარმა მეთევზემ დუქნის პატრონს ანიშნა და ჩუმად დაუძახა. მედუქნე მივიდა თუ არა, მეთევზემ ყურში რაღაცა წაუჩურჩულა. დუქნის პატრონი ჩათვიქრდა მერე ბუხართან მივიდა, უცხო კაცს მხარზედ ხელი დაჭერა და უთხრა:

—შენ შეგიძლიან აქედამ გაბძანდე.

მოგზაური მიუბრუნდა და დაწყნარებით უპასუხა:

—მაშ თქვენც შეგიტყვიათ, იცით? . .

—ჰო!

—მე ტრახტირიდამ გამოგიტუმრეს და გამოგაგდეს.

—აქედამაც გისტუმრებთ.

—მაშ სად უნდა წავიდე, ვის მივადგე?

—საცა გინდოდეს, აქ კი ნუ იქნები.

—მოგზაურმა აიღო თავისი ჯოხი, აიკიდა გუდა და წამოვიდა. როგორც კი გამოვიდა პატარა ბიჭებმა, რომელნიც ტრახტირიდამ გამოჭყოლოდნენ და მგონია აქ იმის გამოსვლას ელოდნენ, დაუწყეს მოგზაურს ქვების სროლა; იმან ჯოხი დაუქნია და პატარა ბიჭები დაითვანტნენ, როგორც შეშინებული ფრინველები.

უცხო კაცმა საპყრობილეს წინ გაიარა. კარებზე რკინის ჯინჯილი ეკიდა, მობმული ზარის ენაზედ; მივიდა ჩამორეკა. ციხის თვანჯარა გაიღო.

—უფალო, ყარაულო, მოგზაურმა უთხრა და მდაბლად ქუდი მოუხადა:—არ იქნება მე მანდ ამაღამ საწოლი ადგილი მომცეთ.

ციხიდამ უთხრა:

—ციხე და საპყრობილე სასტუმრო სახლი არ არი, თუ გულით გინდა, რამ დააშავე, დაგიჭერენ, მოხვალ და კარებს გაგიღებ.

ფანჯარა მოხურეს.

მოგზაური დაადგა ერთ ქუჩას საცა ბევრი ბაღები იყო. იმ ბაღებში დაინახა ერთი პატარა ერთ-ეტაჟიანი განთებული სახლი. ფანჯარიდამ შეიხედა, ნახა დიდი ოთახი თეთრად შეღებილი, იმ ოთახში ლოგინი ეგო, იქვე აკვანი იდგა. რამდენიმე ხის სკამები ეწყო და კედელზე ორ-ლულიანი თოფი ეკიდა. შუაში სტოლი იდგა, ვახშმისათვის სუფრა გაშლილი, ზედ ბოთლით ღვინო იდგა; სტოლის წინ იჯდა ორმოცი წლის კაცი, მხიარულის და გაშლილის სახით, ხელში პატარა ყმაწვილს ათამაშებდა. გვერდით იდგა ახალგაზდა ქალი და მეორე ყმაწვილს ძუძუს აწოებდა და თან დაჭყიმოდა.

ამ საამურ სანახავზე მოგზაური ძალიან ჩაფიქრდა. რაზე ფიქრობდა? მარტო თითონ იცოდა, უთუოთ იმაზე, რომ ის მხიარული სახლობა პურ-მარილიანი იქნებაო; საცა ამოდენ ბედნიერებას ხედავდა იმათში, რა საკვირველია, ეგონა, შეწყალებასაც ნახავდა.

მოგზაურმა ნელა კარი დაარახუნა.

ვერავინ ვერ შეიტყო.

ხელმეორეთ დაარახუნა და იმას დედა-კაცის ხმა შემოესმა.

—მგონია, არახუნებენო.

—არ შემიტყვია, ქმარმა უთხრა.

მოგზაურმა მესამედ დაარახუნა.

ქმარმი ადგა სანთელი აიღო და კარი გაუღო. ეს იყო მალალ-მალალი კაცი, ერთის შეხედულობით გლეხსა ჰგავდა, მეორის—ხელოსანსა, წინ ტყავის არდაგი ეკრა.

—უკაცრავად არ ვიყო, რომ გაგსარჯეთ. არ იქნება ერთი თეფში კერძი მიბოძოთ და ბაღში ჩალურის ქვეშ დასაძინებელი ადგილი? შეიძლება? მე ფულს მოგართმევთ.

—თქვენ ვინა ბძანდებით? სახლის პატრონმა ჰკითხა.

—მგზავრი ვარ პიუი-მუსსორნიდამ; მთელი დღე ქვეითი მოგ-

დიოდი, თორმეტი ლიო გამოვიარე. თუულს მოვართმევთ. შეიძლება?

—ვინც მე თუულს მამცემს, მე იმას არას დროს არ დაუშვერ ადგილს, მაგრამ, რატომ ტრახტირში არ მისულხართ?

—იქ ადგილი არ არი.

—გასაოცარია; ეგ არა მგონია. დღეს საბაზრო დღე არ არი. ლაბართან იყავით თქვენ თუ არა?

—დიალ, ვიყავ.

—მერე?

—როდი მიმიღო, სახე შეჭმუხვნით უთხრა მოგზაურმა.

—შათოს ქუჩაში არ იყავით?

—არც იქ მიმიღეს, გულ-ამღვრევით უთხრა.

ამ მკითხველმა კაცმა იეჭვა, თავით-თვეხამდის გაშინჯა მოგზაური და უეცრად, ათრთოლებულის ხმით დაიკივლა:

—შენ იქნება ის კაცი იყო? . . . .

ერთი კიდევ შეხედა, მერე სამი ნაბიჯი უკან დაიწია, შანდანი სტოლზე დასდგა და კედლიდამ თოფი ჩამოიღო. იმ დროს როცა ქმარმა დაიძახა «შენ იქნება ის კაცი იყოო», დედა იმ წამს ადგა, უმაწვილები ხელში აიყვანა, გულზე მიიკრა, ქმარს უკან მოეფარა ლ შეშინებულის სახით დაუწყო ცქერა მოგზაურს. ეს სულ ერთ თვალის დახამხამებაში მოხდა. სახლის პატრონმა მოგზაურს პატარას ხანს ისე დააცქერდა, თითქო გველს უეურებდესო; მერე მიეიდა კარებთან და უთხრა:

—გასწი დამეკარგე!

—ღვთის გულისათვის! ერთი სტაქანი წყალი მაინც დამალევინეთ.

—აი ამ თოფს ხედავ! სახლის პატრონმა უთხრა ლ კარები მაგრა მიუჯახა; მოგზაურს შეესმა, როგორც კარებს ორი ურდული გაუყარეს, შიგნიდამ ჩაკეტეს და მერე ფანჯრებიც მაგრა დაკეტეს.

დალამდა კიდეც. ალპების მთებიდამ ცივი ქარი დაუქროლამდა. მოგზაური კიდევ ქუჩაში იყო, მოსასვენებელი ალაგი არსად არ ჰქონდა. დაქანცული დაწყვეტილი ჩამოჯდა ერთ ქვაზე, მაგრამ იმ

წამსვე ადგა და დაიწყო წანწალი. ცოტას ხანს ასე დადიოდა. ლამის რვა საათი იყო მოახლოებული. გზები არ იცოდა და ასე ალალბედზე მიდიოდა, ვრეფეკტურასთან მიახლოვდა; მერე სემინარიასთან ჯ ბოლოს სობორის მეიდანზე მივიდა. იქ ერთ კუთხეში ტიფოგრაფიის ახლო, დალალულ-დაწყვეტილი, უნუგეშო, სრულიად იმედ მიხდილი, დაეგდო ქვის სკამზედ. ამ დროს ერთი ვილაცა ბებერი დედაკაცი საყდრიდამ გამოდიოდა ჯ სკამზედ გაწოლილი კაცი დაინახა.

—ჩემო ძმობილო, თქვენ აქ რას აკეთებთ? დედა-კაცმა ჰკითხა,

—როგორც თქვენ მხედავთ, ვწევარ, უზდელად და გაჯავრებით უთხრა მოგზაურმა.

ეს დედა-კაცი იყო მარგიზა ვ-ე.

—ამ ქვის სკამზე?

—მთელი ცხრამეტი წელიწადი მე მარტო ხმელ ფიცარზედ ვიძინებდი, ეხლა ქვაზე დავიძინებ.

—თქვენ სალდათად ხომ არ იყავით?

—ჰო, ჩემო კეთილო, სალდათად?

—რატო ტრახტირში არ მიხვალთ?

—აი ამიტომ არ მივალ, რომ ფულები არა მაქვს.

მარგიზამ ჯიბეში ხელი ჩაიყო და უთხრა:—ვაი რომ ზედ ოთხი სუს მეტი არა მაქვს . . .

—არა უშავს რა, მომეცით.

მოგზაურმა ფული გამოართვა.

მარგიზამ უთხრა: მაინც მაგ ფულით თქვენ ტრახტირში დასაძინებლად ოთახს არ მოგცემენ. არც ეს შეიძლება, რომ ამალამ აქ დარჩეთ. თქვენ გცივად განა? მშიერიც იქნებით. თქვენ ამღამ სადმე სამადლოდ მიგიღებენ, იმედს ნუ იწყვეტამთ.

—ბევრს მივადექ, ყველგან კარი ვარახუნე, მოგზაურმა უთხრა.

—მერე?

—ერსად არ შემიშვეს, ყველამ გამომაგდო.

მარგიზამ ხელი დაადო მოგზაურს და მერე მეიდნის მეორე რიგობაზედ, საეპისკოპოსო სახლის ახლოანიშნა ერთი პატარა სახლი.

—თქვენ უველგან არასხუნეთ კარი? მარკიზამ ჰკითხა.
—ჰო.
—აი ის კარებიც!
—არა.
—მაშ მიდით და დაარასხუნეთ.

VI.

სიბრძნისაგან ჩაგონებული ჰეთიელ-გონიერება.

ამ საღამოს ეპისკოპოსი ჩვეულებისამებრ, სასეირნოდ ეოთეიელიეო, მერე შინ დაბრუნებულიეო. იჯდა თავის ოთახში და სწერდა ერთ დიდ თხზულებას «ვალდებულებაზე», რომელიც შეუსრულებელი დარჩა. საღამოს რვა საათი იეო და კიდევ სწერდა. მაგრამ როცა იმისი და სტოლის იარაღის გამოსატანად შევიდა იმის ოთახში ჯ სუფრა გაშლილი იეო, მაშინ ეპისკოპოსმა წერას თავი დაანება, იფიქრა, ჩემი მოამლოდინე არ იყვნენო, და გავიდა სასადილოო ოთახში. ის ოთახი იეო გძელი, ერთი ფანჯარა ჰქონდა ბაღჩისაკენ და ქუჩიდამ პირდაპირ შესავლელი კარი. მადამ მაგლუარი თან სუფრასა შლიდა და თან მამზელ ბაპტისტინას, ეპისკოპოსის დას ეკლაპარაკებოდა.

ეს ორი დედა-კაცი, ორნიკე სამოცი-სამოცი წლისა იყვნენ; ძნელი წარმოსადგენი არ არიან: მადამ მაგლუარი, ეპისკოპოსის მეკუჭნავე, იეო დაბალი ტანისა, სქელ-სქელი და გამრჯე დედა-კაცი; ეპისკოპოსის გასათხოვარი ჯ ბაპტისტინა იეო ნაზი, ხმელ-ხმელი, მგრძნობელი, 1806-ს წლის მოდის თვრჩის კაბაში. მაგლუარი სუფრასა შლიდა და თან ლაპარაკობდა, რომ ქალაქში ერთი ვიღაცა გამოქცეული კაცი დაწანწიალებსო, პოლიციას ზედა-მხედველობა არა აქვსო თავის საქმეზედაო, კეთილ გონიერ ადამიანებს ჭმართოებთ ზრუნვა საზოგადოების მშვიდობიანობაზედაო. სახლ კარზე

კარგი სიფრთხილე და თვალის ჭერა გვმართებს და ქუჩის კარებები ლამე მაგრა უნდა ჩაკეტოთო.

ეპისკოპოსმა იმ ლაპარაკს ყური არ ათხოვა.

მიგლუარმა ხელმეორედ გაიმეორა, მაგრამ უნაყოფოდ; მაინც კიდევ ეპისკოპოსმა ყური არ ათხოვა.

მამაზელ ბაპტისტინამ ნახა, რომ ძმამ ხმა არ ამოიღო ლ რადგანაც მაგლუარის კმაყოფილება სურდა, მიუბრუნდა ეპისკოპოსს ლ ჰკითხა:

—ძმაო, მადამ მაგლუარის ნათქვამი შეიტყეთ ?

—ყური მოკკარ, კარგად კი ვერ შევიტყე. მერე მიუბრუნდა მოსამსახურეს ლ უთხრა:—აბა ერთი შემატყობინე რა ამბავია ? უთუოდ დიდი შიშიანობა მოხდებაო ? მაშინ მაგლუარი ხელახლად თავიდამ მოჰყვა ლაპარაკს. ბოლოს ეს გამოდის, რომ ერთი ვიღაცა ბოშა კაცი, ფეხ-შიშველი, გლახის მგზავსი, ქალაქის ქუჩებში დადისო, ის კაცი ლაბართან მისულაო, იმას არ მიუღია და გამოუგდიაო; მერე მისულა გასსენტის ბულვარზედაო; თურმე ასე დაწანწალებსო, ის უცხო საზარელი შეხედულობისა არისო და ზურგზე გუდა ჰკიდიაო.

—მართლა ? ეპისკოპოსმა სთქვა.

—დიაღ სწორედ ესეა, როგორც მე მოგახსენეთ. ¦ამალამ ქალაქში უთუოდ ერთი დიდი უბედურება რამ მოხდება, ყველანი ამას ამბობენ. ჩვენ სახლს სიფრთხილე ჭმართებს. თუ მოინსინიორი ნებას მომცემს, მე მივალ აქვე მეზედლოთან და ვეტყვი, რომ ქუჩის კარებებს ურდულები გაუკეთოს. ამის გაკეთებას სულ ერთი წამი უნდა. ურდული მარტო ამალამისთვის კი არ არი საჭირო, იმიტომ, რომ იმაზე ცუდი არა არის რა, როცა კარებები გარედამ იღებაო . . .

VII.

უცარი გაუგაცლობა.

ამ დროს კარები ვილაცამ ძალზე დაარახუნა.

—მობძანდით, ეპისკოპოსმა უთხრა.

კარებები უცრად გაიღო, თითქო გაბედვით და გულზე-მოსულმა ვილაცამ ხელი ჭკრალო, ოთახში შევიდა ჩვენი უცხო მოგზაური.

ჩვენ ამას ვიცნობთ,

ეს შევიდა, ერთი ნაბიჯი გადასდგა და მერე შედგა, კარებიც არ მიხურა. ძალამ ძაგლუარს შიშით იმდენი ლონე ალარ შერჩა, რომ დაეკიეგლა მაინც,—ათრთოლდა და ისე სახტად დარჩა, გამშრალი, უენოდ. მამზელ ბატისტინამ მიიხედა თუ არა, შეხედა მოსულს, მერე ბუხრისკენ მიბრუნდა და ძმახ დაუწყო ყურება.

ეპისკოპოსმა ამ მოსულს მშვიდობიანის სახიდ დაუწყო ცქერა და იმ კაცისთვის რალაც უნდა ეკითხა, მაგრამ მოსული ჯოხზედ დაბჯენილი დადგა, მოხუცებულს შეხედა, მერე დედა-კაცებს ჯ მაღლის ხმით ჭსთქვა.

—მე სახელად მქვიან ჟან-ვალჟანი. მე კატორღელი ვარ; ცხრამეტი წელიწადი გალერაზედ დასასჯელად ვიყავი. აი ეს ოთხი დღეა, რაც მე გამანთავისუფლეს, ტულონიდამ მივდივარ ბონტარლიეში. დღეს მე თვეხით თორმეტი ლიო გამომიგლია. ამ ქალაქის ტრახტირებში ვიყავ, მაგრამ არსად არ მიმიღეს და გამომაგდეს, იმ მიზეზით, რომ მე ყვითელი ბაშთორთი მაქვს მოცემული, რომელიც გამოსაცხადებლად, სამეროში წარვადგინე. მე ერთ ტრახტირშიც მივედი და იქ მითხრეს: «გადი აქედამ დაგვეკარგეო». არავინ არ შემიწყნარა და არ მიმიღო. მე მინდვრად გავედი ვარსკვლავებიან ცის-ქვეშ დასაძინებლად, მაგრამ, ჩემ საუბედუროდ, ცაც კი მოღრუბლულიყო. მე ხელ მეორედ ქალაქში დავბრუნდი, ერთ ადგილას ქვაზე დავსწექ, იმ დროს გიღაცა ერთმა კეთილმა დედა-

კაცმა თქვენი სახლი მოამსწავლა და მითხრა: «ეგ კარები დაარახუნეო». მე დავარახუნე. ეს რა სახლია? ტრახტირია? მე ფულები მაქვს, სულ ეს ცხრა ფრანკი და ხუთმეტი სუ. ეს ფულები ჩემ ტუსაღობაში მოვაგროვე, ცხრამეტის წლის იქაურ მუშაობაში. მე ფულს მოგცემთ, ჩემთვის არა ფერია—მე ზედ ფულები მაქვს. ძალიან დაგიღალე, დღეს თორმეტი ლიო გამომიგლია ფეხით. ნებას მიბოძებთ აქ დავრჩე?

—მადამ მაგლუარო, ეპისკოპოსმა უთხრა: ერთი კაცის იარალი მიუმატეთ სუფრას. უცხო კაცმა ერთი ორი ნაბიჯი კიდევ გადადგა, სტოლთან მიახლოვდა და სთქვა:

—კარგად შეიტყეთ, რაც გითხარით, თუ არა?

—მე ტუსაღი ვიყავ, კატორღელი, გალერიდამ მოვდიავარ. ამ სიტყვის უმალ, უბიდამ ამოიღო უშველებელი ერთი თაბახი ყვითელი ქაღალდი. «ეი ჩემი ბაშბორთი; როგორც ხედავთ ყვითელია. ამის ძალით და მოწყალებით არა ვინ არ მიმიღო, ბინა არსად მომცეს და გამომაგდეს. გნებავსთ წაიკითხოთ? მეც ვიცი წაკითხვა, ჩემ ტუსაღობის დროს ვისწავლე. იქ შკოლაა გამართული იმათთვის, ვისაც სწავლა სურს. ეი უყურეთ ბაშბორთში რა ჩამიწერეს, «ყან-ვალჟანი, განთავისუფლებული კატორღელი ჩამომავლობით . . »

—ეს თქვენთვის სულ ერთია სადედამიწა უნდა ვიყო. «ცხრამეტი წელიწადი საპყრობილეში იყო დაჭერილი. ხუთი წელიწადი ძალით მოპარვისათვის ნიკოლისა ს თოთხმეტი წელიწადიც იმიტომ, რომ ოთხჯერ გაპარვას აპირებდა; ძალიან საშიშო და მაგნებელი კაცია». ეს არი, ყველგან გამომაგდეს; ეს თქვენ გნებავთ მე შემიწყნარეთ და მიმიღეთ თუ არა? ეს რა სახლია? აქ ტრახტირია? არ შეიძლება, რომ მე ვახშამი მაჭამეთ და დასაძინებელი ადგილიც მომცეთ? თქვენ თავლა გაქვსთ? თუნდა იქ.

—მადამ მაგლუარო, ეპისკოპოსმა უთხრა: წალოდამ ერთი ხელი ლოგინი ამოიღეთ და მოამზადეთ. მაგლუარი გავიდა.

ეპისკოპოსი მიუბრუნდა უცხოს ს უთხრა;

—დაბძამდით, მოწყალეო ხელმწიფეო, და გათბით. ჩვენ ვახშამს მალე მოგვიტანენ და თქვენთვის ლოგინსაც მალე გაშლიან.

ეხლა კი ჟანვალჟანმა შეიტყო, ყველაფერს მიხვდა და სახეზე, რომელიც იქნობამდის შეჯმუხვნილი და დაღვრემილი ჭქონდა, ეცნეოდა: გაოცება, სიეჯვე და სიამოვნება. ჯკუაზე შეშლილსავით დაიწყო ლაპარაკი.

—მართლა თქვენ მიწყნარებთ ჯ მიკვდებთ? აქედამ არ გამგდებთ? მე კატორღელს? თქვენ მე მეუბნებით «მოწყალეო ხელმწიფეო»? თქვენ მე არ მეუბნებით: გადი გაეთრიე ძალლოო, როგორც ეს ცხრამეტი წელიწადი მე ყველასგან მესმოდა. მე არ მეგონა და არც მოვიფიქრებდი თქვენგნით მიღებას და ჩემ შეწყნარებას. აი ამის მიზეზითაც მე არ დაგიმალეთ და ადრეკე გითხარით ვინცა ვარ. ოჭ! თუ რა კეთილი დედა-კაცი უნდა იყოს, რომელმაც მე ეს სახლი მომასწავლა! მე კახშამსა ვსჯამ! მერე ლოგინი მექნება მზად, ლეიბით და საბნით, როგორცყველასა აქვსთ! ლოგინი! აი ეს ცხრამეტი წელიწადია, რაც მე ლოგინში არა მძინებია. ოჭ!. თუ რა პატივ-საცემი კაცი ყოფილხართ! მაგრამ . . . . . მე ფულებიცა მაქვს, ყოველის ფრის გადახდა და ფასის მოცემა შემიძლიან. უფალო მეტრახტირეკ, უკაცრავად არ გიყო, თქვენი სახელი? ნუ გეშინიანთ მე ყველას ფასს მოგცემთ. ძალიან კეთილ ჯ პატიოსან კაცს ჭგევხართ. თქვენ მეტრახტირე ხართ, თუ არა?

—მე, ეპისკოპოსმა უთხრა, არ მღვდელი აქ მცხოვრები.

—მღვდელი! მაშ თუ აგრეა თქვენ მე ფულს არ მომთხოვთ. თქვენ ამ მრევლის მოძღვარი ხართ? მართლა? აი იმ საყდრისა? რა ბრიყვი არ, მე თქვენი სკუფია ვერ დავინახე.

მერე ჟან-კალჟანმა თავისი ჯოხი კუთხეში მიაყუდა, გუდა შემოიხსნა, ძირს დასდო, ბაშფორი ჯიბეში შეინახა, ჩამოჯდა და ასე დაიწყო ლაპარაკი:

—თქვენ ძალიან კაცი-მოყვარე ყოფილხართ, უფალო მოძღვარო! მე თქვენ ხომ არ გეჯავრებით და არ გეზიზღებით? არა, განა? მოძღვრისათვის ეგ ძალიან კარგი ხასიათია. მაშ ფულის მოცემა ხომ არ არის საჭირო? არაფერია, მოძღვარი ფულად არას გაჭყიდის.

—არა, მიუგო ეპისკოპოსმა: მაგ თუულს თქვეთვის გამოიყენებთ, შეინახეთ. სულ რამდენი გაქვსთ? თქვენ, მე მგონია, მითხარით, ეს ცხრა თეთრანი გინა?

—კ ხუთმეტი სუ, ყანვალყანმა დაუმატა.

—ეს ცხრა თეთრანი და ხუთმეტი სუ, ეგ თუული რაკდენ ხანში მოაგროვეთ?

—ცხრამეტ წელიწადში.

—ცხრამეტ წელიწადში? ეპისკოპოსმა მწარედ ამოიოხრა. მერე მიუბრუნდა მადამ მაგლუარს და უთხრა:

—ამათთვის რაც შეგიძლიანთ, უფრო ცეცხლს ახლო დასდგით სკამი ვახშმისთვის; და მერე სტუმარს უთხრა:—ალპებში საშინელი ქარი იცის, თქვენ, მგონია, გცივდესთ, მოწყალეო ხელმწიფეო?

რაკი უცხო შეიტყობდა ხოლმე სიტყვას: «მოწყალეო ხელმწიფეო» სახეზე სიამოვნება ეჩნეოდა. სიტყვა «მოწყალეო ხელმწიფეო» კატორღელისათვის ისეა, როგორც სიმწყურვალით სულ-მბრძოლ კაცისათვის ერთი სტექანი წყალი.

—ლამპა როგორღაც ვერ ანათებს, ეპისკოპოსმა ჩასთქვა.

ამ სიტყვის თქმას მადამ მაგლუარი მიხვდა და იმწამსვე შანდანები მოიტანა, სტოლზე დაზდგა და სანთლები ანთო.

ყანვალყანმა, ეპისკოპოსს უთხრა: რა კეთილი ადამიანი ყოფილ ხარ. გინა, მე თქვენ არ გეჯავრებით? თქვენ მე შემიწყინარეთ, მიმიღეთ და ჩემ გულისათვის სანთლებსაც კი ანთებთ. მეც თქვენ არ დაგიმალეთ ვინცა ვარ, და ვალვიარე რომ მე უბედური ვარ.

ეპისკოპოსი მგზავრს ახლო მიუჯდა ნელა ხელი დაადო კ უთხრა:

—თქვენ შეგეძლოთ არც კი გეთქვათ თქვენი ვინაობა. ეს სახლი ჩემი არ არი,—ეს ჩვენის დამსხნელის იესო ქრისტეს სახლია. აქ შემომსვლელს სახელს კი არა ჩკითხავენ ხოლმე,—ჩკითხვენ მხოლოდ: დარდსა, ნაღველსა კ შეწუხებასა. თქვენ შიმშილს კ წყურვილს შეუწუხებიხართ—მობძანდით, რაც ღმერთს უბოძებია; მე მზათა ვარ გაგიუოთ. მადლობას ნურც მეტყვით კ ნურც გადმიხდით კ არცა სთქვათ,

რომ ვითომც მე ჩემ სახლში მოგიღეთ. ვინც უბინაოა და ვისთვისაც ბინაა საჭირო,—ეს სახლი მუდამ ღიაა და მზა. მე თქვენ აქ მოსულს უცხოს გეტყვით, რომ ამ სახლისა თქვენ უფრო პატრონი ხართ, ვიდრემც მე. რაც აქ არი, სულ თქვენია. თქვენ სახელთან მე რა დავა მაქვს? ან რა საჭირო, რომ ვიცოდე? თქვენ მანამდის მე მეტყოდით თქვენ სახელს, მე ადრევე ვიცოდი რაც გერქვათ სახელად.

ჟანვალჟანმა გაოცებით შეხედა ეპისკოპოსს:

—მართლა თუ? თქვენ იცოდით ჩემი სახელი?

—დიახ, ვიცოდი. ეპისკოპოსმა უპასუხა;—თქვენი სახელია: «ძმა ჩემი».

ამ დროს მადამ მაგლუარმა შეიტანა ვახშამი. ეპისკოპოსმა ლოცვა წაიკითხა და შემდეგ დასხდნენ ვახშამზედ. მირელმა უეცრად წამოიძახა;

—მე მგონია რალაც გვაკლია.

მადამ მაგლუარს მარტო სამი ადამიანის სტოლის იარაღი დაეწყო სუფრაზედ და არა იმდენი, რაოდენიც საჭირო იყო. მაგრამ ეპისკოპოსს გასაშტერებელი ხასიათი ჰქონდა — თუ სხვა უცხო ვინმე ეყოლებოდა ხოლმე სადილად, ან ვახშმად, უთუოდ სრული ექვსი კაცის სტოლის იარაღი უნდა ყოფილიყო დაწყობილი სტოლზედ. ესეთი წესი უმაწვილურ ჩვეულებასავით იყო მიღებული ამ კეთილ ოჯახში.

მადამ მაგლუარი იმ ეპისკოპოსის თქმას მიხვდა. სასადილო ოთახიდამ უჩუმრად გავიდა, და პატარა ხანს უკან, სტოლზე რიგზე დაწყობილს ექვს ვერცხლის იარაღს ბრჭყინვა გაჰქონდა.

ვახშმის უკან მირელი დას დაემშვიდობა, მერე ერთი შანდანი თითონ აიღო, მეორე სტუმარს მისცა და უთხრა:

—ახლა თქვენ საწოლში მიგიყვანთ.

როცა ამ ორთავემ საწოლის ოთახზე გაიარეს, მაშინ მადამ მაგლუარი განჯინაში ვერცხლეულს ინახავდა. მუდამ დღე ეს იყო იმის უკანასკნელი საქმის აღსრულება დაძინებამდის.

ეპისკოპოსმა სტუმარს ლოგინი უჩვენა.

ყანვალყანმა შანდანი სტოლზე დაზდგა.

—ძილი ნებისა, ეპისკოპოსმა უთხრა:—ხვალ დილით მანამ გა-ემგზავრებით, თქვენ თბილ რძეს მოგართმევენ ჩვენის ძროხებისას.

—გმადლობთ, უფალო მოძღვარო! წყნარის ხმით უთხრა ყან-ვალყანმა.

ამ სიტყვის თქმაზედ რალაც უეცრად და უცნაურად შეეცვალა იმას სახე და აზრები. მიუბრუნდა მოხუცს, დაუწყო ბღვერა, გულხელი დაიკრიფა და საზარელის ხმით დაიყვირა:

—ოჭო! მე თქვენ ახლო მაძინებთ, თქვენ გვერდზე, მაშ აგრე! მე რე ლრეჭით სთქვა:—თქვენ ყველა კარგად გამოგიფიქრიათ, თუ არა? რა იცით, რომ მე არავინ მომიკლავს და კაცის მკვლელიც არა ვარ? ეპისკოპოსმა უთხრა:

—ყველა ფერი ლმერთზეა დამოკიდებული!

ამის შემდეგ, ეპისკოპოსმა აიღო ხელი და სამი თითით ჯვარი გადასწერა და აკურთხა თავისი სტუმარი. მერე თავის ოთახში ისე შეკიდა, რომ უკან არცკი მოუხედია.

სრულიად დაქანცულმა ჯ დაღალულმა ყანვალყანმა გააქრო სანთელი, ტანთ გაუხდელი საბანს ზემოდამ ჩაწვა ლოგინში და იმ წამსვე ძალიან კარგ გულიან ძილში შეკიდა.

VIII.

ყ ა ნ — ვ ა ლ ყ ა ნ ი,

შუა ღამისას ყალვალყანს გამოელვიძა . . . . .

ყალ-ვალყანი იყო ბრიის მაზრიდამ, ჩამომავლობით,—ერთ ღარიბი გლეხი კაცის ოჯახიდამ. ბატარაობისას, იმისთვის კითხვა ჯ წერა არ უსწავლებიათ. ამის დედას სახელად ერქვა ყანნა-მატიე ჯ მამასაც—ყან-ვალყანი. ყალ-ვალყანი თუმცა დაფიქრებული ჯ დაღვრე-

მილი სახისა იყო, მაგრამ ზედ ნაღველი არ ეცნეოდა. ერთი სიტყვით მძინარე კაცსა ჰგავდა. ამას დედ-მამა დახოცოდა მაშინ, როცა ჯერ ყმაწვილი იყო. დედა მშობიარობაზედ გაცივებულიყო ლ სახადად გადაჰქცეოდა, კარგად ვერ ეწამლად ლ გარდაცვლილიყო. მამა კი, როგორც შვილი ხეების მსხვლელი იყო; ერთხელ ხიდან ჩამოვარდნილიყო ლ ისიც მამკვდარიყო. ვალ ყანს დარჩა მარტო ერთი უფროსი და, რომელმაც ეს თავისთან აიყვანა. როცა ამის დას ქმარი გარდაეცვალა, დარჩა შვიდი წვრილ-შვილი. უფროსი იყო რვა წლისა და სუყველაზე უნცროსი ერთის წლისა. ყალ-ვალყანი კი იყო მაშინ ოცდა ხუთის წლისა. თავის დისწულებს ობლობა არ დააცეობინა და მამობა გაუწია. მთელს სახლობას ისე უჩუმრად ინახამდა და ვალდებულებას ისე აღსრულებდა თითქო მოვალე იყოსო,—თუმცა მაინც ცოტათი დაღვრემილის სახით კი. ასე მუშაობაში გაიარა მთელმა ყალ-ვალყანის სიახალგაზდემ, რომელიც ღიერ ლუკმის მეტს სიმისო რგებას მეტს არას აძლევდა რა. არავის არ ახსოვს, რომ ყალ-ვალყანს სატრფო ჰყოლოდეს სადმე, არც საარშიყო დრო ჰქონია.

საღამოობით მუშაობიდან დაღალულ-დაწყვტილი შინ დაბრუნდებოდა ხოლმე და უჩუმრად სჯამდა თავის ვახშამს. მაშინ ყალვალყანის და, რაც კი კარგი ნაჯერი იქნებოდა, ამოარჩევდა ხოლმე ი მის კერძიდამ და თავის შვილებს მისცემდა; ვალყანი კი, თითქმის კერძში თავ ჩაღუნული, უჩუმრად სჯამდა და არც კი იმცნევდა, თუ და კერძიდამ რასმეს აკლებდა.

ფავეროლოში ყალ—ვალყანის სასლის შორ-ახლო, ქუჩის მეორე რიგობაზე იდგა ფერმერის ცოლი მარია კლავდია; ყანის დისწულები ნახევარზე თითქმის მშიერები, ზოგჯერ კლავდიასთან მი ირბენდნენ ხოლმე და ნისიად დედის სახელობაზედ, უჩუმრად რძეს თხოულოდნენ. რა საკვირველია, თუ დედას ამ გვარი შვილების ეშმაკობა შეეტეო, უთუოდ გაღაბავდა. მაგრამ გაუთლელი ლ მოიბუზღუნე ყან-ვალყანი, თავის დის სახელობით, მარია კლავდიას მალვით აძლევდა ხოლმე რძის ფულსა და ისე გადაარჩენდა ყმაწვილებს დედის დასჯისაგან.—

ჟურნალი «საქართველოს მოამბე» თვე ს თვე გამოვა სივრცით შვიდ თაბახიდამ ათამდე, ანუ 112 გვ.—160 გვერდამდე, თუ შეგვეძლება ამაზედ მეტიც.

ფასი მთელის წლის ნომრებისა შინ გაგზავნით ერთი თუმანი, გაუგზავნელად—ცხრა მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიც იმყოფება ტფილისში კომენდანტის ქუჩაზედ, უფ. ქანანოვის სახლებში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უმორჩილესად ვსთხოვთ ამ რუსულ აღრესით გამოგზავნონ:

Въ редакцію грузинскаго журнала «Грузинскій Вѣстникъ.»